

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე საქმეებზე

2008, # 10

მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი

1. მარცვა (მცდელობა)
2. ყაჩაღობა
3. თაღლითობა
4. ხულიგნობა
5. ნარკოტიკული დანაშაული
6. ავტოავარია
7. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება
8. თვითნებობა
9. ყალბი დოკუმენტის დამზადება

1. მარცვა (მცდელობა)

განჩინება

#1411-აპ

6 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
ზ. მეიშვილი,
მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ, გ. მ-ძისა და მსჯავრდებულ ბ. ბ-ძის დამცველის, ადვოკატ მ. გ-ძის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. ბ-მე ამჟამად პატიმრობაში მყოფი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 19 მარტის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, ბ. ბ-მეს მსჯავრი დაედო ყაჩაღობისათვის, ჩადენილი ჯგუფურად, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 23 ნოემბერს ბ. ბ-მე დანაშაულებრივად დაუკავშირდა გამოძიებით დაუდგენელ სამ პირს, რომლებმაც განიზრახეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდნენ რომელიმე მოქალაქის ავტომანქანას. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იმავე დღეს, დაახლოებით 18.00 საათზე, ბ. ბ-მემ და გამოძიებით დაუდგენელმა სამმა ბოროტმოქმედმა, იმყოფებოდნენ რა ბ. ბ-ძის საცხოვრებელ კორპუსთან თბილისში, ... ქუჩაზე, შენიშნეს დ. ო-იანი, რომელიც მეუღლესთან ერთად თავისი კუთვნილი ავტომანქანით, ვაზ-2106-ით, იყო მისული იქვე მცხოვრებ მ. ვ-ოსთან ძველმანების საყიდლად. ბ. ბ-მე და მისი თანამზრახველები მიუახლოვდნენ დ. ო-იანს, წინასწარ მომარჯვებული ბასრი საგნის გამოყენებით დაემუქრნენ მას ჯანმრთელობის დაზიანებით და მოსთხოვეს მისი კუთვნილი ავტომანქანა. ხმაურზე სახლიდან გამოვიდა დ. ო-იანის მეუღლე - კ. მ-იანი, რომელიც სთხოვდა ბოროტმოქმედებს, თავი დაენებებინათ მისი მეუღლისათვის, რაზედაც ბ. ბ-მემ კ. მ-იანს სახეში გაარტყა. ამ უკანასკნელს შეეშინდა და გაიქცა, რის შემდეგაც დ. ო-იანმა მოახერხა თავდამსხმელებისაგან თავის დაღწევა და თავისი ავტომანქანით შემთხვევის ადგილიდან წავიდა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ბ. ბ-ძის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. გ-მემ.

სააპელაციო საჩივრის თავდაპირველი მოთხოვნა იყო ბ. ბ-ძის ქმედების ყაჩაღობიდან მარცვაზე გადაკვალიფიცირება, ხოლო სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს აპელანტმა შეცვალა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა, კერძოდ, იგი ითხოვდა ბ. ბ-ძის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

აპელანტის მოტივირებით, ბ. ბ-ძის ქმედება დანაშაულის შემადგენლობას არ შეიცავს. მან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მხოლოდ კ. მ-იანს, კერძოდ, ხელი დაარტყა. აღნიშნული კი განეკუთვნება კერძო ბრალდების საქმეს, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, კ. მ-იანს სამართალდამცავი ორგანოებისათვის საჩივრით არ მიუმართავს. დაზარალებულ დ. ო-იანის ჩვენებაში კი საერთოდ არ არის აღნიშნული ყაჩაღურ თავდასხმაზე. იგი აცხადებს, რომ მას მანქანა სთხოვა ბ. ბ-მემ, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ბ. ბ-მეს მისი დაყაჩაღება უნდოდა. მსჯავრდებულ ბ. ბ-ძის ჩვენების მიხედვით, მას უნდოდა მძისთან გადასვლა და ამიტომ სთხოვა დ. ო-იანს მისი მანქანით გადაყვანა. დაზარალებული შემდეგ ამბობდა, რომ მე არ ვიცოდი, რისთვის მთხოვა მანქანაო. ამდენად, საქმეში არ არსებობს ბ. ბ-ძის მიერ ყაჩაღობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

საჩივარი განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც აპელანტის მოთხოვნა დააკმაყოფილა ნაწილობრივ, კერძოდ, შეცვალა მსჯავრდებულ ბ. ბ-ძის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია - აღნიშნული ქმედება ყაჩაღობის ნაცვლად დააკვალიფიცირა სსკ-ის მე-19 მუხლითა და 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა«, „დ« ქვეპუნქტებით, როგორც მარცვის მცდელობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ისეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ბ. ბ-ძის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 23 ნოემბერს ბ. ბ-მე დანაშაულებრივად დაუკავშირდა გამოძიებით დაუდგენელ სამ პირს და განიზრახეს აშკარად დაუფლებოდნენ სხვის მოძრავ ნივთს, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. იმავე დღეს, დაახლოებით 18.00 საათზე, ბ. ბ-მის საცხოვრებელ კორპუსთან თბილისში, ... ქუჩაზე, შენიშნეს დ. ო-იანი, რომელიც მეუღლესთან ერთად თავისი კუთვნილი ავტომანქანა ვაზ-2106-ით იყო მისული იქვე მცხოვრებ მ. ვ-ოსთან ბევლმანების საყიდლად. ბ. ბ-მე თანამზრახველებთან ერთად მიუახლოვდა დ. ო-იანს, რომელსაც მანქანა გაჩერებული ჰქონდა და ელოდებოდა თავისი მეუღლის - კ. მ-იანის გამოსვლას, რომელიც მ. ვ-ოსთან იყო შესული. მათ ისეთი ძალადობით, რაც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, მოსთხოვეს დ. ო-იანს მისი კუთვნილი ავტომანქანა. ხმაურზე სახლიდან გამოვიდა დ. ო-იანის მეუღლე კ. მ-იანი, რომელიც მოითხოვდა, თავი დაენებებინათ მისი მეუღლისათვის, რის გამოც ბ. ბ-მემ მას სახეში ხელი გაართყა. კ. მ-იანი გაიქცა, ხოლო ბ. ბ-მემ და მისმა თანამზრახველებმა მიატოვეს დ. ო-იანი და დაედევნენ კ. მ-იანს. ამის შემდეგ დ. ო-იანი ჩაჯდა ავტომანქანაში და გამოვიდა ეზოდან. როდესაც იგი კ. მ-იანსა და მის მდეგრებს დაეწია, ავტომანქანა გაუჩერა, მაგრამ კ. მ-იანმა მანქანაში ჩაჯდომა ვერ მოახერხა, რადგან მას მდეგრები ეწეოდნენ, ამიტომ დ. ო-იანმა გზა გააგრძელა და ცენტრალურ გზაზე დაელოდა მეუღლეს. მომხდარის შესახებ მათ აცნობეს პოლიციას. პოლიციის თანამშრომლებმა კ. მ-იანის მითითებით დააკავეს ბ. ბ-მე.

სააპელაციო სასამართლომ განაჩენით, აღნიშნული კვალიფიკაციის საფუძველზე, მსჯავრდებულ ბ. ბ-მეს სასჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გ. მ-მემ და მსჯავრდებულ ბ. ბ-მის დამცველმა, ადვოკატმა მ. გ-მემ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი - სახელმწიფო ბრალმდებელი თავისი საჩივრით ითხოვს აღნიშნული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ ბ. ბ-მის მიმართ საქმის იმავე სასამართლოში დაბრუნებას ახალი განხილვისათვის, იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულს უსაფუძვლოდ მოუხსნა ყაჩაღობის ბრალდება, რის გამოც განაჩენი არის უკანონო.

კასატორი - ადვოკატი მ. გ-მე თავისი საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და ამ განაჩენით შერაცხულ ბრალდებაში ბ. ბ-მის გამართლებას, იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც მას უსაფუძვლოდ დასდო მსჯავრი ისეთი დანაშაულისათვის, რაც არ ჩაუდენია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ბ. ბ-მის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ ბ. ბ-მის ბრალდების საქმის განხილვისას და მის მიმართ განაჩენის დადგენისას სააპელაციო სასამართლომ არ დაიცვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით დადგენილი მოთხოვნები საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის თაობაზე, დარღვეულ იქნა აგრეთვე იმავე კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები იმის თაობაზე, რომ მტკიცებულებები უნდა შეფასდეს მათი უტყუარობისა და საკმარისობის თვალსაზრისით, ხოლო განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

ბრალდება ბ. ბ-მის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე ეფუძნება დაზარალებულების - დ. ო-იანისა და კ. მ-იანის ჩვენებებს. ორივე მათგანი დაიკითხა როგორც წინასწარი გამოძიების სტადიაზე, ისე პირველი ინსტანციის სასამართლოში მოცემულ საქმეზე სასამართლო გამოძიების ჩატარებისას, რა დროსაც მათ მისცეს არსებითად განსხვავებული, ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები მომხდარი შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე.

აქ მხედველობაშია დ. ო-იანის ჩვენებების წინააღმდეგობა კ. მ-იანის ჩვენებებთან, ასევე მათ მიერ წინასწარი გამოძიების სტადიაზე მიცემული ჩვენებების წინააღმდეგობა მათ მიერვე სასამართლოში მიცემულ ჩვენებებთან. აღნიშნული წინააღმდეგობები არსებობს ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან დაკავშირებით.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას გამოქვეყნდა დაზარალებულთა მიერ წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენებები და მათ დაადასტურეს ამ ჩვენებების სისწორე, მაგრამ სასამართლო არ დაინტერესდა ხსენებულ ჩვენებებს შორის არსებითი წინააღმდეგობებით, არ გამორკვეულა, თუ დაზარალებულებმა სასამართლოში რატომ შეცვალეს ჩვენებები არსებითად და რატომ არის მათი ჩვენებები წინააღმდეგობრივი. საყურადღებოა ისიც, რომ დაზარალებულთა ჩვენებებთან წინააღმდეგობაშია აგრეთვე შემთხვევის შემსწრე მოწმის - მ. ვ-ოს ჩვენებები. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებას: წინასწარი გამოძიების სტადიაზე დ. ო-იანი დაზარალებულის სახით დაიკითხა მომხდარი შემთხვევიდან ერთი კვირის გასვლის შემდეგ, 2006 წლის 1 დეკემბერს, რის გამოც მას საკმარისი დრო ჰქონდა საიმისოდ, რათა ყველაფერი დეტალურად აღედგინა და კარგად გაეხსენებინა. ამიტომ გასარკვევია მის მიერ სასამართლოში მიცემულ ჩვენებებში რატომ გაჩნდა ისეთი

ახალი და მნიშვნელოვანი ფაქტები, რომლებიც მათი არსებობის შემთხვევაში, როგორც წესი უნდა გახსენებოდა და დაესახელებინა წინასწარი გამოძიების სტადიაზე ჩვენების მიცემისას.

სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას საჭიროდ არ ჩათვალა მტკიცებულებებს შორის არსებული წინააღმდეგობების გარკვევა საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა დაზარალებულთა ხელახლა დაკითხვის თაობაზე, მაგრამ სასამართლომ, მიუხედავად ზემოხსენებული წინააღმდეგობების არსებობისა, არ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა და არ ჩაატარა ჯეროვანი სასამართლო გამოძიება იმ ფარგლებში, რომლის შესაძლებლობასაც იძლევა საქართველოს სსკ-ის 533-ე მუხლი (მე-4 ნაწილი). სააპელაციო სასამართლომ თავის განაჩენში ყურადღება გაამახვილა მხოლოდ ერთ გარემოებაზე - მსჯავრდებულ ბ. ბ-ძის მიერ დანაშაულის ჩადენისას ნამდვილად იყო თუ არა გამოყენებული სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარა. იმის გათვალისწინებით, რომ, ერთი მხრივ, დაზარალებულ დ. მ-იანის ჩვენებაში არ არის აღნიშნული ბ. ბ-ძე მას ემუქრებოდა თუ არა სიცოცხლისა, ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ხოლო მეორე მხრივ, მისივე ჩვენებით, ბ. ბ-ძე სხვა პირებთან ერთად მანქანის მეორე მხარეს იდგა, რის გამოც საერთოდ არ დაუნახავს, მათ ხელში ეჭირათ თუ არა დანა ან რაიმე სხვა საგანი, სააპელაციო სასამართლომ თავის განაჩენში ბ. ბ-ძის ქმედება ყაჩაღობიდან გადააკვალიფიცირა ძარცვის მცდელობაზე, ჩადენილი ჯგუფურად და ისეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, თუმცა არ დაუსაბუთებია, კონკრეტულად რაში გამოიხატა ასეთი მუქარა და დაზარალებულ დ. მ-იანისათვის მანქანის წართმევის მცდელობა, ასევე, რა მიზეზებმა შეუშალა ხელი ბ. ბ-ძეს დანაშაულის დამთავრებაში და რაში გამოიხატებოდა კონკრეტულად სხვა პირების მონაწილეობა ძარცვის მცდელობის ჩადენაში, როგორც ხსენებული მუქარის, ისე სხვაგვარი მოქმედების განხორციელების თვალსაზრისით; რომელი მტკიცებულებებით მიიჩნია დადგენილად ის ბრალდება, რომელიც საფუძვლად დაუდო ბ. ბ-ძის მსჯავრდებას.

ამავე დროს, სააპელაციო სასამართლომ ყურადღებისა და შეფასების გარეშე დატოვა მტკიცებულებებს შორის არსებული ისეთი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები, რომელთა გამო შეუძლებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებები დადგენილად იქნეს მიჩნეული, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში, რა ქმედება ჩაიდინა ბ. ბ-ძემ: ძარცვის მცდელობა, თუ სხვა უფრო მძიმე ან მსუბუქი დანაშაული, ანდა საერთოდ უდანაშაულოა თუ არა იგი. ასეთ პირობებში საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება მსჯავრდებულ ბ. ბ-ძის ბრალეულობის თაობაზე.

ამრიგად, საკასაციო პალატის დასკვნით, ბ. ბ-ძის ბრალდების საქმის განხილვისას და ამ საქმეზე განაჩენის დადგენისას სააპელაციო სასამართლომ დაუშვა საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის „ა« ქვეპუნქტითა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული არსებითი დარღვევა, რამაც გავლენა იქონია განაჩენის კანონიერებასა და დასაბუთებულობაზე, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განაჩენი ბ. ბ-ძის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გაირკვეს: მომხდარი შემთხვევის დროს კონკრეტულად რა ქმედება ჩაიდინა ბ. ბ-ძემ; რა გარემოებებსა და ვითარებაში იქნა ჩადენილი აღნიშნული ქმედება; მონაწილეობდნენ თუ არა სხვა პირები ბ. ბ-ძესთან ერთად დანაშაულის ჩადენაში და კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა მათი მონაწილეობა; უნდა აიხსნას დაზარალებულთა ჩვენებებს შორის წინააღმდეგობების არსებობის მიზეზები და რამ განაპირობა სასამართლოში დაზარალებულთა მიერ ჩვენებების არსებითად შეცვლა; საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების სარწმუნოობა. საამისოდ სააპელაციო სასამართლოში უნდა ჩატარდეს სრულყოფილი სასამართლო გამოძიება იმ ფარგლებში, რასაც საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს და ამისათვის მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული საპროცესო კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობები. საქმის განხილვისას აუცილებლად უნდა დაიკითხონ დაზარალებულები - დ. ო-იანი და კ. მ-იანი, აგრეთვე მოწმე მ. ვ-ო, ჩატარდეს სხვა საპროცესო მოქმედებები საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად. საბოლოოდ ასეთი გზით მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობის საფუძველზე უნდა შეფასდეს დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და გადაწყდეს მსჯავრდებულ ბ. ბ-ძის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ« ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ, გ. მ-ძისა და მსჯავრდებულ ბ. ბ-ძის დამცველის, ადვოკატ მ. გ-ძის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განაჩენი ბ. ბ-მის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ძარცვა

განჩინება

#644-აპ

23 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
ზ. მეიშვილი,
დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. მ-შვილისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ჩ-იას, ასევე – თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ზ. ლ-იას საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 15 ნოემბრის განაჩენით გ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის მაისში გ. მ-შვილი იმყოფებოდა თბილისში, მეტროს სადგურ „ისნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ, ... ქუჩაზე, სადაც განზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით აშკარად დაუფლებოდა რომელიმე მოქალაქის ქონებას. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად თავის ნაცნობ ა. ტ-შვილს სთხოვა მობილური ტელეფონი, ვითომდა პირად საქმეზე დასარეკად. ა. ტ-შვილმა ათხოვა მას მობილური ტელეფონი. გ. მ-შვილმა გამოართვა აპარატი და, მიუხედავად იმისა, რომ პატრონი სთხოვდა ტელეფონის დაბრუნებას, სწრაფად მიიძალა შემთხვევის ადგილიდან. ამ გზით გ. მ-შვილმა სისრულეში მოიყვანა თავისი განზრახვა და აშკარად, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა ა. ტ-შვილის მობილურ ტელეფონს, რითიც დაზარალებულს მიაყენა 600 ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. მ-შვილს მიესაჯა 4 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 11 სექტემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა პ. ჯ-იამ. მან ითხოვა სასჯელის შემსუბუქება და გ. მ-შვილისათვის 4 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: გ. მ-შვილის ქმედება სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა ამავე კოდექსის 180-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე და მიესაჯა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

კასატორები – მსჯავრდებული გ. მ-შვილი და მისი ადვოკატი ნ. ჩ-ია საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ 2007 წლის მაისში გ. მ-შვილმა თავისი ნაცნობის – ა. ტ-შვილისაგან ითხოვა მობილური ტელეფონი, რასაც დაზარალებულიც ადასტურებს; ა. ტ-შვილის მოთხოვნაზე, დაებრუნებინა ტელეფონი, გ. მ-შვილმა უპასუხა, რომ ტელეფონი „დაალომბარდა“ და დაუბრუნებდა; დაზარალებულმა მაისში გამორთმეული ტელეფონის დაბრუნებაზე პოლიციას მიმართა სექტემბერში, რის საფუძველზეც გ. მ-შვილი დააპატიმრეს; ამის შემდეგ დაზარალებული ა. ტ-შვილი სისტემატურად არიდებდა თავს როგორც პირველი ინსტანციის, ისე – სააპელაციო სასამართლოებში გამოცხადებას, რადგან იცოდა, რომ დანაშაული არ ჩადენილა და იყო სუფთა სამოქალაქო გარიგება – თხოვების ხელშეკრულების სახით; დავა უნდა გადაწყვეტილიყო სამოქალაქო წესით, რადგან გ. მ-შვილს თაღლითობა არ ჩაუდენია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 მარტის განაჩენის გაუქმებას და საქმის შეწყვეტას.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორი ზ. ლ-ია საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა და არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, ამიტომ უნდა გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულს ძარცვა არ ჩაუდენია, რადგან დაზარალებულმა თავისი ნებით გადასცა მობილური ტელეფონი გ. მ-შვილს, რომლის მხრიდანაც ნივთის აშკარა დაუფლება არ მომხდარა; სასამართლო მიიჩნევს, რომ, მართალია, მსჯავრდებულის მიზანი იყო სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, მაგრამ არა - აშკარად, არამედ - მოტყუებით; რაც შეეხება მნიშვნელოვან ზიანს, სასამართლომ ჩათვალა, რომ, გარდა დაზარალებულის ჩვენებისა, რომ მას მიადგა 600 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი, ბრალდების მხარეს არ მოუპოვებია არანაირი სხვა მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანი მართლაც შეადგენდა 600 ლარს; სასამართლომ დაზარალებულის ჩვენება დააყენა ექვექვე და, შესაბამისად, ექვი გადაწყვიტა მსჯავრდებულის სასარგებლოდ.

პროკურორის აზრით, სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ გ. მ-შვილმა მოტყუებით მიისაკუთრა ა. ტ-შვილის ტელეფონი, არ არის სწორი, რადგან ყურადღებაა მისაქცევი იმაზე, რომ დაზარალებული სთხოვდა მობილურის დაბრუნებას, ხოლო გ. მ-შვილი გაიქცა და თან წაიღო ტელეფონი, რასაც დაზარალებული ხედავდა; იგი მისდევდა მას და მოუწოდებდა, დაებრუნებინა მობილური ტელეფონი; სწორედ ამიტომ დააკვალიფიცირა ბრალდებამ გ. მ-შვილის ქმედება სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით, ხოლო მობილური ტელეფონის თხოვება იყო მსჯავრდებულის ხერხი თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. რაც შეეხება დაზარალებულისათვის 600 ლარის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებას, აღნიშნული უტყუარადაა დადასტურებული და სასამართლოს არ ჰქონდა საფუძველი, დაზარალებულის ჩვენება ამ ნაწილში ექვექვე დაეყენებინა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორი ზ. ლ-ია ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 მარტის განაჩენის გაუქმებას და გ. მ-შვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულისა და მისი ადვოკატის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო პროკურორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რადგან დაზარალებულმა თავისი ნებით გადასცა მობილური ტელეფონი გ. მ-შვილს, ეს უკანასკნელი ნივთს აშკარად არ დაუფლებია, რაც ძარცვას ახასიათებს.

სააპელაციო პალატის აღნიშნული მსჯელობა არასწორია, რადგან დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, გ. მ-შვილმა, მოთხოვნის მიუხედავად, არ დაუბრუნა ტელეფონი დაზარალებულს და მიიმალა. შესაბამისად, უდავოა მსჯავრდებულის ქმედების აშკარა ხასიათი. მოცემულ შემთხვევაში მატერიალური კანონის არასწორი გამოყენება გამოიწვია გ. მ-შვილის ერთიანი ქმედების რამდენიმე ეპიზოდად ფორმალურმა დაყოფამ. ამის შედეგად, ფაქტობრივად, ყურადღება გამახვილდა მხოლოდ ნივთის ნებაყოფლობით გადაცემაზე და არ შეფასდა გ. მ-შვილის შემდგომი ქმედება, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

მოცემულ შემთხვევაში მოტყუება ემსახურებოდა არა საბოლოო მიზნის მიღწევას, არამედ დანაშაულის ჩადენის გაადვილებას, რაც უნდა გაიმიჯნოს. გასაჩივრებული განაჩენი მიუთითებს ნივთის ნებაყოფლობით გადაცემაზე, როგორც თაღლითობის შემადგენლობის ერთ-ერთ ნიშანზე, მაგრამ თაღლითობას არ ახასიათებს დროებით გადაცემული ნივთის დაბრუნების იმწუთიერი მოთხოვნა, რაც ამ შემთხვევაში სახეზეა.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ნათლად მეტყველებს, რომ გ. მ-შვილს არც ჰქონდა სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლების განზრახვა, იგი ამას ვერც შეძლებდა და სწორედ ამის გამო, მიიღო რა ტელეფონი, გაიქცა და მიიმალა.

გარდა ამისა, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ზიანთან დაკავშირებით. გასაჩივრებულ განაჩენში აღნიშნულია, რომ დაზარალებულის ჩვენების გარდა, არაფრით დასტურდება მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების ფაქტი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზიანის ოდენობის უტყუარად დადგენისათვის შესაძლებელია სასაქონლო ექსპერტიზის ჩატარება, თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს ამგვარის ვალდებულებას. შესაბამისად, ექსპერტიზის დასკვნის არ არსებობის შემთხვევაში, ფაქტობრივი გარემოებები უნდა დადგინდეს საქმეში არსებული მასალების საერთო ანალიზით, მათ შორის, ნივთიერი მტკიცებულების ნიშან-თვისებებისა და ღირებულების გათვალისწინებით. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ წინასწარი გამოძიებისას ამოღებულ იქნა დაზარალებულის მობილური ტელეფონიც და იგი ასევე ერთ-ერთი მტკიცებულებაა ფაქტობრივი გარემოების სწორად დასადგენად.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულისა და მისი ადვოკატის მოთხოვნას და აღნიშნავს, რომ დაზარალებული თავს არ არიდებდა სასამართლოში გამოცხადებას. პირველი ინსტანციის სასამართლოში განსასჯელმა აღიარა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა, რის გამოც სასამართლო გამოძიება შეიკვეცა, დაიკითხა გ. მ-შვილი და გამოქვეყნდა საქმის მასალები. სააპელაციო საჩივრით მსჯავრდებულის ადვოკატი ითხოვდა მხოლოდ სასჯელის შემსუბუქებას და სააპელაციო

სასამართლოში საქმის განხილვისას დაზარალებული იმყოფებოდა დასავლეთ საქართველოში, მისი ზუსტი ადგილსამყოფელი ვერ დადგინდა.

დაზარალებულის ყველა ჩვენება თანმიმდევრული და დამაჯერებელია და მათ ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. ა. ტ-შვილი გარკვევით აღნიშნავს, რომ თხოვნის გამო ტელეფონი გადასცა გ. მ-შვილს, რომელიც ნელი ნაბიჯებით შორდებოდა. დაზარალებული მიუთითებს, რომ გ. მ-შვილის ქცევამ დააეჭვა და ჰკითხა - სად მიდიოდა. იმავდროულად მსჯავრდებული გაიქცა და მიიმალა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამოქალაქო გარიგებად შეფასების მოთხოვნა უსაფუძვლოა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბრალმძებლის მოთხოვნა საფუძვლიანია, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს განჩინებაში აღნიშნული მითითებები, სრულად და ობიექტურად შეისწავლოს და შეაფასოს საქმეში არსებული მასალები, რის შემდეგ მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. მ-შვილისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ჩ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

პროკურორ ზ. ლ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს - გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მარტის განაჩენი გ. მ-შვილის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ყაჩაღობა

განჩინება

#1561-აპ

3 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. მ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ვ. თ-ძისა და მსჯავრდებულ დ. ა-იანის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 1 დეკემბრის განაჩენით:

1. დ. ა-იანი ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა» ქვეპუნქტით - 6 წლით, 236-ე მუხლის I ნაწილით - 2 წლით, 236-ე მუხლის II ნაწილით - 4 წლით, 353-ე მუხლის I ნაწილით - 4 წლით, 187-ე მუხლის I ნაწილით - 2 წლით, 143-ე მუხლის II ნაწილის „ა», „თ» ქვეპუნქტებით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა (ძველი რედაქცია).

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ნაწილობრივი შეკრების წესით, საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2. გ. მ-შვილი ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა» ქვეპუნქტით 6 წლით, 236-ე მუხლის I ნაწილით - 1 წლით, ამავე მუხლის II ნაწილით - 1 წლით, 143-ე მუხლის II ნაწილის „ა», „თ» ქვეპუნქტებით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა (ძველი რედაქცია).

სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ნაწილობრივი შეკრების წესით, საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ისინი სასჯელს იხდიან 2006 წლის 24 აპრილიდან.

მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 24 აპრილს დ. ა-იანი და გ. მ-შვილი მთვრალეები მივიდნენ ქ. თბილისში, მეტროსადგურ «დელისთან» და განიზრახეს ყაჩაღობის ჩადენა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით მათ გააჩერეს ა/მანქანა ვაზ-21-05, რომელსაც მართავდა გ. მ-მე და სთხოვეს ქ. თბილისში, გლდანის მასივში წაყვანა. გ. მ-შვილი ჩაჯდა ა/მანქანის წინა სალონში, ხოლო დ. ა-იანი მოთავსდა ა/მანქანის უკანა სალონში. გზად დ. ა-იანმა ამოიღო „მაკაროვის» სისტემის პისტოლეტი, რომელიც მან უკანონოდ შეიძინა, ინახავდა და ატარებდა, სიცოცხლისათვის საშიში ძალადობით მოახდინა ერთი გასროლა ა/მანქანის სალონში, დააზიანა ა/მანქანის ჭერი და მძღოლს კატეგორიულად მოსთხოვეს ფული. რეალური მუქარით შეშინებულმა გ. მ-მემ მათ გადასცა 5 ლარი. მიუხედავად ამისა, დ. ა-იანი განაგრძობდა სროლას, მძღოლს მოსთხოვა რესტორან „ქიზიყთან» გაჩერება და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით აიძულა იგი, გადასულიყო ა/მანქანის უკანა სალონში. თვითონ მიუჯდა საჭეს, პისტოლეტი კი გადასცა მასთან ერთად დანაშაულებრივ კავშირში მყოფ გ. მ-შვილს, რომელიც გადაჯდა ა/მანქანის უკანა სალონში, თავისუფლებაღკვეთილ გ. მ-მესთან. გლდანში, სუპერმარკეტ „მარიამთან» დ. ა-იანმა სწრაფად მოძრაობის გამო ვერ დაიმორჩილა საჭე, შეეჯახა ბორდიურს, რის შემდეგაც ავტომანქანა გამოვიდა მწყობრიდან და ვეღარ დაიქოქა. დ. ა-იანი და გ. მ-შვილი გადმოვიდნენ ა/მანქანიდან და მიიმაღნენ. მანქანის დაზიანებით დ. ა-იანმა დაზარალებულ გ. მ-მეს მიაყენა 505 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. დაზარალებულმა გ. მ-მემ დასახმარებლად მიმართა საპატრულო პოლიციის მუშაკებს, რომლებმაც შეამჩნიეს მის მიერ აღწერილი ორი პირი. პატრულ-ინსპექტორებმა მათ მოსთხოვეს გაჩერება. პატრულის კანონიერ მოთხოვნაზე - შეჩერებულიყვნენ, დ. ა-იანმა გაუწია შეიარაღებული წინააღმდეგობა, რის შემდეგაც ისინი დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა.

განაჩენი საპელაგო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ გ. მ-შვილის ადვოკატმა და მსჯავრდებულმა დ. ა-იანმა. გ. მ-შვილის ადვოკატმა მოითხოვა მსჯავრდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია ბრალად შერაცხული დანაშაული, სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რომლებიც დასტურდება, რომ გ. მ-შვილი არანაირი მონაწილეობა არ მიუღია მოცემული დანაშაულის ჩადენაში და უსაფუძვლოდ დასდო მას მსჯავრი.

მსჯავრდებულმა დ. ა-იანმა საპელაგო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა იმ მიმართებით, რომ იგი გამართლდეს ყაჩაღობისა და ადამიანის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ბრალდებაში, იგი ცნობილ იქნეს დამნაშავედ მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვასა და ტარებაში, რაშიც ფაქტობრივად ცნო თავი დამნაშავედ და ასევე - პოლიციის მუშაკების მიმართ თავისი სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელების დროს ხელის შემლაში, რაც ახსნა თავისი სიმთვრალით.

თბილისის საპელაგო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ივლისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 1 დეკემბრის განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით:

მსჯავრდებულების - დ. ა-იანისა და გ. მ-შვილის დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით, შესაბამისობაში მოვიდა ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსთან და გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტზე (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

თბილისის საპელაგო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ივლისის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ გ. მ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ვ. თ-მემ და მსჯავრდებულმა დ. ა-იანმა საკასაციო საჩივრებით მიმართეს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

მსჯავრდებულ გ. მ-შვილის ადვოკატი ვ. თ-მე საკასაციო საჩივრით ითხოვეს უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმებას და გ. მ-შვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას. იგი აღნიშნავს, რომ გ. მ-შვილი არ მოქმედებდა დ. ა-იანთან ერთობლივი დანაშაულებრივი განზრახვით და ადგილი ჰქონდა აღმსრულებლის ექსცესს, რასაც ადასტურებენ მსჯავრდებულებიც და ნაწილობრივ - დაზარალებული გ. მ-მეც.

მსჯავრდებული დ. ა-იანი ითხოვეს უკანონო განაჩენის გაუქმებას სსკ-ის 179-ე და 143-ე მუხლებით წარდგენილი ბრალდების ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში - განაჩენის უცვლელად დატოვებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ გ. მ-შვილის ადვოკატ ვ. თ-ძის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმებისა და გ. მ-შვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ იმ მოსაზრებით, რომ გ. მ-შვილი არ მოქმედებდა დ. ა-იანთან ერთობლივი დანაშაულებრივი განზრახვით და ადგილი ჰქონდა აღმსრულებლის ექსცესს.

პალატა ასევე არ ეთანხმება მსჯავრდებულ დ. ა-იანის მოთხოვნას უკანონო განაჩენის გაუქმების შესახებ სსკ-ის 179-ე და 143-ე მუხლებით წარდგენილი ბრალდების ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში განაჩენის უცვლელად დატოვებას, უსაფუძვლოდ გამო.

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულთათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულების პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე - დამამძიმებელი გარემოებები.

პალატა თვლის, რომ საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულ გ. მ-ძის წინასწარი და სასამართლო გამოძიების დროს მიცემული ჩვენებებით, მოწმეთა ჩვენებებით, დაზარალებულის ავტომანქანის დათვალიერების ოქმით, დ. ა-იანისა და გ. მ-შვილის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, ბალისტიკური ექსპერტიზის 2006 წლის 24 აპრილის #6/6-91/ზ დასკვნით, გ. მ-შვილისა და დ. ა-იანის მიერ მათზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული დ. ა-იანი უნდა გათავისუფლდეს სსკ-ის 187-ე მუხლის I ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) დანიშნული სასჯელის - 2 წლით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან.

ამასთან, პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ დ. ა-იანს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), 236-ე მუხლის I, II ნაწილებით, 353-ე მუხლის I ნაწილით, 143-ე მუხლის II ნაწილის „ა», „თ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა» და „დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული დ. ა-იანი გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის I ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) დანიშნული სასჯელის - 2 წლით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან.

მსჯავრდებულ დ. ა-იანს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), 236-ე მუხლის I, II ნაწილებით, 353-ე მუხლის I ნაწილით, 143-ე მუხლის II ნაწილის „ა», „თ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულ გ. მ-შვილის მიმართ დანიშნული სასჯელი დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
ზ. მენიშვილი,
მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ქ-შვილის დამცველის, ადვოკატ ი. ი-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 6 დეკემბრის განაჩენით ა. ქ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 6 თვის ვადით. იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 6 სექტემბრიდან.

განაჩენის მიხედვით, ა. ქ-შვილს მსჯავრი დაედო ყაჩაღობისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში: 2006 წლის 17 მარტს ა. ქ-შვილი დაუკავშირდა გამოძიებით დაუდგენელ პირს და მათ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დაახლოებით 23 საათსა და 35 წუთზე, გააჩერეს ტაქსი, რომელსაც მართავდა ტ. ბ-შვილი. ისინი ჩასხდნენ ტაქსში და როდესაც მივიდნენ ცაბაძის ქუჩაზე, თავს დაესხნენ ტ. ბ-შვილს მისი კუთვნილი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რა დროსაც მათ დანისა და ე.წ. სამართებლის გამოყენებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, მოსთხოვეს ტ. ბ-შვილს ფული. მას ა. ქ-შვილმა დანით მიაყენა დაზიანება მუცლის არეში, ხოლო გამოძიებით დაუდგენელმა პირმა კი სამართებელი დაუსვა თავზე, რის შემდეგაც ისინი მიიმალნენ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ა. ქ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა ი. ი-მემ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა ა. ქ-შვილის გამართლებას, რადგან მიაჩნია, რომ აღნიშნული დანაშაული ა. ქ-შვილს არ ჩაუდენია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 აპრილის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 6 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ა. ქ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა ი. ი-მემ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და ა. ქ-შვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია განაჩენით შერაცხული ქმედება. კასატორის განმარტებით, განაჩენი დადგენილია სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების უგულვებელყოფით, რომელიც ეყრდნობა დაზარალებულის მიერ წინასწარი გამოძიებისა და საქმის სასამართლო განხილვის დროს მიცემულ არათანმიმდევრულ და ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს; სასამართლოს დასკვნებს ა. ქ-შვილის ბრალეულობის თაობაზე არ გააჩნია რეალური საფუძველი თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ მომხდარი შემთხვევის დროს მსჯავრდებული იმყოფებოდა მძიმე მდგომარეობაში ტუბერკულოზით დაავადების გამო, რის შედეგადაც მას არ შეეძლო რაიმე დანაშაულში მონაწილეობა, საქმეში კი არ არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები მისი მსჯავრდებისათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ა. ქ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ა. ქ-შვილის მსჯავრდების თაობაზე არ ემყარება დასაბუთებულ საფუძველს, რაც იმით არის განპირობებული, რომ საქმის განხილვისას და განაჩენის დადგენისას არ ყოფილა დაცული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მთელი რიგი მოთხოვნები, კერძოდ, ის მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებულია საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლითა და მე-19 მუხლის მე-2 ნაწილით, აგრეთვე, იმავე კოდექსის 496-ე მუხლის პირველი, მე-3 ნაწილებითა და 503-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ძირითადად ეყრდნობოდა დაზარალებულ ტ. ბ-შვილის ჩვენებებს, აგრეთვე, დაზარალებულის მიერ ა. ქ-შვილის ამოცნობის ოქმებს. მხედველობაშია ფოტოსურათით ამოცნობისა და ვიზუალური ამოცნობის ოქმები. დაზარალებულის ყველა ჩვენება მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან, კერძოდ: როდესაც ტ. ბ-შვილი წინასწარი გამოძიების სტადიაზე მიცემულ ჩვენებაში აღწერს ა. ქ-შვილის გარეგნობას, უთითებს ისეთ განმასხვავებელ ნიშანზე, როგორცაა დაკნევილი პირისკანი მარცხენა ქვედა ყბის არეში, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოში ჩვენების მიცემისას კი ასეთ ნიშანს საერთოდ არ ახსენებს და ლაპარაკობს ისეთ განმასხვავებელ ნიშანზე, როგორცაა ცხიმგროვა, ე.წ. «ჟირავიკი» სახეზე. ტ. ბ-

შვილი სააპელაციო სასამართლოში თავის ჩვენებებს შორის არსებულ ამ მნიშვნელოვან განსხვავებას არადამაჯერებლად ხსნის, იგი ჯერ ამბობს, რომ, როდესაც ამოსაცნობად წარუდგინეს ა. ქ-შვილი, მაშინ ის სახეზე «ცოტა წვერიანი და დაკენკილი იყო», შემდეგ ამბობს, რომ პირადი ამოცნობისას ტ. ქ-შვილი ამოცნო სახის ნაკვთებითა და «ჟირავიკით», ამასთან, იქვე აღნიშნავს, რომ მანამდე, ფოტოსურათზე ამოცნობის დროს, უთხრა გამომძიებელს დამნაშავეს სახეზე «ჟირავიკის» არსებობის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ პირადი (ვიზუალური) ამოცნობის ოქმში დაზარალებული ტ. ბ-შვილი უთითებს ა. ქ-შვილის სახისათვის დამახასიათებელ ნიშნებზე, რომლებითაც, მისი თქმით, იგი ამოცნო, მაგრამ არსად არის ნახსენები ისეთი მკვეთრი ნიშანი, როგორცაა «ჟირავიკი» (ცხიმგროვა), რაც ძალზე გაუგებარია, რადგან დაზარალებულს ჰქონდა სრული შესაძლებლობა, უშუალო ამოცნობის დროს ყურადღებით დაკვირვებოდა ამოსაცნობ პირს სახეზე და მიეთითებინა განსაკუთრებულ ნიშანზე, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ის სააპელაციო სასამართლოში ხაზგასმით ამბობს - «პირველივე დღეებიდან ვიძახდი, რომ პიროვნებას ჰქონდა ხორცმეტი».

გარდა ამისა, ძალზე წინააღმდეგობრივია აგრეთვე დაზარალებულ ტ. ბ-შვილის ჩვენებები საქმის სხვა, მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით. წინასწარი გამოძიების სტადიაზე მიცემულ ჩვენებაში იგი აღნიშნავს, რომ მასზე თავდასხმის დროს წინ მჯდომი პირი, რომელშიც იგულისხმება ა. ქ-შვილი, მას უმოწმებდა ჯიბეებს, რის შემდეგაც მოულოდნელად თავდამსხმელებმა იგი მიატოვეს და გაიქცნენ, ხოლო ფული და მობილური ტელეფონი მან ისევ თავის ჯიბეებში იპოვა, ისინი არ წაუღიათ, მხოლოდ მისი დანა იყო დაკარგული. დაზარალებული ტ. ბ-შვილი პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხვისას იმავე გარემოების თაობაზე ამბობს, რომ განსასჯელმა იგი შეკრა, წელზე მოუსვა ხელი, ჯიბეებში კი ხელი არ ჩაუყვია. მას წელზე ჰქონდა დანა, რომელიც, როცა დამნაშავეები გაიქცნენ, ვეღარ იპოვა. დაზარალებული სააპელაციო სასამართლოშიც ამბობს, რომ დამყაჩაღებლებს მისთვის ჯიბეები არ შეუმოწმებიათ, განსასჯელი მხოლოდ ქამრის გარშემოწერილობას ამოწმებდა.

ზემოთ მითითებული აშკარა და არსებითი წინააღმდეგობები სააპელაციო სასამართლოს განაჩენში არ არის დამაჯერებლად ახსნილი და დამლუღი, მხოლოდ მოკლედ არის აღნიშნული, რომ დაზარალებული ა. ქ-შვილის დაკენკილ სახეში გულისხმობდა არასწორ, დეფექტიან კანს, მაგრამ საქმეში არსებული ფოტოსურათებით, კერძოდ, სამი სხვადასხვა ფოტოსურათით, არ დგინდება, რომ ქ-შვილს სახეზე დეფექტიანი კანი აქვს, ამასთან, დეფექტიანი კანი და ცხიმგროვა ერთი და იგივე არ არის.

აუცილებელია ყურადღება მიექცეს საქმისათვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: დაზარალებული ტ. ბ-შვილი როგორც წინასწარი გამოძიების სტადიაზე, ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოში და სააპელაციო სასამართლოშიც თავის ჩვენებებში მიუთითებს, რომ თავდამსხმელებს მისგან არ მოუთხოვიათ ფულისა და სხვა ნივთების გადაცემა, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულის მიმართ, მისივე დაზუსტებით, ძალადობა გრძელდებოდა 3-4 წუთის განმავლობაში და რომ მან თვითონ შესთავაზა მათ ფულისა და მანქანის გადაცემა. თავდამსხმელებს მის ჯიბეშიც კი არ ჩაუყვიათ ხელი და როგორც ტ. ბ-შვილი ამტკიცებს, მსჯავრდებული წელის გარშემო მხოლოდ ქამარს უმოწმებდა. სააპელაციო სასამართლოში დაზარალებული დაბეჯითებით მიუთითებს, რომ მისთვის დამყაჩაღებლებს ფული არ მოუთხოვიათ, პირიქით, მან შესთავაზა; არ იცის მისგან რა უნდოდათ - მისი გატაცება თუ პირადი ნივთები; დაზარალებულის განმარტებით, მან უთხრა თავდამსხმელებს - «აგერ ფული და რაც კი საჭიროა წაიღეთ». მათ დანა დაარტყეს, მაგრამ არაფერი მოუთხოვიათ; მანამდეც არაფერი მოუთხოვიათ, მისი ჯიბეები არ შეუმოწმებიათ, ჯიბეები რომ შეემოწმებინათ, ფული ჰქონდა და იპოვიდნენ, ქამარზე ხელს უსვამდნენ, ალბათ, რამეს ეძებდნენ.

მოცემული გარემოება, მიუხედავად იმისა, რომ მას არსებითი მნიშვნელობა აქვს მომხდარი შემთხვევის სწორი სამართლებრივი შეფასებისათვის, სააპელაციო სასამართლომ ჯეროვანი ყურადღების გარეშე დატოვა და არ იმსჯელა საფუძვლიანად ამის თაობაზე თავის განაჩენში, რაც გაუმართლებელია, რადგან იგი არსებითად ცვლის საქმის ვითარებას იმ თვალსაზრისით, რომ გაურკვეველი რჩება, თუ რა მიზანი და მოტივი ამოძრავებდათ იმ პირებს, რომლებიც თავს დაესხნენ დაზარალებულ ტ. ბ-შვილს, კერძოდ: ჩადენილ იქნა ყაჩაღობა თუ სხვა ძალადობრივი დანაშაული, განპირობებულს სრულიად სხვა მოტივითა და მიზნით. ასეთი ფაქტობრივი გარემოების, რაც დაზარალებულის ჩვენებებით დგინდება, აშკარა შეუთავსებლობა ყაჩაღობის შემადგენლობის სუბიექტური და ობიექტური მხარეებისათვის დამახასიათებელ, მათი საკანონმდებლო კონსტრუქციით განსაზღვრულ ნიშან-თვისებებთან, აუცილებელს ხდის, რომ სააპელაციო სასამართლოს თავის განაჩენში ემსჯელა და ამის თაობაზე მიეღო სათანადო გადაწყვეტილება.

მართალია, სააპელაციო სასამართლოს განაჩენში აღინიშნა იმის თაობაზე, რომ თავდამსხმელები ჩქარობდნენ და ფული იმიტომ ვერ უპოვეს დაზარალებულს, რადგან ამ უკანასკნელს საჭეზე ხელი ჰქონდა დაჭერილი და უწყვეტი სიგნალით ცდილობდა ყურადღების მიქცევას, რითაც მშველელს უხმობდა, მაგრამ ასეთი ახსნა მოკლებულია დამაჯერებლობას, რადგან დაზარალებულისავე განმარტებით, იგი შებოჭილი ჰყავდა ა. ქ-შვილს, რის გამოც მოკლებული იქნებოდა შესაძლებლობას, ავტომანქანის საჭიდან სიგნალი მიეცა ვინმესთვის.

ზემოაღნიშნული გარემოებები იმაზე მეტყველებს, რომ სააპელაციო სასამართლომ ა. ქ-შვილის ბრალდების საქმის განხილვისას არ დაიცვა საპროცესო კანონის არსებითი და მნიშვნელოვანი მოთხოვნები, რის შედეგადაც გამოტანილ იქნა არაკანონიერი განაჩენი, რაც, სსსკ-ის 562-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტისა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ასეთი განაჩენის გაუქმების საფუძველია. აღნიშნულის გამო საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 აპრილის განაჩენი ა. ქ-შვილის მიმართ უნდა გაუქმდეს, ხოლო მისი ბრალდების საქმე ახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საქმის ხელახალი განხილვისას უნდა გაირკვეს შემდეგი საკითხები: რა პირობებში ჩატარდა დაზარალებულ ტ. ბ-შვილის მიერ ა. ქ-შვილის ვიზუალური ამოცნობა; რა გარემოებებითაა განპირობებული არსებითი განსხვავებები ვიზუალური ამოცნობის ოქმის ჩანაწერებსა და შემდგომში დაზარალებულის მიერ სასამართლოში მიცემულ ჩვენებებს შორის ა. ქ-შვილის გარეგნული ნიშნების თაობაზე; დაზარალებულის მიერ წინასწარი გამოძიების სტადიაზე მომხდარი შემთხვევის შესახებ მიცემულ პირველ ჩვენებაში რატომ არ არის მითითებული ა. ქ-შვილის ისეთ განსაკუთრებულ ნიშანზე, როგორცაა ცხიმგროვა («ჟირავიკი»), მაშინ, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოში და სააპელაციო სასამართლოში დაკითხვისას ტ. ბ-შვილი დაბეჯითებით აღნიშნავს, რომ დაყაჩაღების დროსაც და მანამდეც, მის ავტომანქანაში ყოფნისას, მან ა. ქ-შვილის სახეზე დაინახა «ჟირავიკი»; რეალურად როგორი იყო ა. ქ-შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა 2006 წლის 17 მარტს და შეეძლო თუ არა მას დანაშაულში მონაწილეობა, გამომდინარე საქმეში არსებული სამედიცინო დოკუმენტებიდან და მისი მკურნალი ექიმის, მოწმე თ. ნ-შვილის ჩვენებიდან, სადაც ეს უკანასკნელი აღნიშნავს, რომ ა. ქ-შვილი იმდენად ცუდად იყო, რომ სამედიცინო ცენტრში ფეხით მისვლას ვერ შეძლებდა (იგულისხმება ხსენებული თარიღი) და ეს მაშინ, როდესაც დაზარალებული თავის პირველ ჩვენებაში, როდესაც აღწერს ავტომანქანაში მის გვერდით მჯდომ თავდამსხმელს, რომელშიც ა. ქ-შვილი იგულისხმება, მიუთითებს, რომ ის იყო ფიზიკურად ძლიერი, რომელმაც შებოჭა იგი ავტომანქანაში, ხოლო დანაშაულის ჩადენის შემდეგ თავის თანამზრახველთან ერთად გაიქცა; თუკი ხელახლა ჩატარებული სასამართლო გამოძიების შედეგად სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ ა. ქ-შვილი ნამდვილად მონაწილეობდა დაზარალებულ ტ. ბ-შვილის მიმართ განხორციელებულ თავდასხმაში, უნდა გაირკვეს ასევე - ამ ქმედებით მან ნამდვილად ყაჩაღობა ჩაიდინა, თუ სხვა სახის ძალადობრივი ხასიათის დანაშაული.

აღნიშნული საკითხების გამოსარკვევად, აგრეთვე საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისა და სარწმუნოდ დადგენის მიზნით, დეტალურად უნდა დაიკითხონ დაზარალებული ტ. ბ-შვილი და მოწმე თ. ნ-შვილი, უნდა გამოქვეყნდეს და მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეულ იქნეს საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები - ამოცნობის ოქმები, სამედიცინო დოკუმენტები, მოწმეთა ჩვენებები, შემდეგ კი სასამართლო გამოძიებით მიღებული მტკიცებულებები უნდა გააანალიზდეს და საბოლოოდ გამოტანილ იქნეს კანონიერი და დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილება მსჯავრდებულ ა. ქ-შვილის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე.

განხილულ გარემოებათა გამო, ამ ეტაპზე საკასაციო პალატა ვერ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივრის მოთხოვნას ა. ქ-შვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და პატიმრობიდან მისი განთავისუფლების თაობაზე, რადგან საამისოდ არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საბოლოოდ საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 აპრილის განაჩენი მსჯავრდებულ ა. ქ-შვილის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ა. ქ-შვილის დამცველის, ადვოკატ ი. ი-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 აპრილის განაჩენი ა. ქ-შვილის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განჩინება

#1392-აპ

18 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სიღნაღის რაიონული პროკურატურის პროკურორ გ. ჯ-შვილისა და მსჯავრდებულ ხ. პ-იანის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხ. პ-იანი ამჟამად პატიმრობაში მყოფი, სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 1 აგვისტოს განაჩენით მსჯავრდებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) მე-2 ნაწილის «ა», «გ», «დ» ქვეპუნქტებით, ასევე, სსკ-ის 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისათვის, როგორცაა ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევითა და დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით, აგრეთვე, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, რის გამოც მას სასჯელად განესაზღვრა: სსკ-ის 179-ე მუხლის (მითითებული რედაქცია) მე-2 ნაწილის «ა», «გ», «დ» ქვეპუნქტების საფუძველზე – თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით, სსკ-ის 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე – თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, ხოლო სსკ-ის 59-ე მუხლით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) გათვალისწინებული სასჯელთა ნაწილობრივი შეკრების პრინციპით მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ხ. პ-იანის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2004 წლის 26 მარტს, საღამოს, «ფოლკსვაგენის» მარკის ავტომობილით, რომელსაც მართავდა ზ. ზ-შვილი, ყაჩაღური თავდასხმის მოწყობის მიზნით, ქ. თბილისიდან სიღნაღის რაიონში ჩავიდნენ თვითონ ზ. ზ-შვილი, ხ. პ-იანი, კ. მ-ძე, ს. წ-ანი და კ. ე-ძე. ისინი მობილური ტელეფონით დაუკავშირდნენ უანის პ-იანს და, ამ უკანასკნელის მითითებით, იმავე საღამოს შეხვდნენ ქ. წნორის მახლობლად ე.წ. ქუმბათის ტერიტორიაზე მდებარე ვენახებთან. უ. პ-იანმა ზ. ზ-შვილის ავტომობილით ისინი წაიყვანა ... დასახლებაში და აჩვენა მათ პ. ბ-შვილის ბინა, სადაც უნდა მოეხდინათ ყაჩაღური თავდასხმა. მათ დაათვალიერეს ადგილმდებარეობა და დაბრუნდნენ უკან, ვენახებში, სადაც ურთიერთშორის შეთანხმებით შეიმუშავეს მეორე დღეს, საღამოს, პ. ბ-შვილის ბინაზე ყაჩაღური თავდასხმის გეგმა. მეორე დღეს უ. პ-იანმა მათთან ჩანთით მიიტანა ერთი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ორი პისტოლეტი, ნიღბები, ხელთათმანები, თასმები და ე.წ. «სკოჩი».

2004 წლის 27 მარტს, დაახლოებით 21 საათსა და 30 წუთზე, «ფოლკსვაგენის» მარკის ავტომობილით, რომელსაც ზ. ზ-შვილი მართავდა, ხ. პ-იანი, უ. პ-იანი, კ. მ-ძე, კ. ე-ძე და ს. წ-ანი მივიდნენ სიღნაღის რაიონის სოფ. ... დასახლებაში მდებარე პ. ბ-შვილის ბინასთან. უ. პ-იანი და ზ. ზ-შვილი იმავე ავტომობილით დაბრუნდნენ უკან, ვენახებში და ელოდებოდნენ ყაჩაღური თავდასხმის დამთავრებას, რათა შემდეგ ერთად წასულიყვნენ. ხ. პ-იანმა, კ. მ-ძემ, კ. ე-ძემ და ს. წ-ანმა, დარჩნენ რა ... დასახლებაში, გაიკეთეს ნიღბები და ხელთათმანები. ს. წ-ანი შეიარაღდა ავტომატით, ხოლო კ. ე-ძე და კ. მ-ძე – პისტოლეტებით. ამის შემდეგ მათ უკანონოდ შეაღწიეს პ. ბ-შვილის ბინაში უკანა კარიდან, რომელიც დაკეტილი არ იყო. ისინი აღმოჩნდნენ პირველი სართულის სასტუმრო ოთახში, სადაც იმყოფებოდნენ პ. ბ-შვილის დედა – ე. ბ-შვილი და მამა – ო. ბ-შვილი, ხოლო მცირეწლოვან შვილს ეძინა. მათ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით მოითხოვეს პ. ბ-შვილის კუთვნილი ავტომობილის – «ოპელ-ომეგას» გასაღები, რომელიც იქვე მაგიდიდან აიღეს. შემდეგ მათ ცემა დაუწყეს ე. ბ-შვილს, ხელები შეუკრეს და ცდილობდნენ აეკრათ მისთვის პირი «სკოჩით», მაგრამ მისი უხარისხობის გამო ვერ შეძლეს. ისინი მოკვლის მუქარით თხოულობდნენ ფულსა და ოქროს ნივთებს. შეშინებულმა ო. ბ-შვილმა მათ მისცა 500 აშშ დოლარი და 1000 ლარი, რომელიც ჯიბეში ჰქონდა შენახული.

ხ. პ-იანმა, ს. წ-ანმა და კ. მ-ძემ აზაზანიდან გამოიყვანეს პ. ბ-შვილი, რომელსაც სცემდნენ, ემუქრებოდნენ მოკვლით და მოსთხოვეს, მიეცა მათთვის თავისი ცეცხლსასროლი იარაღი, ფული და ოქროს ნივთები. რადგან პ. ბ-შვილს ყოველივე ეს შენახული ჰქონდა ბინის მეორე სართულზე, სამივემ აიყვანა იგი ზემოთ, ხოლო კ. ე-ძე დარჩა სასტუმრო ოთახში, სადაც იყვნენ ე. ბ-შვილი, ო. ბ-

შვილი და მათი რძალი - მ. ჩ-შვილი მძინარე მცირეწლოვან შვილთან ერთად. იგი იარაღით დარაჯობდა მათ, რათა სახლიდან არ გასულიყვნენ.

მეორე სართულზე, საძინებელ ოთახში, ისინი განაგრძობდნენ პ. ბ-შვილის ცემას და მოკვლის მუქარას, რათა მიეცა ფული და ოქროს ნივთები. იმის გამო, რომ პ. ბ-შვილმა არ იცოდა, სად იყო შენახული აღნიშნული ფასეულობა, მათ პირველი სართულიდან ამოიყვანეს მისი მეუღლე - მ. ჩ-შვილი და დედა - ე. ბ-შვილი, რომელთაც ასევე სცემდნენ და ემუქრებოდნენ მოკვლით, რათა მიეცათ მათთვის ფული და სამკაულები.

შემინებულმა მ. ჩ-შვილმა მათ უჩვენა ადგილი ფანჯრის რაფის ქვეშ, სადაც შენახული იყო 6800 აშშ დოლარი და 1000 ლარი, აგრეთვე კარადა, სადაც შენახული იყო შემდეგი სამკაულები: შვიდთვლიანი ბრილიანტის საყურე, ღირებული 500 ლარად; მამაკაცის ოქროს სამაჯური, ღირებული 800 ლარად; მამაკაცის ქორწინების ბაჯაღლო ოქროს რგოლი, ღირებული 300 ლარად; ქალის ოქროს სამაჯური და წნული ყელსაბამი, ღირებული 800 ლარად; სამთვლიანი ბრილიანტის ბეჭედი, ღირებული 200 ლარად; ორი წყვილი საყურე, ღირებული 600 ლარად, ბაჯაღლო ოქროს რგოლი, ღირებული 300 ლარად; ჯვრის ფორმის ბრილიანტის ბეჭედი, ღირებული 400 ლარად; მობილური ტელეფონები: «ნოკია», ღირებული 900 ლარად; «შარფი», ღირებული 1500 ლარად; მსუბუქი ავტომანქანა - «ოპელ-ომეგა», ღირებული 6000 ლარად, რომლებიც მათ მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს.

ყჩაღური თავდასხმისას, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობისა და ასეთი ძალადობით მუქარის დროს, პ. ბ-შვილმა მიიღო სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით, ხოლო მ. ჩ-შვილმა და ე. ბ-შვილმა მიიღეს სხეულის მსუბუქი დაზიანებები, რასაც მათი ჯანმრთელობის მოშლა და შრომის უნარის დაკარგვა არ მოჰყოლია. ხ. პ-იანმა ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით, მთლიანად მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა დიდი ოდენობით ფულადი თანხა - 14300 ლარი, ოქროს სამკაულები და ნივთები, ასევე 7300 აშშ დოლარი, რის შემდეგაც ოთხივენი ჩასხდნენ პ. ბ-შვილის კუთვნილ ავტომობილ «ოპელ-ომეგაში» და მიიმალნენ.

მანვე 2004 წლის 27 მარტს, 21 საათსა და 30 წუთზე, ... დასახლებაში პ. ბ-შვილის ბინაზე ყჩაღური თავდასხმის დროს ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფთან - კ. ე-მესთან. კ. მ-მესთან და ს. წ-ანთან ერთად, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ პისტოლეტებითა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით. მათ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და ასეთი ძალადობის მუქარით პ. ბ-შვილს მოსთხოვეს ცეცხლსასროლი იარაღი. ისინი სცემდნენ რა პ. ბ-შვილს და ემუქრებოდნენ მოკვლით, მისგან მოითხოვდნენ ცეცხლსასროლი იარაღის გადაცემას, რა დროსაც მას მიაყენეს ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა გამოიწვია. შემინებულმა პ. ბ-შვილმა ბინის მეორე სართულზე, საძინებელ ოთახში, «ტრილიაჟის» უჯრაში მიუთითა ადგილზე, სადაც მას შენახული ჰქონდა ოფიციალურად რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი. ისინი მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ და მიისაკუთრეს პ. ბ-შვილის კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღი - «მაკაროვის» სისტემის პისტოლეტი #მე-4787, ღირებული 800 ლარად.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ხ. პ-იანმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა მის მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია გამამტყუნებელი განაჩენით მისთვის შერაცხული ქმედება.

მსჯავრდებულ ხ. პ-იანის სააპელაციო საჩივარი განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2007 წლის 17 მაისის განაჩენით აღნიშნული საჩივარი დააკმაყოფილა ნაწილობრივ, კერძოდ, მსჯავრდებულმა ხ. პ-იანი გაამართლა სსკ-ის 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხულ ბრალდებაში. ამასთან, მისი ქმედება იმ ნაწილში, რომელიც დაკვალიფიცირებული იყო სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით (მითითებული რედაქცია), გადააკვალიფიცირა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) და იგი დამნაშავედ ცნო სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ», «დ» ქვეპუნქტებისა (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) და საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) საფუძველზე, ხოლო ამ დანაშაულისათვის მას სასჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე სიღნაღის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გ. ჯ-შვილმა და მსჯავრდებულმა ხ. პ-იანმა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. სახელმწიფო ბრალმდებელი თავისი საჩივრით ითხოვს აღნიშნული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ ხ. პ-იანის მიმართ სისხლის სამართლის საქმის თბილისის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნებას ახალი განხილვისათვის იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლომ ხ. პ-იანი უსაფუძვლოდ გაამართლა სსკ-ის 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე წარდგენილ ბრალდებაში, ვინაიდან, მისი აზრით, მსჯავრდებულმა ნამდვილად ჩაიდინა აღნიშნული დანაშაული.

ამავე დროს, კასატორი თვლის, რომ სასამართლომ მსჯავრდებულს ყაჩაღობის ნაწილში დაუნიშნა ზედმეტად ლმობიერი სასჯელის ზომა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის მიღწევას.

მსჯავრდებული ხ. პ-იანი თავისი საჩივრით ითხოვს მისი გამართლების ნაწილში გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვებას, ხოლო მისი მსჯავრდების ნაწილში იმავე განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია სსკ-ის 179-ე მუხლის საფუძველზე შერაცხული ქმედება. კასატორი თავისი მოთხოვნის საფუძველად მიუთითებს შემდეგ ძირითად მოტივებზე: სააპელაციო სასამართლოში მისი ბრალდების საქმის განხილვა ჩატარდა არასრულად და ცალმხრივად, მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის შედეგზე მისი კანონიერი ინტერესების საზიანოდ; განაჩენში ჩამოყალიბებული დასკვნები მისი დანაშაუდ ცნობის შესახებ არ შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს; საქმეზე მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით არ დასტურდება მის მიერ განაჩენით მისთვის შერაცხული დანაშაულის ჩადენა; განაჩენში ჩამოყალიბებული დასკვნები მისი ბრალეულობის თაობაზე არის უკანონო და დაუსაბუთებელი, რადგან სააპელაციო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც მას ამართლებდნენ, მისცა საწინააღმდეგო შეფასება, ამასთან, ერთი მხრივ, განაჩენი ეყრდნობა დაზარალებულების წინააღმდეგობრივ და აშკარად არასწორ ჩვენებებს, ხოლო, მეორე მხრივ, განაჩენში მოცემულია დაზარალებულთა გამონათქვამების არასწორი ინტერპრეტაციები ბრალდების ტენდენციით. კასატორის აზრით, სხვა მტკიცებულებები, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ გამამტყუნებელ განაჩენს საფუძველად დაუდო, ან საპროცესო ნორმების დარღვევითაა მოპოვებული, ანდა არ შეესაბამება სინამდვილეს (მაგალითად, ბრალდების მოწმეთა ჩვენებები); სააპელაციო სასამართლომ ყურადღების გარეშე დატოვა და არ შეაფასა ის სარწმუნო მტკიცებულებები, რომლებიც მას ამართლებდნენ.

გარდა ამისა, მსჯავრდებულმა ხ. პ-იანმა პროკურორის საკასაციო საჩივარზე შეიტანა შესაგებელი, რომლითაც ითხოვს, რომ საკასაციო პალატამ არ გაიზიაროს აღნიშნული კასატორის მოთხოვნა და მას უარი ეთქვას საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ხ. პ-იანის მიმართ და შეაოწმა საკასაციო საჩივრების საფუძველიანობა, მიაჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ ხ. პ-იანის ბრალდების საქმეზე გამოტანილი განაჩენი, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების თვალსაზრისით, არ არის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური, რაც თანაბრად ეხება აღნიშნულ განაჩენს როგორც ხ. პ-იანის მსჯავრდების ნაწილში, ისე - მისი გამართლების ნაწილში.

სააპელაციო პალატა თავის განაჩენში ხ. პ-იანის მსჯავრდებას საფუძველად უდებს, ერთი მხრივ, პირველი ინსტანციის სასამართლოში დაზარალებულების - ე. ბ-შვილისა და პ. ბ-შვილის მიერ მიცემულ ჩვენებებს, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათ იცნეს ხ. პ-იანი, რომელიც ყაჩაღური თავდასხმის დროს მათ «თვლებს არწივივით უბრიალებდა», რომ იმავე ფაქტზე მსჯავრდებული უ. პ-იანი მოგვიანებით მათთან ლაპარაკობდა აღნიშნულ დანაშაულში თავისი მძისშვილის - ხ. პ-იანის მონაწილეობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, პირველი ინსტანციის სასამართლოში გამომძიებლების - ბ. ლ-შვილისა და თ. გ-შვილის მიერ მიცემულ ჩვენებებს, რომლებმაც განაცხადეს, რომ აღნიშნულ საქმეზე მსჯავრდებულმა სხვა პირებმა წინასწარი გამოძიების სტადიაზე ბრალდებულის სახით დაკითხვისას ნებყოფლობით დაასახელეს და ამხილეს დანაშაულში ხ. პ-იანი.

სააპელაციო სასამართლომ, დაეყრდნო რა მხოლოდ ამ ჩვენებებს, ყურადღებისა და შეფასების გარეშე დატოვა საქმეში არსებული სხვა მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, კერძოდ, იმავე დაზარალებულების მიერ წინასწარი გამოძიების სტადიაზე მიცემული ჩვენებები, ასევე მათ მიერვე ხსენებული დანაშაულის ფაქტზე სხვა განსასჯელთა მიმართ საგარეჯოს რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას მიცემული ჩვენებები, რომლებშიც ისინი ვერ ასახელებენ არამარტო ხ. პ-იანის, არამედ რომელიმე სხვა თავდამსხმელის რაიმე ისეთ ზოგად ან ინდივიდუალურ ნიშანს, რომელიც გამოსადეგი იქნებოდა მათი სარწმუნო იდენტიფიკაციისათვის, რაც შესაბამის ახსნას მოითხოვდა, როდესაც სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო მათ მიერვე სიღნაღის რაიონულ სასამართლოში მიცემულ ხ. პ-იანის მამხილებელ ჩვენებებს. იმავდროულად, სააპელაციო სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა იმავე დანაშაულის ფაქტზე მსჯავრდებული სხვა პირების მიერ საგარეჯოს რაიონულ სასამართლოში მიცემული ჩვენებები, რომლებშიც ისინი კვლავ იხსენებენ ხ. პ-იანს, როგორც დანაშაულში მათთან ერთად უშუალო მონაწილეს.

რაც შეეხება საქმის გამომძიებლების მიერ სიღნაღის რაიონულ სასამართლოში მიცემულ ჩვენებებს, უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ დაუსაბუთებია, რატომ იზიარებს ამ ჩვენებებს და რატომ არ იზიარებს საწინააღმდეგო ჩვენებებს, რომლებშიც განხილულ დანაშაულში მხილებული პირები მიუთითებენ, რომ წინასწარი გამოძიების სტადიაზე მათ ხ. პ-იანის მამხილებელი ჩვენებები მისცეს მათ მიმართ განხორციელებული უკანონო ზემოქმედების შედეგად. ასეთი დასაბუთება მით უფრო აუცილებელი იყო მაშინ, როდესაც თვით სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სიღნაღის

რაიონული სასამართლო არასწორად დაეყრდნო დანაშაულში მონაწილე სხვა პირების მიერ წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ აღიარებით ჩვენებებს.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სააპელაციო სასამართლოს პოზიცია აშკარად წინააღმდეგობრივია ხ. პ-იანის გამართლების ნაწილშიც, რადგან, ერთი მხრივ, განაჩენში მითითებულია, რომ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით არ დასტურდება ხ. პ-იანის მიერ დაზარალებულის კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ფაქტი, ხოლო, მეორე მხრივ, იქვე აღნიშნავს, რომ ყაჩაღური თავდასხმის განხორციელებისას ხ. პ-იანსა და მასთან ერთად მეოფ სხვა პირებს არ გააჩნდათ კონკრეტულად ცეცხლსასროლი იარაღის მისაკუთრების განზრახვა და აქეთვე მიმართული აუცილებელი სპეციალური მიზანი, რაც ეჭვს აჩენს ხ. პ-იანის მიერ სხვა პირებთან ერთად ცეცხლსასროლი იარაღის ფაქტობრივი მისაკუთრების შესაძლებლობის თაობაზე. ამ მიმართებით საკასაციო პალატას მართებულად მიაჩნია საკასაციო საჩივარში პროკურორის მიერ გამოთქმული ეჭვი სააპელაციო სასამართლოს იმ დასაბუთების სისწორის თაობაზე, რაც საფუძველად დაედო სსკ-ის 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით შერაცხული ბრალდების ნაწილში ხ. პ-იანის გამართლებას თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო სასამართლოს პოზიცია არასრული და წინააღმდეგობრივია არა მხოლოდ ამ ბრალდების ნაწილში, არამედ მთლიანად - ყაჩაღობაში ხ. პ-იანის მონაწილეობის თვალსაზრისითაც, კერძოდ, ნამდვილად აქვს თუ არა ჩადენილი ეს დანაშაული და რაში გამოიხატებოდა მასში მისი მონაწილეობა.

ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ არ დაიცვა სსკ-ის მე-18 მუხლით, ასევე მე-19 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნები, რამაც არსებითი გავლენა იქონია საქმის შედეგზე, სახეზეა სსკ-ის 562-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტითა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოება, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 მაისის განაჩენი უნდა გაუქმდეს ხ. პ-იანის როგორც მსჯავრდების, ისე - მისი გამართლების ნაწილში, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას და საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გაირკვეს და გადაწყდეს ის წინააღმდეგობები, რაც არსებობს დაზარალებულთა და დაცვის მოწმეთა მიერ სხვადასხვა დროს მიცემულ ჩვენებებს შორის, რომლებიც წარმოდგენილია საქმეში, როგორც მტკიცებულებები. გარდა ამისა, უნდა შემოწმდეს დაცვის მხარის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მიმდინარეობის თაობაზე წარმოდგენილი ვიდეომასალას აქვს თუ არა სსკ-ის 126-ე მუხლით განსაზღვრული ნიშან-თვისებები - როგორც დოკუმენტურ მტკიცებულებას, ხოლო ასეთის დადგენის შემთხვევაში მას უნდა მიეცეს სათანადო შეფასება, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების თვალსაზრისით. ამასთან, საქმის განხილვა უნდა იყოს ყოველმხრივი, სრული და ამომწურავი, რათა ობიექტურად დადგინდეს საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა ფაქტობრივი გარემოება და მათ საფუძველზე გამოტანილ იქნეს დასაბუთებული, სარწმუნო სამართლებრივი დასკვნები იმის თაობაზე, ნამდვილად მონაწილეობდა თუ არა ხ. პ-იანი დაზარალებულ ბ-შვილების ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმაში და მათ შორის, ცეცხლსასროლი იარაღის გატაცებაში; რაში გამოიხატებოდა მისი როლი დანაშაულის ჩადენაში, თუკი დადასტურდა აღნიშნულ დანაშაულში მისი მონაწილეობა, ხოლო უტყუარ მტკიცებულებათა არასაკმარისობის შემთხვევაში მისი ბრალეულობის თაობაზე სათანადოდ დაუდასტურებელი ეჭვი უნდა გადაწყდეს მსჯავრდებულ ხ. პ-იანის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

სიღნაღის რაიონული პროკურატურის პროკურორ გ. ჯ-შვილისა და მსჯავრდებულ ხ. პ-იანის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 მაისის განაჩენი გაუქმდეს ხ. პ-იანის როგორც მსჯავრდების, ისე - მისი გამართლების ნაწილში, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- მ. ოშხარელი**

განიხილა მსჯავრდებულ რ. მ-ოვის და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. კ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 მარტის განაჩენით რ. მ-ოვი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2006 წლის 15 ივლისს რ. მ-ოვი იმყოფებოდა ბოლნისის რაიონის სოფ. . . . , ლევან შაინიძის მიწის ნაკვეთში, სადაც დალია ალკოჰოლური სასმელი. იქვე სამუშაოდ იმყოფებოდა სოფ. . . . მცხოვრები ნ. გ-ოვი. რ. მ-ოვი განაწყენებული იყო სოფ. . . . მცხოვრებლებზე, რის გამოც ნ. გ-ოვს ნაკვეთის დატოვება მოსთხოვა. სამუშაოს დამთავრების შემდეგ ნ. გ-ოვი თავისი ცხენით და ურმით გაემართა სოფ. . . . გზაში მას შეხვდა ნასვამი რ. მ-ოვი, რომელიც დაუკითხავად დაჯდა ურემზე და განიზრახა, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და მუქარით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა ნ. გ-ოვის ცხენსა და ურემს. ამისათვის მან დაზარალებულს დანა მიადო ყელზე და მოკვლის მუქარით ურმიდან ჩასვლა მოსთხოვა. ნ. გ-ოვი უკან გადაიხარა, მაგრამ რ. მ-ოვი არ მოეშვა, სახის დასერვით ემუქრებოდა და უთხრა, რომ ცხენიან ურემს წაიყვანდა. დაზარალებულმა ურმიდან ჩასვლა მოახერხა, მაგრამ რ. მ-ოვმა მოკვლის მუქარით მოსთხოვა, არ გაქცეულიყო, შემდეგ აიღო ცელი და მოუქნია ნ. გ-ოვს. ეს უკანასკნელი გაიქცა, ხოლო რ. მ-ოვი ცხენშებმული ურმით გაემართა სოფ. . . . მიმართულებით.

აღნიშნული ქმედებისათვის რ. მ-ოვს მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2006 წლის 27 სექტემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა. მათ მოითხოვეს გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 31 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი რ. მ-ოვის მიმართ დარჩა უცვლელად.

კასატორები - მსჯავრდებული რ. მ-ოვი და ადვოკატი ნ. კ-კი საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უკანონოა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს და ყოველგვარი ეჭვი, რაც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

სსკ-ის მე-7 მუხლის შესაბამისად, გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო ვალდებული არიან დაიგვიან საქართველოს კონსტიტუცია და სხვა კანონები, რომელთა დარღვევა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას და უკანონო საპროცესო აქტის გაუქმებას. ამავე კოდექსის 496-ე მუხლის მიხედვით, განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი.

ორივე ინსტანციის სასამართლომ უხეშად დაარღვია საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნები, როდესაც უდანაშაულო რ. მ-ოვის მიმართ გამოიტანეს გამამტყუნებელი განაჩენი.

ის გარემოება, რომ რ. მ-ოვი უდანაშაულო და ნ. გ-ოვის ცრუ დასმენის მსხვერპლია, დასტურდება ყველა მოწმის და ექსპერტის ჩვენებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით. ნ. გ-ოვმა თვითონ სცემა რ. მ-ოვს და მიაყენა დაზიანება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები მოითხოვენ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების განაჩენთა გაუქმებას და საქმის შეწყვეტას.

საკასაციო პალატის სხდომაზე ადვოკატმა ნ. კ-კმა მხარი დაუჭირა თავის საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება იმ მოტივით, რომ საქმეში არსებული მასალები ადასტურებს რ. მ-ოვის უდანაშაულობას. ამასთან, ალტერნატიული მოთხოვნით კასატორმა იშუამდგომლა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებისა და ახალი განხილვისათვის საქმის იმავე სასამართლოში გაგზავნის შესახებ.

სახელმწიფო ბრალმდებელმა ლ. ყ-იანმა მხარი დაუჭირა ადვოკატ ნ. კ-კის ალტერნატიულ მოთხოვნას იმ მოტივით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხულმა მოწმე ი. გ-ოვმა წინასწარი გამომძიებისას მიცემული ჩვენებისაგან არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება მისცა. ამასთან დაკავშირებით ი. გ-ოვი მსჯავრდებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით. ეს უკანასკნელი რ. მ-ოვის ბრალდების საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლოში არ დაკითხულა. პროკურორის აზრით, საქმის ხელახლა განხილვისას უნდა დაიკითხოს მოწმე ი. გ-ოვი, რათა საქმეში

არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის შედეგად დადგინდეს კანონიერი და დასაბუთებული განაჩენი.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმეში არსებული მასალები, მოისმინა მხარეთა მოსაზრება, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ თავის განაჩენში აღნიშნა, რომ რ. მ-ოვის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა დადასტურებულია დაზარალებულ ნ. გ-ოვის, მოწმეების: კ. გ-ოვის და ხ. ა-ოვის ჩვენებებით, ამოღების ოქმით.

დაზარალებულ ნ. გ-ოვის ჩვენებით ირკვევა, რომ რ. მ-ოვმა ურმიდან ჩასვლა მოსთხოვა. შემდეგ დანის მუქარით უთხრა, შეეგინებინა სოფ. ... მცხოვრებლებისათვის. ნ. გ-ოვს შეეშინდა, ორივე ხელი ჰკრა და რ. მ-ოვი დაეცა. ამ დროს იქ გაიარა ი. გ-ოვმა და უცნობმა მამაკაცმა. მათი დანახვისთანავე ნ. გ-ოვი მიუახლოვდა რ. მ-ოვს, მაგრამ ამ უკანასკნელმა ცული მოუქნია და უთხრა - თუ ვინმეს ეტყვი, რომ შენი ცხენი და ურემი მიმყავს, მოგკლავო. ნ. გ-ოვს შეეშინდა და გაიქცა, მივიდა სახლში, სადაც თავისი ოჯახის წევრებს ყველაფერი უამბო, მაგრამ არ უთქვამს, თითქოს რ. მ-ოვს ფიწალი ჩაართყა. დაზარალებულმა მიუთითა, რომ რ. მ-ოვისათვის ფიწალი ან სხვა საგანი არ დაურტყამს. მეორე დღეს ნ. გ-ოვთან მივიდნენ პოლიციელები და უთხრეს, რომ მას უჩიოდნენ, რის შემდეგ გადაწყვიტა, თვითონაც ეჩივლა.

პირველი ინსტანციის სასამართლოში დაზარალებულის მამამ კ. გ-ოვმა განმარტა, რომ ნ. გ-ოვი სახლში ცხენისა და ურმის გარეშე დაბრუნდა. შვილმა უამბო, რომ რ. მ-ოვი მოკვლით დაემუქრა, უთხრა: «იმიტომ უნდა მოგკლა, რომ ს-ელი ხარ და რადგან ს-ელებმა მცემეს, ჯავრი შენზე უნდა ვიყარო». ნ. გ-ოვმა რ. მ-ოვს ჯერ ხელი, შემდეგ კი ფიწალი დაართყა. კ. გ-ოვის განაცხადა, რომ არ იცის, რატომ წაიყვანა ცხენი და ურემი რ. მ-ოვმა. თავის შვილს არ უთქვამს, რომ რ-ი ცხენს და ურემს სთხოვდა.

ამავე სასამართლოში კ. გ-ოვი ხელმეორედ დაიკითხა. მან ამჯერადაც განმარტა, რომ ნ. გ-ოვმა რ. მ-ოვს ფიწალი ჩაართყა, მაგრამ - მოგერიების მიზნით. თავისმა შვილმა უთხრა, რომ ცხენი და ურემი რ. მ-ოვს თავად შესთავაზა, რათა მისთვის თავი დაენებებინა. ნ. გ-ოვს არ უთქვამს, რომ რ. მ-ოვმა ცხენი და ურემი მოსთხოვა.

საქმის წინასწარი გამოძიებისას მოწმე ი. გ-ოვმა განაცხადა, რომ ნ. გ-ოვი და რ. მ-ოვი ურმიდან 1-2 მეტრში იდგნენ და კამათობდნენ, რაც კარგად ესმოდა. რ. მ-ოვს დანა ეჭირა და ნ. გ-ოვს მოკვლით ემუქრებოდა, ხოლო ნ. გ-ოვი ავინებდა. მოწმემ განმარტა, რომ კამათის მიზეზი ვერ გაიგო.

აღნიშნული ჩვენება გამოქვეყნდა სასამართლო სხდომაზე ი. გ-ოვის თანხმობით.

მოწმე ხ. ა-ოვის ჩვენებით ირკვევა, რომ რ. მ-ოვი და ნ. გ-ოვი ისხდნენ ცხენებზე ურემზე და მიემართებოდნენ სოფ. ... მცირე ხანში დაინახა, რომ ურემზე მხოლოდ რ. მ-ოვი იმყოფებოდა, რომელსაც სახიდან სისხლი სდიოდა და მძიმე მდგომარეობაში იყო. მოგვიანებით შეიტყო, რომ ნ. გ-ოვს და რ. მ-ოვს კამათი მოსვლიათ და უჩხუბიათ. იმავე დამით ხ. ა-ოვთან მივიდა ნ. გ-ოვის მამა და უთხრა: «ნ-ამ რ. მ-ოვს ფიწალი ჩაართყა თავში და მაინტერესებს, მოკვდა თუ ცოცხალია».

მოწმეების - ს. ა-ოვას და მ. ს-ოვას ჩვენებებით ირკვევა, რომ მოესმა ქალის ყვირილი. რ. მ-ოვის სახლის ჭიშკართან იდგა ურემი, რომელზეც რ-ი იწვა. იგი უგონოდ იყო და სისხლი სდიოდა. მეზობლების დახმარებით რ. მ-ოვი შეიყვანეს სახლში.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ რ. მ-ოვს აღნიშნებოდა ნაფლეთოვანი ჭრილობა კეფის არემი, სისხლნაჟღერები მკერდის მიდამოში, ასევე - თავის ტვინის შერყევა.

სასამართლო სხდომაზე აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის ავტორმა მ. ლ-მემ მიუთითა, რომ ერთჯერადი დაცემით ორ სხვადასხვა სიბრტყეში დაზიანება არ ვითარდება. ხაზოვან დაზიანებებს მკერდის არემი რ. მ-ოვი ხელის კვრით ვერ მიიღებდა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ არ აღმოფხვრილა მტკიცებულებათა შორის წინააღმდეგობა.

ნ. გ-ოვმა განმარტა, რომ მომხდარის შესახებ ყველაფერი უამბო თავისი ოჯახის წევრებს. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ დაზარალებულის მამამ განაცხადა, რომ მის შვილს არ უთქვამს რ. მ-ოვის მიერ მოკვლის მუქარით ცხენის და ურმის წართმევის შესახებ. ამის მიზეზი არ გარკვეულა, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული ორჯერ დაიკითხა პირველი ინსტანციის სასამართლოში.

საქმის წინასწარი გამოძიებისას დაიკითხა ფაქტის თვითმხილველი მოწმე ჰიქიმათ შ-ოვი და დაზარალებულის მეუღლე ლ. გ-ოვა, რომლებიც, მიუხედავად მიღებული ზომებისა, სასამართლოში ვერ წარადგინეს. სახელმწიფო ბრალმძებელმა იშუამდგომლა ამ პირთა ჩვენებების სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნების შესახებ, რაც არ დაკმაყოფილდა.

ლ. გ-ოვასა და ჰ. შ-ოვის ჩვენებები, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად, სასამართლო სხდომაზე არ გამოკვლეულა და, შესაბამისად, მათზე არცერთი ინსტანციის სასამართლო არ იმსჯელა.

სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, სრული და ობიექტური. ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს მსჯავრდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი გარემოებანი. ამავე კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მტკიცებულებათა შეფასება ხდება სისხლის სამართლის კანონისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე სასამართლო გამოძიება ჩატარებულია არასრულყოფილად. სააპელაციო პალატამ არ გამოიკვლია და სწორად არ შეაფასა საქმეში არსებული მასალები, რის გამოც ჩასატარებელია ხელახალი სასამართლო გამოძიება. საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული გარემოებები, სათანადოდ გამოიკვლიოს და შეაფასოს მსჯავრდებულის არა მხოლოდ მამხილებელი, არამედ გამამართლებელი გარემოებანი, რომელთა ერთობლივი ანალიზის შედეგად მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის პირველი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ რ. მ-ოვის და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. კ-კის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ივლისის განაჩენი რ. მ-ოვის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#1652-აპ-07

13 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
ზ. მეიშვილი,
მ. ოშხარელი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. ო-ოვის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. ო-ოვი ამჟამად პატიმარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 მარტის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

განაჩენით ბ. ო-ოვს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, რაც გამოიხატა შემდეგში: 2006 წლის 4 სექტემბერს ბ. ო-ოვმა განიზრახა ყაჩაღურად თავს დასხმოდა მოქალაქე ხ. ა-ევს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იმავე დღეს, დაახლოებით 15.00 საათზე, შეამჩნია რა თბილისში, ... ქუჩაზე მდებარე #...-ე საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმავალი ხ. ა-ევი, მიუახლოვდა მას და მკაცრი ტონით მოსთხოვა თანხა - 2 ლარი. ხ. ა-ევმა განუცხადა, რომ იგი მას არ იცნობდა და, შესაბამისად, არც ფულს მისცემდა. უარის მიღების შემდეგ ბ. ო-ოვმა ამოიღო დანა, დააბჯინა ხ. ა-ევს კეფაზე და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის მუქარით მოსთხოვა მიეცა მისთვის ფული. ხ. ა-ევმა აღნიშნული მუქარა აღიქვა მისი სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიშ რეალობად, ამოიღო ჯიბიდან მისი კუთვნილი 10 ლარი და გადასცა ბ. ო-ოვს, ხოლო ბ. ო-ოვს დანა წაართვა შემთხვევის ადგილზე მყოფმა დ. გ-შვილმა და შორ მანძილზე მოისროლა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ბ. ო-ოვმა. აპელანტი საჩივარში აღნიშნავდა, რომ მის მიმართ გამოტანილი განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, იგი კარგად იცნობდა დაზარალებულ ხ. ა-ევსაც და მოწმე დ. გ-შვილსაც, მათთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

მან არ იცის ისინი რატომ აბრალევენ, რომ თითქოს მას დანა ჰქონდა და ხ. ა-ევს რამეს სთხოვდა. მას არანაირი ყაჩაღობა არ ჩაუდენია, დანა არ ჰქონია და არც არავისთვის არაფერი მოუთხოვია. აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში საქმის განხილვისას სახელმწიფო ბრალმძებელი შ. ყ-შვილი ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განაჩენის მსჯავრდებულ ბ. ო-ოვის მიმართ უცვლელად დატოვებას.

მსჯავრდებულმა ბ. ო-ოვმა და მისმა დამცველმა, ადვოკატმა ლ. გ-შვილმა მხარი დაუჭირეს სააპელაციო საჩივარს და ითხოვეს მისი დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ივნისის განაჩენით მსჯავრდებულ ბ. ო-ოვის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ბ. ო-ოვმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, რომელშიდაც იგი არ უარყოფს, რომ დაზარალებულ ხ. ა-ევთან მას ჰქონდა კონფლიქტი, მაგრამ კატეგორიულად უარყოფს მის მიერ ყაჩაღობის ჩადენას. კასატორი ბ. ო-ოვი ითხოვს მის მიმართ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვასა და მისი ბრალდების საქმეზე კანონიერი სასამართლო გადაწყვეტილების დადგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ბ. ო-ოვის მიმართ და შეამოწმა მისი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, ისე სააპელაციო სასამართლოში ბ. ო-ოვის ბრალდების საქმის განხილვისას მთლიანად დარღვეულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 და მე-19 მუხლებით დადგენილი მოთხოვნები, რამაც არსებითი გავლენა იქონია საქმის შედეგზე. სასამართლოების მიერ ფაქტობრივი გარემოებები ბ. ო-ოვის მიერ ყაჩაღობის ჩადენის თაობაზე ისე იქნა დადგენილად მიჩნეული, რომ არ გარკვეულა ის მნიშვნელოვანი და აშკარა წინააღმდეგობები, რომლებიც არსებობდა მტკიცებულებებს შორის. უფრო მეტიც, განაჩენებში მითითებულია, რომ ბ. ო-ოვის მიერ დანაშაულის ჩადენა დასტურდება შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და მისი პირადი ჩხრეკის ოქმებით, მაშინ, როდესაც აღნიშნული ოქმები ბ. ო-ოვის ბრალის დამადასტურებელ რაიმე მტკიცებულებას არ შეიცავენ.

დაზარალებული ხ. ა-ევს მიერ წინასწარი გამოძიების სტადიაზე მიცემულ ჩვენებასა და სასამართლოში მიცემულ ჩვენებებს შორის არსებითი წინააღმდეგობებია, რაც არ გაურკვევიათ სასამართლოებს საქმის განხილვისას. არსებით დეტალებში წინააღმდეგობებია აგრეთვე დაზარალებულის ჩვენებებსა და ბრალდების მოწმეთა ჩვენებებს შორის. ასევე, არ არის გარკვეული რა ვითარებაში მოხდა შემთხვევა, ვინაიდან ხსენებულ ვითარებას სრულიად სხვადასხვაგვარად წარმოადგენენ დაზარალებული, მსჯავრდებული და მოწმეები, მათ შორის, პოლიციის თანამშრომლები. მიუხედავად იმისა, რომ განაჩენის საყრდენ მტკიცებულებებს შორის, რომლებიც წარმოადგენილია დაზარალებულისა და ბრალდების მოწმეთა ჩვენებების სახით, ასევე, ამ ჩვენებებსა და მსჯავრდებულის ჩვენებებს შორის არსებობდა სერიოზული წინააღმდეგობები, სააპელაციო სასამართლომ არ ჩაატარა ჯეროვანი სასამართლო გამოძიება სსსკ-ის 533-ე მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებში აღნიშნულ წინააღმდეგობათა გასარკვევად და ჭეშმარიტების დასადგენად, ამასთან, არ დაასაბუთა მსჯავრდებულის ჩვენების საპირისპიროდ რატომ გაიზიარა სხვა, აშკარად წინააღმდეგობრივი მტკიცებულებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოში მსჯავრდებულ ბ. ო-ოვის ბრალდების საქმის განხილვისას და ამ საქმეზე განაჩენის დადგენისას დაშვებულ იქნა საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა, გათვალისწინებული საქართველოს სსსკ-ის 562-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტითა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც განაჩენის გაუქმების საფუძველია, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე მსჯავრდებულ ბ. ო-ოვის მიმართ უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისას.

სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ჩატარდეს სრულფასოვანი სასამართლო გამოძიება, ხელახლა უნდა იქნეს გამოკვლეული მტკიცებულებები სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა სარწმუნოდ დადგინდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, უნდა აღმოფხვრას მტკიცებულებებს შორის წინააღმდეგობები, რომლებიც უნდა შეფასდეს სსსკ-ის მე-19 მუხლით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, ხოლო აღნიშნული საპროცესო მოქმედებების შედეგად მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე გამოტანილ უნდა იქნეს დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილება ბ. ო-ოვის ბრალეულობის თაობაზე, კერძოდ, ჩაიდინა თუ არა მან დანაშაული, კონკრეტულად რა დანაშაული ჩაიდინა მან და რა ზომით უნდა აგოს პასუხი ამ დანაშაულისათვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ბ. ო-ოვის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ივნისის განაჩენი ბ. ო-ოვის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#2149აპ-07

6 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- ზ. მეიშვილი,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორი ი. კ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ოქტომბრის განაჩენზე მსჯავრდებულების - გ. ტ-ძისა და ნ. ტ-ძის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 ივლისის განაჩენით: გ. ტ-ძე ამჟამად პატიმრობაში მყოფი, მსჯავრდებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტისა და იმავე კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, ხოლო სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული სასჯელები შეიკრიბა და მთლიანობაში მას სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით; ნ. ტ-ძე, ამჟამად პატიმრობაში მყოფი, მსჯავრდებულ იქნა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

იმავე განაჩენით გ. ტ-ძე გამართლდა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტისა და იმავე კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შერაცხულ ბრალდებაში.

განაჩენის მიხედვით, გ. ტ-ძისა და ნ. ტ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 12 აპრილს ხარაგაულის რაიონის სოფ. ... , ერთ-ერთ მაღაზიასთან, გ. ლ-ძე შეხვდა გ. ტ-ძესა და მის შვილს - ნ. ტ-ძეს. მათ ერთად დაიწყეს არყის სმა, რა დროსაც გ. ტ-ძემ გ. ლ-ძეს გადასცა მობილური ტელეფონი, რომელიც ამ უკანასკნელს ვალის სანაცვლოდ ჰქონდა დატოვებული ტ-ძეებისათვის. გ. ლ-ძე აღარ უბრუნებდა რა თავისივე კუთვნილ «მოტოროლა-139» მოდელის მობილურ ტელეფონს, გ. ტ-ძე და ნ. ტ-ძე თავს დაესხნენ მას. მისი წინააღმდეგობის დაძლევისა და შიშის ქვეშ მოქცევის მიზნით, ნ. ტ-ძემ თანაქონი დანა დაარტყა გ. ლ-ძეს მარჯვენა ფეხში, რითაც მას მიაყენა ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება. მამა-შვილმა ტ-ძეებმა სცემეს მას (გ. ლ-ძეს) და გასტაცეს 95 ლარად ღირებული მობილური ტელეფონი.

გ. ტ-ძემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა საბრძოლო მასალა - ოთხი ცალი 7,62 მმ კალიბრიანი «კალაშნიკოვის», ერთი ცალი 5,45 მმ კალიბრიანი «კალაშნიკოვისა» და ერთი ცალი 5,6 მმ კალიბრიანი შაშხანის ვაზნები, რომლებსაც ის მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა ხარაგაულის რაიონის სოფ. ... მდებარე, თავისი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე, საკუჭნაო ოთახში არსებულ ხის თაროზე, რაც ამოღებულ იქნა 2007 წლის 13 აპრილს ხარაგაულის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლების მიერ ჩატარებული ჩხრეკის შედეგად.

აპელანტი, სახელმწიფო ბრალმდებელი, ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორი ი. კ-ძე თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 ივლისის განაჩენში მსჯავრდებულთათვის საუარესო ცვლილების შეტანას, კერძოდ, გასაჩივრებული განაჩენის შეცვლას გ. ტ-ძის სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილითა და

ამავე კოდექსის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გამართლების ნაწილში, ამ ბრალდებითაც გ. ტ-ძის დამნაშავედ ცნობასა და მისთვის დანაშაულთა ერთობლიობით 13 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას, ხოლო ნ. ტ-ძის მიმართ სასჯელის გამკაცრებას - მისთვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას 8 წლის ვადით.

მსჯავრდებულების - გ. ტ-ძისა და ნ. ტ-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი რ. ა-ძე თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას, მსჯავრდებულთა უდანაშაულოდ ცნობასა და გამართლებას.

სააპელაციო საჩივრები განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც, არ დააკმაყოფილა რა აპელანტის მოთხოვნები, 2007 წლის 25 ოქტომბრის განაჩენით უცვლელად დატოვა მსჯავრდებულების - გ. ტ-ძისა და ნ. ტ-ძის მიმართ ხარაგაულის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ი. კ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად შემდეგი მოტივების საფუძველზე: სასამართლომ მსჯავრდებულ გ. ტ-ძისა და მოწმის წინააღმდეგობრივი ჩვენებების საფუძველზე, სხვა მტკიცებულებების შეფასების გარეშე, უკანონოდ გაამართლა იგი არაერთგზის ყაჩაღობის ჩადენისა და ძარცვის თაობაზე წარდგენილ ბრალდებებში. სასამართლომ, ასევე დაუსაბუთებლად, მსჯავრდებულ ნ. ტ-ძეს დაუნიშნა გაუმართლებლად ლომობიერი სასჯელი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების - გ. ტ-ძის, ნ. ტ-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ გ. ტ-ძისა და ნ. ტ-ძის ბრალდების საქმის განხილვისას არ დაიცვა საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოკვლევის თაობაზე სსსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, აგრეთვე, სსსკ-ის მე-19 მუხლით დადგენილი მოთხოვნები, რამაც განაპირობა განაჩენში წინააღმდეგობრივი დასკვნებისა და სამართლებრივი შეფასებების გაკეთება. მხედველობაშია შემდეგი გარემოებები: სააპელაციო სასამართლომ, მართალია, ბრალდების პირველ ეპიზოდთან დაკავშირებით, რომელიც ძარცვას შეეხებოდა, სწორად მიუთითა, რომ მსჯავრდებულ გ. ტ-ძეს რეალურად ძარცვა არ ჩაუდენია, მისი ქმედება კი განპირობებული იყო მას და დაზარალებულს შორის არსებული სადავო ვალდებულებითი ურთიერთობებით, მაგრამ, ამავე დროს, ყოველმხრივ და სრულად არ გამოიკვლია, ხომ არ წარმოადგენდა გ. ტ-ძის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება თვითნებობას, დანაშაულს, გათვალისწინებულს სსსკ-ის 360-ე მუხლის პირველი ნაწილით. ამის თაობაზე სააპელაციო სასამართლო განაჩენში აღნიშნავს, რომ არ არსებობს თვითნებობის შემადგენლობის ისეთი აუცილებელი ნიშანი, როგორცაა მნიშვნელოვანი ზიანი, ეყრდნობა რა მხოლოდ იმ არგუმენტს, რომ დაზარალებულს არსად განუცხადებია მისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების თაობაზე. საკასაციო პალატა ასეთ დასკვნას ვერ მიიჩნევს საფუძვლიანად და დასაბუთებულად, რადგან არც პირველი ინსტანციისა და არც სააპელაციო სასამართლოში არ გამოკვლეულა აღნიშნული საკითხი. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ოცდამეხუთე თავით გათვალისწინებული საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისგან განსხვავებით, სადაც ქმედებით გამოწვეული ზიანის მნიშვნელობა საკანონმდებლო გზითაა განსაზღვრული, თვითნებობის შემთხვევაში საკითხი - მნიშვნელოვანია თუ არა ქმედებით გამოწვეული ზიანი - განისაზღვრება ინდივიდუალურად, კონკრეტული ფაქტის გარემოებების საფუძველზე და იგი სასამართლოს შეფასების საგანია, მაგრამ ასეთი შეფასება არ შეიძლება გაკეთდეს სასამართლო გამოძიებისას საკითხის საფუძვლიანი გამოკვლევის გარეშე.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას არ ყოფილა გამოკვლეული და დადგენილი - მსჯავრდებულებსა და დაზარალებულს შორის მომხდარი კონფლიქტის იმ შემთხვევისას, რომელიც სააპელაციო სასამართლოს განაჩენით ყაჩაღობად იქნა დაკვალიფიცირებული, კვლავ არსებობდა თუ არა მათ შორის რაიმე სადავო ვალდებულებითი ურთიერთობა. ეს საკითხი არსებითი და მნიშვნელოვანია, ვინაიდან საქმის მასალები გარკვეულად ადასტურებს, რომ არ არის გამორიცხული, ბრალდების მეორე ეპიზოდთან დაკავშირებით, მსჯავრდებულთა მოქმედება განპირობებული ყოფილიყო ისეთი მოტივებით, რომლებიც სრულიად არ შეესაბამება ყაჩაღობის სუბიექტური მხარისათვის დამახასიათებელ მოტივაციურ სფეროს. ასეთ შესაძლებლობას არ გამორიცხავს თვით დაზარალებულის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენებაც კი. უფრო მეტიც, ყაჩაღობის ეპიზოდთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ კონფლიქტის წინ გ. ტ-ძემ დაზარალებულ ლ-ძეს გადასცა მობილური ტელეფონი, რომელიც ამ უკანასკნელს ვალის სანაცვლოდ ჰქონდა დატოვებული ტ-ძეებისათვის.

ამრიგად, სააპელაციო სასამართლოს განაჩენის წინააღმდეგობრივი ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი და იმავე პირობებისა და გარემოებების არსებობისას სასამართლომ გამოიტანა ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნები: პირველ ეპიზოდში - მარცხის არარსებობის, ხოლო მეორე ეპიზოდში - ყაჩაღობის არსებობის შესახებ, ისე, რომ სასამართლოს არ გაურკვევია, ყაჩაღობის ჩადენამდე დაზარალებულს ჰქონდა თუ არა დაბრუნებული ვალი მსჯავრდებულ გ. ტ-მისათვის, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ეს იყოს არა ყაჩაღობა, არამედ - თვითნებობა, ჩადენილი ძალადობით, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 360-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ ეტაპზე საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება ბრალდების მხარის მიერ საკასაციო საჩივარში გაკეთებულ დასკვნას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულ გ. ტ-მეს ჩადენილი აქვს მარცვა და შესაბამისად ამისა - ყაჩაღობა არაერთგზის, თუმცა, გასარკვევი და დასადგენია გ. ტ-მეს პირველ და მეორე ეპიზოდებში ხომ არა აქვს ჩადენილი ისეთი დანაშაული, როგორცაა თვითნებობა, რისთვისაც აუცილებელია ჩატარდეს სრულფასოვანი სასამართლო გამოძიება. აღნიშნული გარემოებების გამო საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ნაწილობრივ - გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების მოთხოვნის ნაწილში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დაშვებულია სსკ-ის 562-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტითა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული არსებითი საპროცესო დარღვევა, რამაც გავლენა იქონია საქმის შედეგზე და რის გამოც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ოქტომბრის განაჩენი უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მსჯავრდებულების - გ. ტ-მისა და ნ. ტ-მის მიმართ დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გაირკვეს ყველა ზემოაღნიშნული გარემოება, რისთვისაც დეტალურად და საფუძვლიანად უნდა დაიკითხონ როგორც მსჯავრდებულები, ასევე - დაზარალებული და ის მოწმეები, რომელთა ჩვენებებს ექნება არსებითი მნიშვნელობა იმის გადასაწყვეტად - მსჯავრდებულებმა ჩაიდინეს თუ არა რაიმე დანაშაული, ხოლო თუ ჩაიდინეს, კონკრეტულად - რომელი დანაშაული, რა დროსაც საპროცესო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დაცვით მოპოვებული სარწმუნო მტკიცებულებებისა და ამ უკანასკნელთა ობიექტური სამართლებრივი შეფასების საფუძველზე გამოტანილ უნდა იქნეს კანონიერი და დასაბუთებული განაჩენი მსჯავრდებულების - გ. ტ-მისა და ნ. ტ-მის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორ ი. კ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ოქტომბრის განაჩენი გ. ტ-მისა და ნ. ტ-მის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მათ მიმართ გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#303-აპ

14 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

განიხილა მსჯავრდებულ გ. დ-ურის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 დეკემბრის განაჩენით გ. დ-ური ამჟამად პატიმრობაში მყოფი, დ. გ-ური ამჟამად პატიმრობაში მყოფი, მსჯავრდებულ იქნენ სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «გ» ქვეპუნქტების საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრათ: გ. დ-ურს - თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, ხოლო დ. გ-ურს - თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

იმავე განაჩენით გ. თ-შვილი, ამჟამად პატიმრობაში მყოფი, მსჯავრდებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ», «გ» ქვეპუნქტების საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით.

განაჩენით გ. დ-ურსა და დ. გ-ურს მსჯავრი დაედო ყაჩაღობისათვის, ჩადენილი ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით, ხოლო გ. თ-შვილს მსჯავრი დაედო ყაჩაღობისათვის, ჩადენილი ჯგუფურად, არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 12 მარტს, 1:00 საათზე, გ. თ-შვილმა, დ. გ-ურმა და გ. დ-ურმა წინასწარი შეთანხმებით მართლსაწინააღმდეგოდ შეაღწიეს დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. ... მცხოვრები დაზარალებულის, ე. ბ-ურის საცხოვრებელ ბინაში, რა დროსაც სანადირო თოვის მუქართა და ძალადობით ყაჩაღურად გაიტაცეს დაზარალებულ მ. ბ-შვილის კუთვნილი ოქროს სამკაულები და სხვა ნივთები, რითაც მათ დაზარალებულს სულ მიაყენეს 4860 ლარისა და 600 აშშ დოლარის ზიანი.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულების - დ. გ-ურისა და გ. დ-ურის დამცველმა, ადვოკატმა მ. ბ-მემ, აგრეთვე გ. თ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა გ. ს-იამ. ადვოკატი მ. ბ-მე, ისევე, როგორც ადვოკატი გ. ს-ია, თავისი საჩივრით ითხოვდა დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 დეკემბრის განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულთა მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ განაჩენი არ ემყარება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს; საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა ვერც ერთმა პირმა და ვერც კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა ვერ ამხილეს მსჯავრდებულები დანაშაულში; დ. გ-ურის ბინიდან ამოღებულ იქნა ნივთები, რომლებიც წარედგინა დაზარალებულს და მან კატეგორიულად უარყო წარდგენილი ნივთების კუთვნილება; დაზარალებული ე. ბ-ური ასევე უარყოფს, რომ ყაჩაღობა ჩაიდინეს სასამართლო პროცესზე წარმოდგენილმა პირებმა. ადვოკატებს მიაჩნდათ, რომ ბ-ურის ბინაში აღმოჩენილი თითის კვლები და სუნის ნიმუშები გაყალბებულია.

სიღნაღის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გ. ჯ-შვილმა აღნიშნულ სააპელაციო საჩივრებზე შეიტანა შესაგებელი და მოითხოვა დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 დეკემბრის განაჩენის უცვლელად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 დეკემბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივრების მოთხოვნები, ხოლო დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 დეკემბრის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება: გ. თ-შვილის, გ. დ-ურისა და დ. გ-ურის ქმედება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია), გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია).

განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულების - გ. თ-შვილის, გ. დ-ურისა და დ. გ-ურის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. დ-ურმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

მსჯავრდებული გ. დ-ური თავისი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველზე, რომ მას არ ჩაუდენია განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, რასაც ეთანხმება ასევე დაზარალებული ე. ბ-ური.

საკასაციო პალატის სხდომაზე განხილვისას მსჯავრდებულმა გ. დ-ურმა და მისმა დამცველმა ადვოკატებმა - ლ. შ-მემ და მ. ბ-მემ, რომელიც პროცესზე ასევე იცავდა იმავე განაჩენით მსჯავრდებული პირების - დ. გ-ურისა და გ. თ-შვილის ინტერესებს, მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს, შემდეგი მოტივებიდან გამომდინარე: მსჯავრდებულ გ. დ-ურის განმარტებით, 2006 წლის 11-12 მარტის ღამეს ის იმყოფებოდა თავის სახლში და დილაზე არსად წასულა, რასაც ადასტურებენ მისი ოჯახის წევრები და მეზობლები. მეორე დღეს ის და კიდევ რამდენიმე ადამიანი მიიყვანეს პოლიციაში და ყველას აუღეს თითების ანაბეჭდები, შემდეგ უთხრეს, რომ მათი თითების ანაბეჭდები არ ემთხვეოდა და ყველა გაუშვეს. ორი კვირის შემდეგ ისევ დააკავეს, მაგრამ მისგან თითების ანაბეჭდები აღარ აუღიათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატმა ლ. შ-მემ მიუთითა, რომ დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნები, რომლებიც გ. დ-ურის და სხვათა ბრალდების საქმეში ერთადერთ მტკიცებულებას წარმოადგენს, გაყალბებულია, ამიტომ მათთვის წარდგენილი ბრალდება მთლიანად უსაფუძველოა, ხოლო სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უკანონოა. ადვოკატმა მ. ბ-მემ აღნიშნა, რომ ბრალდება უსაფუძველოა და ამაში დარწმუნებულია არამარტო დაცვის მხარე, არამედ დაზარალებული ე. ბ-ურიც, რომელიც საქმეზე მაშინვე დაკითხეს. იმავე პოზიციაზე იყო ეს უკანასკნელი სასამართლოში საქმის განხილვისას და მას დღესაც იგივე პოზიცია უკავია. მსჯავრდებულებს აქვთ ალიბები, რომლებსაც ადასტურებენ სხვა პირები. 2006 წლის 12 მარტს ჩატარდა ჩხრეკა მათ ბინებში, სადაც ვერაფერი იქნა ნაპოვნი. გ. დ-ურისა და დ. გ-ურის მიმართ

არსებობს მხოლოდ პოლიციის მიერ გაყალბებული და, ვითომდა, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული თითების ანაბეჭდები, ასევე - ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნები, ხოლო გ. თ-შვილის მიმართ - მხოლოდ ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მტკიცებულებად. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოში დაკითხეს მოწმე ნ. ბ-ური, რომლის ჩვენებით მომხდარ დანაშაულში იმხილებიან სხვა პირები და არა - მსჯავრდებულები.

საბოლოოდ ადვოკატებმა - ლ. შ-ძემ და მ. ბ-ძემ ითხოვეს სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულების - გ. დ-ურის, დ. გ-ურისა და გ. თ-შვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა, რასაც მხარი დაუჭირა მსჯავრდებულმა გ. დ-ურმა.

დაზარალებულმა ე. ბ-ურმა და მისმა დამცველმა, ადვოკატმა მ. ბ-შვილმა მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს. ე. ბ-ურმა აღნიშნა, რომ ყაჩაღები ორნი იყვნენ, ხოლო ვინც დღეს მსჯავრდებულნი არიან, მათ მის მიმართ ყაჩაღობაში მონაწილეობა არ მიუღიათ. მისთვის ცნობილია ის პირები, ვინც სინამდვილეში აღნიშნული დანაშაული ჩაიდინეს, მაგრამ, მისი განცხადების მიუხედავად, მათ მიმართ არავითარი ზომები არ მიიღეს; იგი დარწმუნებულია, რომ გ. დ-ური, დ. გ-ური და გ. თ-შვილი მას არ დააყაჩაღებდნენ. ადვოკატი მ. ბ-შვილი ეთანხმება დაზარალებულ ე. ბ-ურს, რადგან, მისი აზრით, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნები გაყალბებულია, ხოლო საქმეში მსჯავრდებულთა მიმართ სხვა უტყუარი მტკიცებულება არ არსებობს, რის გამოც ბრალდება მიაჩნია სრულიად უსაფუძვლოდ. საბოლოოდ დაზარალებულმა ე. ბ-ურმა და მისმა დამცველმა, ადვოკატმა მ. ბ-შვილმა ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულების - გ. დ-ურის, დ. გ-ურისა და გ. თ-შვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა.

პროცესში მონაწილე პროკურორმა გ. შ-ძემ მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივარს და აღნიშნა, რომ საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების - დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნებითა და ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნებით, ასევე საქმეში არსებული სხვა მასალებით, რომლებიც ერთობლივად წარმოადგენენ საკმარის მტკიცებულებებს, დადასტურებულად მიაჩნია, რომ გ. დ-ურმა, დ. გ-ურმა და გ. თ-შვილმა ნამდვილად ჩაიდინეს განაჩენით მათთვის შერაცხული დანაშაული. აღნიშნულის შესაბამისად, პროკურორმა გ. შ-ძემ ითხოვა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 დეკემბრის განაჩენი მსჯავრდებულების - გ. დ-ურის, დ. გ-ურისა და გ. თ-შვილის მიმართ დარჩეს უცვლელად, ხოლო კასატორს უარი ეთქვას მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები კასატორის - გ. დ-ურის მიმართ, ასევე სარევიზიო წესით საქმე შეამოწმა სრული მოცულობით მსჯავრდებულების - დ. გ-ურისა და გ. თ-შვილის მიმართ, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მოუსმინა მხარეებს, რის შედეგადაც მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს ყველა მსჯავრდებულის მიმართ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოში გ. დ-ურის, დ. გ-ურისა და გ. თ-შვილის ბრალდების საქმის განხილვისას საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ გამოკვლეულა სრულად და ყოველმხრივ, ხოლო საქმეში არსებული ბრალდების მტკიცებულებები სათანადოდ არ შემოწმებულა და ასევე არ შეფასებულა, მათი დასაშვებობისა და საკმარისობის თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ საქმე ეხებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს, ხოლო ბრალდების მხარის წარმომადგენელი - დაზარალებული ე. ბ-ური კატეგორიულად მიუთითებდა, რომ ბრალდებულები არ იყვნენ მონაწილენი იმ დანაშაულისა, რომელიც მის წინააღმდეგ ჩაიდინეს სრულიად სხვა პირებმა.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გ. დ-ურისა და დ. გ-ურის მსჯავრდების ნაწილში ეყრდნობა მხოლოდ დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნასა და ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, ხოლო გ. თ-შვილის მსჯავრდების ნაწილში - მხოლოდ ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნას. სააპელაციო სასამართლო ჯეროვანი ყურადღებით არ მოეკიდა აღნიშნული მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხს. კერძოდ, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა ჩატარებულია შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას დაზარალებულ ე. ბ-ურის ბინიდან ამოღებულ თითების ანაბეჭდებზე. შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილეობდნენ დედოფლისწყაროს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელი ა. ლ-შვილი, იმავე განყოფილების უფროსის მოადგილე გ. თ-შვილი, დამსწრეები - ვ. ბ-ური და თ. კ-შვილი, აგრეთვე - ექსპერტ-კრიმინალისტი გ. ხ-შვილი, რომლებიც ხელს აწერენ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს. აღნიშნულ ოქმში მითითებულია, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას სხვადასხვა საგნიდან ექსპერტ-კრიმინალისტის - გ. ხ-შვილის მიერ ამოღებულ იქნა თითის კვლები, რომლებიც შეიფუთა და დაილუქა სათანადო წესით. შემდგომში, როდესაც აღნიშნული თითის კვლები წარედგინა სასამართლო ექსპერტს დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩასატარებლად, აღმოჩნდა, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული თითის კვლები დალუქული იყო სამ პაკეტში, ლუქებზე კი იკითხებოდა მხოლოდ ორი გვარი - ვ. ბ-ური და თ. კ-შვილი, ხოლო დათვალიერებაში მონაწილე არც ერთი სხვა პირის ხელმოწერა აღნიშნულ პაკეტებზე არ არსებობდა

მიუხედავად იმისა, რომ დაცვის მხარე აყენებდა საკითხს, რომ აღნიშნული თითის ანაბეჭდები იყო გაყალბებული, სააპელაციო სასამართლომ არ გაარკვია: ექსპერტიზაზე წარდგენილ პაკეტებზე, რომლებ-

შიც მოთავსებული იყო შემთხვევის ადგილიდან ამოღებული თითების ანაბეჭდები, რატომ არ იყო აღნიშნული დათვალიერებაში მონაწილე სხვა პირების ხელმოწერები; ამასთან, გვარები (ვ. ბ-ური, თ. კ-შვილი), რომლებიც ლუქებზე იყო აღნიშნული, ნამდვილად ამ პირების მიერ იყო თუ არა ხელმოწერილი.

გარდა ამისა, იმავე შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში აღნიშნულია, რომ შემთხვევის ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტიკის მიერ ამოღებულ იქნა სუნის კვალი სხვადასხვა საგნიდან, მაგრამ არ არის მითითებული, შეიფუთა და დაილუქა თუ არა ისინი კანონით დადგენილი წესით. შემდეგ ხსენებული სუნის კვლევი, ექვმიტანილებიდან აღებულ სუნის კვლევთან ერთად, წარედგინა სასამართლო ექსპერტს ოდოროლოგიური ექსპერტიზის ჩასატარებლად, რომელთა საფუძველზეც ექსპერტმა ბ. ი-მემ გასცა ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. მას ხელს აწერენ თვით ბ. ი-მე და უმცროსი ინსპექტორ-კინოლოგი დ. ნ-ია. ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია ასევე სასამართლო მალღებზე - «ჯესი», «გერდა», «ლედი».

აღნიშნულ ექსპერტიზის დასკვნაში ასევე მითითებულია რომ ექსპერტიზაზე წარმოდგენილია შემთხვევის ადგილზე ამოღებული ნივთებიდან აღებული სუნის კვალის ნიმუშები, მაგრამ არაფერია მითითებული იმის თაობაზე, თუ აღნიშნული სუნის ნიმუშები რაში ინახებოდა; იყო თუ არა ისინი დალუქული და ვინ აწერდა ხელს ლუქებზე.

ამის შემდეგ ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნულია, ექსპერტიზის წინაშე რა საკითხები იყო დასმული გადასაწყვეტად, ხოლო ექსპერტიზის დასკვნა მთავრდება გამოკვლევის შედეგების მითითებით, სადაც ასევე აღნიშნულია, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული სუნის კვლევი იდენტურია დ. გ-ურის, გ. დ-ურისა და გ. ლ-შვილისგან (იგივე გ. თ-შვილისგან) აღებული სუნის კვლებისა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოების თაობაზე: ხსენებული ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში საერთოდ არაფერია მითითებული, რა ნივთიერი ნიმუშისა, თუ სხვა ობიექტის გამოკვლევა განხორციელდა; რა გამოკვლევა ჩატარდა და რა მეთოდები იქნა გამოყენებული კვლევისათვის; საკმარისად საიმედოა თუ არა ისინი ექსპერტიზის ჩასატარებლად და დასკვნების გამოსატანად, ასევე დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხები არ არის დასაბუთებული, რაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 371-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ექსპერტიზის დასკვნის აუცილებელ და სავალდებულო რეკვიზიტებს წარმოადგენს და რომელთა გარეშე ექსპერტის დასკვნა არ შეიძლება დასაშვებ მტკიცებულებად იქნეს მიჩნეული. რაც შეეხება განხილულ ექსპერტის დასკვნაში მოხსენიებულ სასამართლო მალღებზე, უნდა აღინიშნოს, რომ, ხსენებულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა - ცხოველის გამოყენებით მიღებული მონაცემების საიმედოობა და უტყუარობა საქმეში წარმოდგენილ ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში რამდენად იყო სათანადო მეცნიერული მეთოდით შემოწმებული და დასაბუთებული.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა აგრეთვე გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად საქმეში არსებული მტკიცებულებების საკმარისობის საკითხზე, რაც აუცილებელი იყო იქიდან გამომდინარე, რომ, გარდა შემთხვევის ადგილიდან ამოღებული თითის კვალისა და ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა, მსჯავრდებულთა ბრალეულობის დასადასტურებლად არც საბრალდებო დასკვნასა და არც განაჩენებში არ არის მითითებული სხვა ისეთ მტკიცებულებაზე, რომელიც თუნდაც არაპირდაპირ დაადასტურებდა გ. დ-ურის, დ. გ-ურისა და გ. თ-შვილის დანაშაულში მონაწილეობას.

საკასაციო პალატის დასკვნით, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, გ. დ-ურის, დ. გ-ურისა და გ. თ-შვილის ბრალდების საქმის განხილვისას და მის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ არ შეასრულა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლითა და მე-19 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნები, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე და რაც განაჩენის გაუქმების საფუძველია, თანახმად საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტისა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილისა. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 დეკემბრის განაჩენი გ. დ-ურის, დ. გ-ურისა და გ. თ-შვილის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მათ მიმართ დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვისას შესაბამისი საპროცესო მოქმედებების საშუალებით უნდა გაირკვეს ზემოაღნიშნული საკითხები, კერძოდ: შემთხვევის ადგილიდან ამოღებული თითების ანაბეჭდების პაკეტების ლუქებზე აღმოჩენილი წარწერები - ვ. ბ-ური, თ. კ-შვილი - ნამდვილად ამ პირების მიერ არის შესრულებული, თუ ისინი დაწერილია სხვა პირის მიერ და რატომ არ არის აღნიშნულ პაკეტებზე შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილე სხვა პირების ხელმოწერები; შემთხვევის ადგილიდან ამოღებული სუნის კვალი (ნიმუშები) დაილუქა თუ არა კანონით დადგენილი წესით და ამის თაობაზე რატომ არ არის მითითებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმსა და ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში; რა მეცნიერული და კვლევითი მეთოდი გამოიყენა ექსპერტმა ბ. ი-მემ ოდოროლოგიური ექსპერტიზის ჩატარებისას, რამდენად საიმედოა იგი და რა დასაბუთება გააჩნდა ექსპერტს დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისას; არსებობს თუ არა რაიმე დოკუმენტური მასალა ექსპერტ ბ. ი-მის მიერ ჩატარებული კვლევისა და მისი

მეთოდის თაობაზე; თუკი არსებობს, რატომ არ არის ისინი ასახული ექსპერტის დასკვნაში; შეესაბამება თუ არა სინამდვილეს დაცვის მხარის განცხადება იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულები სხვა პირებთან ერთად ორჯერ მიიყვანეს პოლიციაში, ვიდრე მათ წარუდგენდნენ ბრალდებას ყაჩაღობაში მონაწილეობაზე.

აღნიშნული საკითხების გასარკვევად, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საქმის ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენისათვის, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მიზანშეწონილია, დაიკითხოს შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილე ყველა პირი, რომლებიც ხელს აწერენ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ოქმს, აგრეთვე - საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს კახეთის სამხარეო კრიმინალისტიკური განყოფილების ექსპერტი გ. ხეჩოშვილი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს კინოლოგიის სამსახურის ოდოროლოგიური კვლევის მიმართულების ექსპერტი ბ. ი-ძე. ამავე დროს, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას უნდა მოხდეს იმ პაკეტებისა და მათზე არსებული ლუქების დათვალიერება - შემოწმება, რომლებიც წარდგენილი იყო ოდოროლოგიური ექსპერტიზის ჩასატარებლად და რომლებშიც მოთავსებული იყო შემთხვევის ადგილზე ამოღებული ნივთებიდან აღებული სუნის კვლები და ასევე - ექვიტანტილებისგან აღებული სუნის ნიმუშები იმის დასადგენად: იყო თუ არა შეფუთული და დალუქული ისინი კანონით დადგენილი წესით, ამ ლუქებზე ან მათ შეფუთვაზე იყო თუ არა რაიმე ხელმოწერები. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოში უნდა განხორციელდეს სხვა საპროცესო მოქმედებებიც, თუ მათი საჭიროება წარმოიშობა საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. ხელახალი, სრულყოფილი სასამართლო გამოძიებით მოპოვებული მტკიცებულებებისა და მათი დასაშვებობის, უტყუარობისა და საკმარისობის შემოწმების საფუძველზე მიღებული შედეგების გათვალისწინებით, უნდა იქნეს გამოტანილი დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილება მსჯავრდებულების - გ. დ-ურის, დ. გ-ურისა და გ. თ-შვილის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. დ-ურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 დეკემბრის განაჩენი გ. დ-ურის, დ. გ-ურისა და გ. თ-შვილის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მათ მიმართ ახალი განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. თაღლითობა

განჩინება

#1796-აპ

11 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
ზ. მეიშვილი,
დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. მ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით მ. მ-ძეს ბრალი დაედო იმაში, რომ ბინაში უკანონო შეღწევით ჩაიდინა ქურდობა ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; მანვე ჩაიდინა თაღლითობა, ანუ ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, რაც გამოიხატა შემდეგში:

2004 წელს, თვე და რიცხვი დაუდგენელია, მ. მ-ძემ განიზრახა თავის გვერდით, მეზობლად, ქ. ზუგდიდში, ... ქ. #40\2-ში მცხ. ლ. პ-იას კუთვნილი ფულადი თანხის ფარული დაუფლება. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იგი იმავე წელს, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, მივიდა ლ. პ-იას ბინაში, თანაქონი კარის გასაღების მეშვეობით უკანონოდ შეაღწია ბინაში, სადაც მართლსაწინააღმდეგო

მისაკუთრების მიზნით ლ. პ-იას საწოლის ლეიბის ქვეშ დადებული ხელჩანთიდან ფარულად დაეუფლა და მიისაკუთრა ლ. პ-იას კუთვნილი თანხა - 950 ლარი, რის შემდეგაც მიიმალა შემთხვევის ადგილიდან. აღნიშნული ქმედებით მან დაზარალებულ ლ. პ-იას მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

მანვე 2006 წლის 8 თებერვალს ლ. პ-იას ნდობის ბოროტად გამოყენებით გააფორმა რწმუნებულება ნოტარიუსთან, ასევე, მოტყუებით მიისაკუთრა მისი პირადობის მოწმობა, რის შემდეგაც სს «სახალხო ბანკის» ზუგდიდის ფილიალის ... დასახლების სალაროში, სხვადასხვა დროს, კერძოდ, 2005 წლის 23 სექტემბერს, 2005 წლის 24 ოქტომბერს, 2005 წლის 25 ნოემბერს და 2005 წლის 19 დეკემბერს მიიღო 28-28 ლარის ოდენობით საპენსიო თანხები, რის შემდეგაც 2006 წელსაც გაგრძელდა მ. მ-ის ერთიანი მიზნით განპირობებული წინასწარ განზრახული განგრძობადი დანაშაულებრივი საქმიანობა - დასახლებული დაწესებულებიდან აიღო დაზარალებულის კუთვნილი საპენსიო თანხები შემდეგი ოდენობით: 25 იანვარს - 28 ლარი, 27 თებერვალს - 49 ლარი, 21 მარტსა და 19 აპრილს - 35-35 ლარი. ამდენად, მ. მ-ემ დაზარალებულ ლ. პ-იას კუთვნილი საპენსიო თანხა მიითვისა, სულ - 259 ლარი, რითაც დაზარალებულ ლ. პ-იას მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 მაისის განაჩენით:

მ. მ-მეს ბრალიდან ამოერიცხა სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ» ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «გ» ქვეპუნქტით (ძვ.რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა და ამ ნაწილში გამართლდა.

მ. მ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და მიესაჯა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ მ. მ-მის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 8 თებერვალს მ. მ-მემ ლ. პ-იას ნდობის ბოროტად გამოყენებით გააფორმა რწმუნებულება ნოტარიუსთან, ასევე მოტყუებით მიისაკუთრა მისი პირადობის მოწმობა, რის შემდეგაც სს «სახალხო ბანკის» ზუგდიდის ფილიალის ... დასახლების სალაროში სხვადასხვა დროს, კერძოდ, 2005 წლის 23 სექტემბერს, 2005 წლის 24 ოქტომბერს, 2005 წლის 25 ნოემბერს და 2005 წლის 19 დეკემბერს მიიღო 28-28 ლარის ოდენობით საპენსიო თანხები, რის შემდეგაც 2006 წელსაც გაგრძელდა მ. მ-ის ერთიანი მიზნით განპირობებული წინასწარ განზრახული განგრძობადი დანაშაულებრივი საქმიანობა - დასახლებული დაწესებულებიდან აიღო დაზარალებულის კუთვნილი საპენსიო თანხები შემდეგი ოდენობით: 25 იანვარს - 28 ლარი, 27 თებერვალს - 49 ლარი, 21 მარტსა და 19 აპრილს - 35-35 ლარი. ამდენად, მ. მ-მემ მიითვისა დაზარალებულ ლ. პ-იას კუთვნილი საპენსიო თანხა, სულ - 259 ლარი, რითაც დაზარალებულ ლ. პ-იას მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 სექტემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული მ. მ-მე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი, მიღებულია პროცესუალური ნორმების დარღვევით.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. მ-მის მსჯავრდება არ ეფუძნება ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად შემოწმებულ და დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რითაც საქმის განხილვისას და მასზე გადაწყვეტილების მიღებისას დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები, რამაც გავლენა მოახდინა კანონიერი განაჩენის დადგენაზე. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები მ. მ-მის ბრალეულობის თაობაზე და მის მსჯავრდებას ისე დაუდო საფუძვლად ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე არსებული ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებები, რომ არ ახსნა აღნიშნული წინააღმდეგობები.

მსჯავრდებული მ. მ-მე კატეგორიულად უარყოფს მის მიერ დაზარალებულ ლ. პ-იას კუთვნილი საპენსიო თანხების გამოტანას სალაროდან და სალაროს გასავლის ორდერებზე მისი გვართ შესრულებული ხელმოწერების მისდამი კუთვნილებას.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, მ. მ-მის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: მ. მ-მემ 2006 წლის 8 თებერვალს ლ. პ-იას ნდობის ბოროტად გამოყენებით გააფორმებინა რწმუნებულება ნოტარიუსთან, ასევე მოტყუებით მიისაკუთრა მისი პირადობის მოწმობა, რის შემდეგაც სს «სახალხო ბანკის» ზუგდიდის ფილიალის ... დასახლების სალაროში სხვადასხვა დროს, კერძოდ: 2005 წლის 23 სექტემბერს, 2005 წლის 24 ოქტომბერს, 2005 წლის 25 ნოემბერსა და 2005 წლის 19 დეკემბერს მიიღო 28-28 ლარის ოდენობით საპენსიო თანხები, რის შემდეგაც 2006 წელსაც გაგრძელდა მ. მ-მის ერთიანი მიზნით განპირობებული წინასწარ განზრახული განგრძობადი დანაშაულებრივი საქმიანობა - დასახლებული დაწესებულებიდან მან აიღო დაზარალებულის კუთვნილი საპენსიო თანხები შემდეგი ოდენობით: 25 იანვარს - 28 ლარი, 27 თებერვალს - 49 ლარი, 21 მარტსა და 19 აპრილს - 35-35 ლარი, რითაც დაზარალებულს მიადგა 259 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

საბრალდებო დასკვნითა და განაჩენებით დადგენილ აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებს გამოძიებამ და სასამართლომ საფუძვლად დაუდეს მოწმე მ. ვ-ავას ჩვენება, რომლითაც ირკვევა, რომ 2005 წლის სექტემბრიდან სალაროში საპენსიო თანხას იღებდა... დასახლებაში მცხოვრები ლ. პ-ია, ხოლო მისი კუთვნილი დახმარების თანხას იღებდა მ. მ-ძე, რომელმაც წარადგინა სალაროში ნოტარიუს ა. მ-იას მიერ დამოწმებული მინდობილობა, რითაც ლ. პ-ია ანდობდა მას თავისი საპენსიო თანხის აღებას შემდგომ ლ. პ-იასათვის გადასაცემად. მან მ. მ-ძეზე გასცა ლ. პ-იასათვის განკუთვნილი საპენსიო თანხა 28 ლარი. ამის შემდეგ მეორე თვეში პენსიის გაცემა მოხდა ანალოგიური ფორმით. სულ მ. მ-ძემ აიღო ლ. პ-იასათვის გადასაცემად განკუთვნილი 2005 წლის სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის საპენსიო თანხა, ჯამში - 112 ლარი და 2006 წლის იანვრის, თებერვლის, მარტისა და აპრილის საპენსიო თანხა, ჯამში - 147 ლარი. სულ - 259 ლარი; ასევე მტკიცებულების სახით საქმეში წარმოდგენილი სანოტარო აქტი, რომლის თანახმადაც, დაზარალებულმა ლ. პ-იამ მსჯავრდებულ მ. მ-ძეს რწმუნებულება გაუფორმა 2006 წლის 8 თებერვალს.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განაჩენში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნა შეუსაბამოა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან.

წინასწარი და სასამართლო გამოძიების მასალებით არ არის გარკვეული ის გარემოება, თუ რის საფუძველზე გასცა მოლარე მ. ვ-ავამ მ. მ-ძეზე საპენსიო თანხა 2005 წლის სექტემბერში, ოქტომბერში, ნოემბერში, დეკემბერში და 2006 წლის იანვარში, მაშინ, როდესაც დაზარალებულმა ლ. პ-იამ მსჯავრდებულ მ. მ-ძეს რწმუნებულება გაუფორმა 2006 წლის 8 თებერვალს.

ამასთან, საყურადღებოა ის გარემოება, რომ 1-ლი ინსტანციის სასამართლოში პროკურორის მიერ წარმოდგენილი ოქმის თანახმად, მოწმე მ. ვ-ავამ წარმოადგინა რვა ცალი გასავლის ორდერი და განაცხადა, რომ ხელმოწერები ეკუთვნის მ. მ-ძეს, რომელსაც აღებული აქვს ეს თანხები; ლ. პ-იას საპენსიო თანხა ეძლეოდა ასაკის გათვალისწინებით, რაზეც არ სჭირდებოდა კომისიის გავლა საპენსიო ფონდში, როგორც ეს ხდება ინვალიდობის გამო პენსიის გაცემისას. რაც შეეხება 2005 წლის მინდობილობის ასლს, რომლის მიხედვითაც მ. მ-ძე იღებდა ლ. პ-იას პენსიას, მისი წარმოდგენა ვერ მოხერხდა სახალხო ბანკში მიმდინარე შემოწმების გამო, რომელსაც ატარებს ფინანსური პოლიცია.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით სასამართლოს აუცილებლად უნდა დაეკითხა მოწმე მ. ვ-ავა და უნდა გარკვეულიყო შემდეგი საკითხები: როდის წარმოუდგინა მას 2005 წლის რწმუნებულება მ. მ-ძემ და ამაჟამად სად არის ეს დოკუმენტი, რადგან ასეთი რწმუნებულება საქმეში არ არის წარმოდგენილი; მოწმე მ. ვ-ავას ჩვენებით კი არ ჩანს, გარდა წარმოდგენის ოქმისა, 2005 წლის პენსია მან გასცა 2006 წელს გაფორმებული რწმუნებულების საფუძველზე, თუ მას წარმოუდგინეს 2005 წლის რწმუნებულება, რის თაობაზეც არის მითითებული პროკურორის მიერ წარმოდგენილ ოქმში. ამ გარემოების შემოწმება მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ დაზარალებულის საჩივრისა და ჩვენებების მიხედვით, მასსა და მსჯავრდებულ მ. მ-ძეს შორის რწმუნებულება გაფორმდა 2006 წლის 8 თებერვალს.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებმა არ მისცეს შეფასება მოწმე მ. ვ-ავას ჩვენებას სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში და არ ახსნეს მათ შორის არსებული წინააღმდეგობები.

ამასთან, ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: სალაროს გასავლის ორდერებზე არ არის დასმული ბეჭედი, მათზე არ არის მითითებული თანხის გამტანი პირის - მ. მ-ძის პირადობის მოწმობის ნომრები და მითითებულია მხოლოდ დაზარალებულის პირადობის მოწმობის ნომრები. მ. მ-ძე უარყოს მათზე თავის ხელმოწერებს. აღნიშნული დოკუმენტები კი სამართლებრივი შემოწმების გარეშე განაჩენში მითითებული ბრალდების მტკიცებულებად.

პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოძიების ხარვეზებით ჩატარებისა და ამ სასამართლოს განაჩენში წინააღმდეგობრივი მომენტების არსებობის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საპროცესო კანონით მისთვის მინიჭებული შესაძლებლობები (მხედველობაშია საქართველოს სსსკ-ის 533-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილებები), სასამართლო გამოძიება არ ჩატარა საპროცესო კანონით დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად და ისე ცნო საქმის ფაქტობრივი გარემოებები დადგენილად, რომ არ გაარკვია ზემოაღნიშნული წინააღმდეგობები.

ასეთ პირობებში შეუძლებელია მსჯელობა და საბოლოო დასკვნების გამოტანა მსჯავრდებულ მ. მ-ძის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე, რის გამოც, იმის მხედველობაში მიღებით, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სსსკ-ის 562-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტითა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევა, რომელიც დაშვებულია სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 სექტემბრის განაჩენი მ. მ-ძის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

ხელახალი სასამართლო განხილვის დროს, იმისათვის, რათა უტყუარად დადგინდეს, შესრულებულია თუ არა სალაროს გასავლის ორდერებზე არსებული ხელმოწერები მ. მ-ძის მიერ, უნდა ჩატარდეს კალიგრაფიული ექსპ-იზა და ზემოთ აღნიშნული წინააღმდეგობების ასახსნელად დაიკითხოს მოწმე მ. ვ-ავა, ხოლო მიღებულ შედეგებს მიეცეს სწორი სამართლებრივი შეფასება.

ამდენად, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, ხელახალი სასამართლო განხილვის დროს კიდევ ერთხელ გულდასმით უნდა შემოწმდეს და გამოკვლეულ იქნეს საქმეში არსებული ყველა

მტკიცებულება, აღმოიფხვრას მათ შორის არსებული წინააღმდეგობები და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს გამოკვლეული მტკიცებულებების ერთობლივად შეფასება და მის საფუძველზე კანონიერი სასამართლო გადაწყვეტილების მიღება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 სექტემბრის განაჩენი მ. მ-ძის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. ხულიგნობა

განჩინება

#1345-აპ

16 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შუახვევის რაიონული პროკურატურის პროკურორ მ. ქ-ძის საკასაციო საჩივარი, აგრეთვე დაზარალებულების - ფ. გ-ძისა და ი. გ-ძის დამცველის, ადვოკატ ნ. ფ-ძის, დაზარალებულ ფ. გ-ძის კანონიერი წარმომადგენლის, ლ. გ-ძისა და დაზარალებულ ი. გ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 აპრილის განაჩენზე მსჯავრდებულ რ. დ-ძის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით, რ. დ-ძეს ბრალი ედებოდა სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილითა და იმავე კოდექსის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

შუახვევის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 3 დეკემბრის განაჩენით რ. დ-ძეს მოეხსნა სსკ-ის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე წარდგენილი ბრალდება და იგი ცნობილ იქნა ბრალეულად სსკ-ის 124-ე მუხლის პირველი ნაწილით, იმავე კოდექსის 239-ე მუხლის პირველი ნაწილითა და სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენის მიხედვით, რ. დ-ძეს მსჯავრი დაედო ხულიგნობისათვის, გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისა და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებისათვის, რამაც ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა გამოიწვია. აღნიშნული გამოიხატა შემდეგში: 2004 წლის 20 სექტემბერს რ. დ-ძე მ. დ-ძესა და ი. შ-ძესთან ერთად ავიდა შუახვევის რაიონის სოფ. ა. დ-ძეს მეზობლური უთანხმოება ჰქონდა ი. გ-ძესა და მისი ოჯახის წევრებთან. ისინი ათვალისწინებდნენ რა სადავო მიწის ნაკვეთს, რ. დ-ძეს ურთიერთშელაპარაკება მოუხდა შ., ფ., ი. და ბ. გ-ძეებთან, რა დროსაც მან არაფრად ჩააგდო იქ მყოფი საზოგადოების ინტერესები, რომლის მიმართ გამოიჩინა აშკარა უპატივცემულობა, დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში იგინებოდა. მან ჩხუბი დაუწყო ი. გ-ძეს, რომელიც წააქცია მიწაზე და სცემა ხელებითა და ფეხებით, რა დროსაც რ. დ-ძემ გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება მიაყენა დაზარალებულ ფ. გ-ძეს.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შუახვევის რაიონული პროკურატურის პროკურორმა რ. ბ-ძემ, დაზარალებულ ფ. გ-ძის კანონიერმა წარმომადგენელმა ლ. გ-ძემ, დაზარალებულმა ი. გ-ძემ და მსჯავრდებულ რ. დ-ძის დამცველმა, ადვოკატმა დ. ჩ-შვილმა.

აპელანტი - პროკურორი რ. ბ-ძე თავისი საჩივრით ითხოვდა განაჩენის შეცვლას მსჯავრდებულისათვის საუარესოდ, კერძოდ, მისთვის სასჯელის გამკაცრებას იმ მოტივით, რომ დანიშნული სასჯელი არის ლმობიერი.

აპელანტები - დაზარალებულ ფ. გ-მის კანონიერი წარმომადგენელი ლ. გ-მე და დაზარალებული ი. გ-მე თავიანთი საჩივრებით ითხოვდნენ, რომ გაუქმებულიყო შუახევის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 3 დეკემბრის განაჩენი, როგორც უკანონო და დაუსაბუთებელი, ხოლო მის ნაცვლად სააპელაციო სასამართლოს დაედგინა ობიექტური, კანონიერი და სამართლიანი განაჩენი.

აპელანტი - მსჯავრდებულ რ. დ-მის დამცველი, ადვოკატი დ. ჩ-შვილი თავისი საჩივრით ითხოვდა განაჩენის შეცვლას როგორც კვალიფიკაციის, ისე სასჯელის ნაწილში, კერძოდ, რ. დ-მის მიერ ჩადენილი ქმედების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 120-ე მუხლითა და იმავე კოდექსის 124-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო მისთვის სასჯელის ზომად ჯარიმის დანიშვნას - 3000 ლარის ოდენობით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 აპრილის განაჩენით არ დაკმაყოფილდა აპელანტების სააპელაციო საჩივრების მოთხოვნა, ხოლო შუახევის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 3 დეკემბრის განაჩენი მსჯავრდებულ რ. დ-მის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა დაზარალებულების - ფ. გ-მის, მისი კანონიერი წარმომადგენლის - ლ. გ-მისა და ი. გ-მის დამცველმა, ადვოკატმა ნ. ფ-მემ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და ხელახლა განხილვისათვის საქმის იმავე სასამართლოში დაბრუნებას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის მსჯავრდებულის მიმართ როგორც ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის, ისე სასჯელის ნაწილში საუარესოდ შებრუნების მიზნით. კასატორი მიუთითებს, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, სასამართლოს დასკვნები არ შეესაბამება მომხდარი შემთხვევის რეალურ ფაქტობრივ გარემოებებს, რის გამოც არასწორია მსჯავრდებულ რ. დ-მის მიერ ჩადენილი ქმედების განაჩენით დადგენილი კვალიფიკაცია, შესაბამისად, ლმობიერია მის მიმართ შეფარდებული სასჯელიც, ამასთან, სააპელაციო სასამართლომ რეაგირების გარეშე დატოვა საქმის წინასწარი გამოძიებისას და სასამართლოში განხილვის დროს დაშვებული საპროცესო დარღვევები.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ასევე შუახევის რაიონული პროკურატურის პროკურორმა მ. ქ-მემ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვს აღნიშნული განაჩენის გაუქმებას, ხოლო მსჯავრდებულ რ. დ-მის ბრალდების საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნებას მისთვის სასჯელის დამძიმების მიზნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ რ. დ-მის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულ რ. დ-მის ბრალდების საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას და ამ საქმეზე განაჩენის დადგენისას არ ყოფილა დაცული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 და მე-19 მუხლებით, აგრეთვე იმავე კოდექსის 496-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები. საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ შემოწმებულა ობიექტურად, სრულად და ყოველმხრივ, განაჩენი არ ეფუძნება ერთმანეთთან შეთანხმებულ, უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რის შედეგადაც სასამართლოს დასკვნა რ. დ-მის ბრალეულობის თაობაზე ფაქტობრივად აგებულია ვარაუდზე და არა კანონით დადგენილი წესის შესაბამისად დადასტურებულ ფაქტებზე.

სააპელაციო სასამართლომ თავის განაჩენში მთლიანად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკავებული პოზიცია, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ საქმეზე დადგენილ განაჩენში პირველი ინსტანციის სასამართლომ წინდაწინ, მათი სარწმუნოებისა და საფუძვლიანობის შემოწმება - შეფასების გარეშე, უარყო ისეთ მოწმეთა ჩვენებები, რომლებშიც გამოხატული იყო ბრალდების ან დაცვის მხარის სასარგებლო ტენდენცია, იმ მოტივით, რომ ეს მოწმეები, მხარეებთან მათი ურთიერთობის გამო, ვერ იქნებოდნენ მიუკერძოებელნი და, აქედან გამომდინარე, მათი ჩვენებები სარწმუნოდ არ შეიძლება ყოფილიყო მიჩნეული. ამიტომ სასამართლომ, მისი აზრით, მტკიცებისას ორიენტაცია აიღო ნეიტრალური განწყობის მქონე მოწმეების ჩვენებებზე, რომლებიც არ იქნებოდნენ საქმით დაინტერესებულები. მტკიცების პროცესის ყველა სტადიის გავლის გარეშე დატოვებამ და ერთობლივად მათმა შეუფასებლობამ განაპირობა უსაფუძვლო სამართლებრივი დასკვნების გამოტანა რ. დ-მის მიერ ჩადენილი ქმედების თაობაზე. საკასაციო პალატას მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ ნეიტრალური მოწმეების ჩვენებებით, რასაც დაეყრდნო თავის განაჩენში სააპელაციო სასამართლოც, საერთოდ ვერ დგინდება რ. დ-მესა და ი. გ-მეს შორის მომხდარი ჩხუბის დროს დაზარალებული ფ. გ-მე იმყოფებოდა თუ არა შემთხვევის ადგილზე, ხოლო თუ იმყოფებოდა, რა ვითარებაში მიიღო მან ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, რომლის არსებობა დადგენილია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით; რა როლს ასრულებდა იგი ინციდენტის განვითარებაში; ვინ მიაყენა მას ეს დაზიანება, ასევე, მისთვის აღნიშნული დაზიანების მიყენება მოხდა განზრახ, თუ - გაუფრთხილებლობით; ვინ იყო აღნიშნული კონფლიქტის ინიციატორი.

გარდა აღნიშნულისა, მატერიალური სისხლის სამართლის ინსტიტუტების მართებული გაგებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს განაჩენში გვხვდება უზუსტობა რ. დ-მის ქმედებების კვალიფიკაციასთან მიმართებით, კერძოდ, საბრალდებო დასკვნაში მოცემული ვერსიის მიხედვით, რ.

დ-მემ ხულიგნური ქმედების ჩადენისას დაზარალებულ ი. გ-მეს სცემა ხელებითა და ფეხებით, რასაც იზიარებს სააპელაციო სასამართლოც. ამასთან, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ ცემის შედეგად დაზარალებულმა ი. გ-მემ მიიღო ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება. საბრალდებო დასკვნაში რ. დ-მის აღნიშნული ქმედება დაკვალიფიცირებულია სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით. სააპელაციო სასამართლომ კი იგივე ქმედება, გარდა 239-ე მუხლის პირველი ნაწილისა, დამატებით დააკვალიფიცირა სსკ-ის 120-ე მუხლითაც (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება), რაც არასწორია, რადგან საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციკაში მითითებული ისეთი ნიშანი ქმედების შემადგენლობისა, როგორცაა ძალადობა, გულისხმობს და მოიცავს ხულიგნობის ჩადენისას დაზარალებულისათვის მიყენებულ ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას, რის გამოც მისი ცალკე კვალიფიკაციის საჭიროება არ არსებობს. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაუშვა აგრეთვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის „ბ» ქვეპუნქტითა და 564-ე მუხლის „ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევა - სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება, კერძოდ, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.

მთლიანობაში დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ რ. დ-მის მიმართ განაჩენის დადგენისას დაუშვა საპროცესო კანონის ისეთი არსებითი დარღვევა, რაც, სსსკ-ის 562-ე მუხლის „ა» ქვეპუნქტისა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განაჩენის გაუქმების საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 აპრილის განაჩენი უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე რ. დ-მის მიმართ უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას და განაჩენის დადგენისას უნდა მოხდეს საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლივად განხილვა და შეფასება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - მათი ხელახლა გამოკვლევა მხარეთა მონაწილეობით და ამ გზით საქმის ფაქტობრივი გარემოებების უტყუარად დადგენა. ამასთან, არც ერთი მტკიცებულება არ უნდა დარჩეს ჯეროვანი ყურადღებისა და შეფასების გარეშე, მიუხედავად იმისა, თუ მოდავე მხარეების რომელი წარმომადგენელია მისი წყარო, თითოეული მათგანის სარწმუნოობა უნდა გადაწყდეს სხვა მტკიცებულებებთან შეჯერებითა და მათთან ერთობლივად განხილვით. მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებული თითოეული ფაქტი უნდა დადგინდეს უტყუარად, ხოლო შემდეგ მათ საფუძველზე გადაწყდეს: ბრალეულია თუ არა რ. დ-მე დანაშაულის ჩადენაში, რა ქმედება ჩაიდინა მან და რაში გამოიხატა აღნიშნული ქმედება; როგორი კვალიფიკაცია უნდა მიეცეს მის მიერ ჩადენილ ქმედებას - ასეთის არსებობის შემთხვევაში. საკასაციო პალატის აზრით, მხოლოდ ასეთ პირობებშია შესაძლებელი განსახილველ საქმეზე ობიექტური, კანონიერი და სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილების მიღება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

შუახვევის რაიონული პროკურატურის პროკურორ მ. ქ-მის საკასაციო საჩივარი, აგრეთვე, დაზარალებულების: ფ. გ-მისა და ი. გ-მის დამცველის, ადვოკატ ნ. ფ-მის, დაზარალებულ ფ. გ-მის კანონიერი წარმომადგენლის, ლ. გ-მისა და დაზარალებულ ი. გ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 აპრილის განაჩენი რ. დ-მის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხულიგნობა

განჩინება

#1468-აპ

3 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,**

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. პ-იანის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 15 სექტემბრის განაჩენით ა. პ-იანი ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 239-ე მუხლის I ნაწილით და სასჯელად განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სსკ-ის 67-ე მუხლის V ნაწილის გამოყენებით გაუქმდა ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 5 დეკემბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი - 2 წელი. იმავე კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი და ა. პ-იანს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 15 სექტემბრიდან. მასვე სასჯელის ვადის მოხდაში ჩაეთვალია წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო - 2007 წლის 24 აპრილის 20 საათიდან 2007 წლის 12 ივლისის 13 საათამდე.

განაჩენით ა. პ-იანს მსჯავრი დაედო ხულიგნობაში, ე.ი. ქმედებაში, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 5 დეკემბრის განაჩენით ა. პ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 226-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე შეეცვალა პირობითი - 1 წლის გამოსაცდელი ვადით, მასვე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა - 2000 ლარი. მიუხედავად ამისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული, კერძოდ:

2007 წლის 24 აპრილს, დაახლოებით 17.00 საათზე, ახალქალაქის რაიონის სოფ. ... მცხოვრები ა. ა-იანი იმყოფებოდა ახალქალაქში, თავისუფლების ქუჩაზე, რა დროსაც მას დაეჯახა ო. მ-იანის კუთვნილი ავტომანქანა „ბმვ“, რომელსაც მართავდა მ. გ-იანი. მძღოლმა მ. გ-იანმა გააჩერა ავტომანქანა და გადმოვიდა იმის გასარკვევად, თუ რა დაზიანებები მიიღო ა. ა-იანმა. იმავე დროს, იქვე გაჩერებული ნ. ი-იანის კუთვნილი ავტომანქანა „ნივიდან“ გადმოვიდნენ ნ. ი-იანი, ა. პ-იანი და მ. პ-იანს დაუწყეს ცემა და ლანძღვა-გინება. ჩხუბის ხმაზე შეიკრიბა ხალხი და შეფერხდა მოძრაობა. აღნიშნული ქმედებით ა. პ-იანი და ნ. ი-იანი 5-10 წუთის განმავლობაში ძალადობით გამოხატავდნენ საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას და უხეშად არღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგს, რის შედეგადაც მძღოლ მ. გ-იანს მიაყენეს სხეულის დაზიანებები.

ა. პ-იანსა და ნ. ი-იანს ბრალი დაედოთ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

სასამართლოში საქმის განხილვის დროს პროკურორმა მოითხოვა ა. პ-იანისა და ნ. ი-იანის ქმედების გადაკვალიფიცირება სსკ-ის 239-ე მუხლის I ნაწილზე.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 დეკემბრის განაჩენით ნ. ი-იანის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, დაზარალებულთან შერიგების გამო.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ა. პ-იანმა. თავის სააპელაციო საჩივარში მსჯავრდებულმა ითხოვა სასჯელის შემსუბუქება, კერძოდ: სასჯელად - 2 წლით თავისუფლების აღკვეთისა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის - 2000 ლარის შეფარდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის განაჩენით ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 15 სექტემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ა. პ-იანმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. მან საჩივრით ითხოვა ზედმეტად მკაცრი, უკანონო განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და თვლის, რომ მსჯავრდებულ ა. პ-იანის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე გადაეზღვროს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის, შემდეგი გარემოებების გამო:

პალატა თვლის, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულ ა. პ-იანის აღიარებითი ჩვენებით, დაზარალებულ მ. გ-იანის ჩვენებითა და საქმის სხვა მასალებით მსჯავრდებულისათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ა. პ-იანის მიმართ სასჯელის ნაწილში უნდა იმსჯელოს მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად მსჯავრდებულისთვის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის სამართლიანობის თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

სსსკ-ის 475-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო გამოძიება შედგება განსასჯელის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის დამადასტურებელ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისაგან, აგრეთვე იმ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისაგან, რომლებიც ახასიათებს განსასჯელის პიროვნებას და გავლენას ახდენს სასჯელის სახესა და ზომაზე.

სსსკ-ის 496-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი.

სააპელაციო სასამართლომ გამოკვლეულად ჩათვალია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოკვლეული ყველა მტკიცებულება, თუმცა, სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ა. პ-იანის მიმართ გამოტანილ განაჩენში სათანადოდ არ იმსჯელა იმის თაობაზე, თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ა. პ-იანისათვის დანიშნული სასჯელი რამდენად შეესაბამება მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და პიროვნებას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს საერთოდ არ გამოუკვლევია სასამართლო სხდომაზე განსასჯელის პიროვნული მახასიათებლები და სხვა მტკიცებულებები, რაც სასამართლო სხდომის ოქმითაც არ დასტურდება. საქმის მასალებში მოიპოვება ცნობები განსასჯელის ოჯახური მდგომარეობისა და მისი დახასიათების შესახებ, რასაც შეეძლო კიდევ უფრო ემოქმედა ა. პ-იანის სასჯელის სახეზე.

საკასაციო პალატა თვლის, რომ, ვინაიდან საკასაციო ინსტანციის სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტები გამოიკვლიოს საკასაციო ინსტანციით საქმის განხილვისას, ამიტომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

სარეზოლუციო ნაწილი:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. პ-იანის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის განაჩენი ა. პ-იანის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. ნარკოტიკული დანაშაული

განჩინება

#10-კოლ

1 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

ლ. მურუსიძე,

ი. ტყეშელაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ს. ე-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 18 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით ს. ე-ძეს ბრალი ედება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შექმნა, შენახვასა და გადაზიდვაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2004 წლის აპრილში საქართველოს შს სამინისტროს კადრების განკარგულებაში მყოფმა ატესტირებულმა თანამშრომელმა, პოლიციის უმცროსმა ლეიტენანტმა ს. ე-ძემ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება - ბუპრენორფინის 0,008 გრამის შემცველი ერთი აბი სამედიცინო პრეპარატი „სუბოტექსი» და ორი ფირფიტა, ანუ 14 აბი +1 აბი „სუბოტექსი». მან ერთი აბი შეინახა ქურთუკის ჯიბეში, ხოლო ორი ფირფიტა დამალა იმ ავტომანქანის საბარგულის საფარის ქვეშ, რომელსაც თვითონ მართავდა.

2004 წლის 18 აპრილს ქ. თბილისში, რეულიშვილის ქუჩაზე მოძრაობისას ს. ე-მე გააჩერეს მთაწმინდა-კრწანისის რაიონის შს სამმართველოს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების მუშაკებმა და გადაიყვანეს მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოში, სადაც მას ჩაუტარეს პირადი და ავტომანქანის ჩხრეკა. ჩხრეკის შედეგად მას ქურთუკის მარცხენა ჯიბეში აღმოაჩნდა უკანონოდ შექმნილი და შენახული 0,008 გრამი ბუპრენორფინის შემცველი ერთი აბი სამედიცინო პრეპარატი „სუბოტექსი«. ავტომანქანის საბარგულის საფენის ქვეშ კი აღმოაჩნდა ასევე უკანონოდ შექმნილი ბუპრენორფინის შემცველი 14 აბი სამედიცინო პრეპარატი „სუბოტექსი«. თხუთმეტივე აბი შეიცავდა 0,112 გრამ ნარკოტიკულ საშუალებას ბუპრენორფინს.

აღნიშნული საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 17 სექტემბრის განჩინებით გამწესრიგებელი სხდომიდან დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად კონკრეტული მითითებებით დაუბრუნდა ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ პროკურორს. მთაწმინდა-კრწანისის რაიონული პროკურორის თანაშემწემ განჩინება საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების შესახებ საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2004 წლის 2 ნოემბრის განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 17 სექტემბრის განჩინება ს. ე-მის მიმართ დატოვა უცვლელად, ხოლო განსასჯელ ს. ე-მეს აღკვეთის ღონისძიება - დაპატიმრება შეუცვალა ხელწერილით გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ. დამატებითი გამოძიების ჩატარების შემდეგ, კერძოდ, 2005 წლის 30 ივნისს საქმე კვლავ განსახილველად გადაეცა თბილისის საოლქო სასამართლოს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 18 ივლისის განაჩენით ს. ე-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა ამ საქმესთან დაკავშირებით პატიმრობაში ყოფნის დრო - 6 თვე და 14 დღე. ს. ე-მეს მოსახდელად დარჩა 5 წელი, 5 თვე და 16 დღე.

მსჯავრდებული ს. ე-მე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო; სასამართლომ საქმის განხილვისას არსებითად დაარღვია სისხლის სამართლის საპროცესო კანონი; სასამართლომ არასწორად გამოიყენა სისხლის სამართლის კანონი, შეზღუდა დაცვის მხარის უფლებები, ხელი შეუშალა საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვას, რამაც გავლენა მოახდინა კანონიერი, სამართლიანი და საფუძვლიანი განაჩენის დადგენაზე; განაჩენი ემყარება კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს; განსასჯელს არ მიეცა საბოლოო სიტყვა; განაჩენი გამოიტანა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ ს. ე-მის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. ჩ-ელმა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები, მან მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას. ადვოკატმა იშუამდგომლა განაჩენის გაუქმება და ს. ე-მის მიმართ საქმის შეწყვეტა ან ალტერნატიული მოთხოვნის სახით - განაჩენის გაუქმება და ახალი სასამართლო განხილვისათვის საქმის I-ლი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნება, რასაც დაეთანხმა მსჯავრდებულ ს. ე-მე.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ლ. ყ-იანმა დადგენილი განაჩენი მიიჩნია კანონიერად და იშუამდგომლა მისი უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის მოტივთა საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლო კოლეგიამ უგულვებელყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნები საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვის თაობაზე.

საქმის მასალების მიხედვით, ს. ე-მის მიმართ წარდგენილი ბრალდება ემყარება ბრალდების მხარის მიერ წინასწარ გამოძიებაში შეკრებილ და სასამართლო პროცესზე წარმოდგენილ შემდეგ მტკიცებულებებს: ს. ე-მის მიერ წინასწარ გამოძიებაში ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას მიცემულ ჩვენებას, მოწმეების: გ. ლ-მის, ნ. ღ-შვილის, ჯ. ყ-შვილის, რ. ა-შვილის, დ. გ-შვილის, ვ. ო-შვილის ჩვენებებს და პირადი და ავტომანქანის ჩხრეკის ოქმებს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 477-ე მუხლის თანახმად, წინასწარი გამოძიების დროს განსასჯელის მიერ მიცემული ჩვენების მტკიცებულებად გამოყენება მისი თანხმობის გარეშე დაუშვებელია. სასამართლო სხდომის ოქმის მიხედვით, სასამართლო სხდომაზე განსასჯელ ს. ე-მის თანხმობით არ გამოქვეყნებულა მისი ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას მიცემული ჩვენება, პირიქით, დაცვის მხარე ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ წინასწარ გამოძიებაში ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას მიცემული აღიარებითი ჩვენება განაპირობა განსასჯელზე ზეწოლამ, რის გამოც სასამართლოს ეს ჩვენება არ უნდა მიეღო მხედველობაში.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლო კოლეგია არ იყო უფლებამოსილი, აღნიშნული მუხლით დადგენილი წესის დაუცველად, ს. ე-მის მსჯავრდების ნაწილში ერთ-ერთი მტკიცებულების სახით მიეთითებინა ს. ე-მის ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას მიცემული ჩვენება.

ს. ე-ძის ბრალდების საქმე თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 17 სექტემბრის განჩინებით დაუბრუნდა თბილისის მთაწმინდა-კრწანის რაიონის პროკურორს დამატებითი გამოძიებისათვის, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2004 წლის 2 ნოემბრის განჩინებით დარჩა უცვლელად. აღნიშნული ბრალდების საქმე დამატებით გამოძიებაში დაბრუნდა იმ მითითებით, რომ ს. ე-ძის პირადი და ავტომანქანის ჩხრევის ოქმები შედგენილი იყო სსსკ-ის 145-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით. არც დაკავების ოქმში, არც პირადი ჩხრევისა და ავტომანქანის ჩხრევის ოქმებში მითითებული არ იყო, თუ ს. ე-ძის დაკავების ადგილიდან როგორ იქნა ავტომანქანა გადაყვანილი შს სამმართველოში, ვინ და როგორ წარადგინა შს სამმართველოში და მის გაჩხრევამდე იყო თუ არა იგი დაცული, რის გამოც ამ საკითხების გასარკვევად დამატებითი გამოძიების დროს უნდა დაკითხულიყვნენ ბრალდებული ს. ე-ძე, ოქმში მითითებული დამსწრეები და პოლიციის ის მუშაკები, რომლებმაც დააკავეს და გაჩხრეკეს ს. ე-ძე.

პალატას მიაჩნია, რომ არც დამატებითა გამოძიებამ და არც სასამართლომ ზემოაღნიშნული გარემოებები სრულყოფილად არ გამოიკვლიეს და დაადგინეს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 296-ე მუხლის თანახმად, გამოძიებელმა დაკითხვის წინ უნდა დაადგინოს დასაკითხი პირის ვინაობა დასაკითხის პირადი დოკუმენტებით.

საქმეში არსებული დაპირისპირების ოქმების თანახმად, დამატებით გამოძიებაში ისე ჩატარდა დაპირისპირებები ბრალდებულ ს. ე-ძესა და მოწმეების სახით დასაკითხად მიყვანილ დამსწრეებს შორის, რომ მოწმეებს არ ჰქონიათ მათი ვინაობის დამდგენი რაიმე დოკუმენტი, მაშინ, როდესაც, აღნიშნული დარღვევის გამოსასწორებლად დაბრუნდა საქმე დამატებით გამოძიებაში და ს. ე-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ნ. ჩ-ელი კატეგორიულად ითხოვდა ბრალდებულსა და მოწმეებს შორის დაპირისპირების დაწყებამდე ჯ. ყ-შვილის, დ. გ-შვილის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენას. შესაბამისად, ადვოკატმა ნ. ჩ-ელმა დაპირისპირების ოქმებში შენიშვნის სახით მიუთითა, რომ: «ვესწრებოდი დაპირისპირებას, მაგრამ აღნიშნულ პიროვნებებს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები არ წარმოუდგენიათ, და თუ საიდან ადასტურებს გამოძიება მათ ვინაობას, ჩემთვის უცნობია».

აღნიშნული ბრალდების საქმის სასამართლო განხილვისას სხდომაზე მოწმის სახით დასაკითხად წარმოდგენილ იქნა ჯ. ყ-შვილი, რომელმაც განმარტა, რომ ჰქონდა მართვის მოწმობა. ამის შემდეგ სხდომის ოქმში იგი მოხსენიებულია, როგორც ჯ. ყ-შვილი. მიუხედავად იმისა, რომ წინასწარი და დამატებითი გამოძიების მასალების მიხედვით, პირადი ჩხრევის დამსწრე ჯ. ყ-შვილი ყველგან - ჩხრევის ოქმში, მოწმის სახით დაკითხვების ოქმებში მოხსენიებულია, როგორც ჯ. ყ-შვილი, სასამართლო ისე აგრძელებს სხდომას და კითხავს მოწმეს, როგორც ჯ. ყ-შვილს, რომ არ ადგენს, ერთი და იგივე პირია თუ არა ჯ. ყ-შვილი და ჯ. ყ-შვილი და რით არის გამოწვეული ორი სხვადასხვა სახელის მითითება. მით უფრო, რომ სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა ნ. ჩ-ელმა განაცხადა, რომ მოწვეული მოწმე (ჯ. ყ-შვილი) არის მისთვის უცნობი, ის არ ყოფილა დაპირისპირების დროს. ასევე, ვერ იცნო ადვოკატი ნ. ჩ-ელი ჯ. ყ-შვილმაც.

ს. ე-ძის ავტომანქანის ჩხრევის დამსწრე, მოწმე დ. გ-შვილი კი სასამართლომ საერთოდ ვერ წარმოადგინა და, ამდენად, ვერ დადგინდა სასამართლო სხდომაზე დ. გ-შვილის პირადობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტით მისი ვინაობა, ასევე, ნამდვილად ეს პირი მონაწილეობდა თუ არა დამატებით გამოძიებაში ბრალდებულ ს. ე-ძესთან დაპირისპირებაში.

ასევე, სასამართლო კოლეგიამ არ აღმოფხვრა, პირადი და ავტომანქანის ჩხრევის ოქმების კანონიერების შეფასების თვალსაზრისით, მოწმეების სახით დაკითხული, პოლიციის თანამშრომლების - მ. ა-შვილისა და ბ. გ-ძის ჩვენებებსა და გენერალური ინსპექციის თანამშრომელ - ვ. ო-შვილის მიერ ჩვენებაში მითითებულ გარემოებებს შორის არსებული წინააღმდეგობები იმის თობაზე, თუ როგორი თანმიმდევრობით ჩატარდა პირადი და ავტომანქანის ჩხრეკები.

საქმის მასალების მიხედვით, პირადი ჩხრეკა დაიწყო 16 საათზე და დამთავრდა 16 საათსა და 10 წუთზე. ოქმს დამსწრეებთან ერთად ხელს აწერს გენერალური ინსპექციის თანამშრომელი ვ. ო-შვილი. ავტომანქანის ჩხრეკა დაიწყო 16 საათსა და 30 წუთზე და დამთავრდა 16 საათსა და 45 წუთზე. ამ ოქმს ხელს არ აწერს გენერალური ინსპექციის თანამშრომელი. სასამართლო სხდომაზე, მოწმეების სახით დაკითხვისას, პოლიციის თანამშრომლებმა - მ. ა-შვილმა და ბ. გ-ძემ მიუთითეს, რომ ჯერ ჩატარდა პირადი ჩხრეკა, ხოლო შემდეგ - ავტომანქანის ჩხრეკა. გენერალური ინსპექციის წარმომადგენელმა ვ. ო-შვილმა კი განმარტა, რომ: «პირადი ჩხრევის შემდეგ გავიდა გარეთ, ეზოში იდგა წითელი ა/მანქანა. თანამშრომლებისაგან გაიგო, რომ მანქანა გაჩხრეკეს და ნარკოტიკი აღმოაჩინეს. ა/მანქანის ჩხრეკას არ დასწრებია.»

ამდენად, სასამართლომ ისე დაუდო საფუძვლად განაჩენს დასახელებული მოწმეების ჩვენებები, რომ არ აღმოფხვრა მტკიცებულებებს შორის არსებული წინააღმდეგობა.

ასევე, სასამართლომ ყოველგვარი შეფასების გარეშე დატოვა პოლიციელების - მ. ა-შვილისა და ბ. გ-ძის მიერ მიცემული ჩვენებები იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ მათ ავტომანქანის გასაღები გადასცეს ს. ე-ძეს. ამის შემდეგ კი ჩაუტარეს მას პირადი ჩხრეკა. და ეს მაშინ, როდესაც, საქმეში არსებული პირადი ჩხრევის ოქმის თანახმად, ს. ე-ძის პირადი ჩხრევის შედეგად მისგან არ არის ამოღებული ა/მანქანის გასაღები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 18 ივლისის განაჩენი მსჯავრდებულ ს. ე-ძის მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას.

ხელახალი სასამართლო განხილვის დროს დეტალურად უნდა დაიკითხონ ოქმში მითითებული დამსწრეები, რომელთა პიროვნებებიც დაკითხვის წინ უნდა დადგინდეს კანონის შესაბამისად. ზემოაღნიშნული საკითხების გასარკვევად ასევე უნდა დაიკითხონ ბრალდებული ს. ე-ძე, პოლიციის მუშაკები, რომლებმაც დააკავეს და გაჩხრიკეს ს. ე-ძე და გენერალური ინსპექციის წარმომადგენელი და მიღებულ შედეგებს მიეცეს სწორი სამართლებრივი შეფასება.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ხელახალი სასამართლო განხილვის დროს, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, კიდევ ერთხელ გულდასმით უნდა შემოწმდეს და გამოკვლეულ იქნეს საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება, აღმოიფხვრას მათ შორის არსებული წინააღმდეგობები და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს გამოკვლეული მტკიცებულებების ერთობლივად შეფასება და მის საფუძველზე - კანონიერი სასამართლო გადაწყვეტილების მიღება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ს. ე-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ჩ-ელის დაზუსტებული საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებისა და ახალი სასამართლო განხილვისათვის საქმის I-ლი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების მოთხოვნის ნაწილში.

გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 18 ივლისის განაჩენი მსჯავრდებულ ს. ე-ძის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული დანაშაული

განჩინება

#1752-აპ

18 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ქ-იას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 აგვისტოს განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 29 მაისის განაჩენით მ. ქ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, ამავე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენის მიხედვით, მ. ქ-იას მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

მ. ქ-იამ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა 0,0023 გრამი ნარკოტიკული საშუალება - „ბუპრენორფინის“ შემცველი 0,155 გრამი პრეპარატ „სუბოტექსის“ ნატეხი და დიდი ოდენობით - 0,07 გრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი. 0,0023 გრამი ნარკოტიკული საშუალება - „ბუპრენორფინის“ შემცველი 0,115 გრამი პრეპარატ „სუბოტექსის“ ნატეხი, ფოლგის ქალაქში შეხვეული, ასევე უკანონოდ შეინახა თავის კუთვნილ „ფოლკსვაგენის“ მარკის ავტომანქანაში, სიჩქარის კოლოფთან არსებულ სათავსში, ხოლო დიდი ოდენობით - 0,07 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ - ქურთუკის ქვედა, მარჯვენა ჯიბეში. 2007 წლის 14 თებერვალს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მუშაკების მიერ მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ქ. ზუგდიდში, ზ. გამსახურდიას გამზირზე, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად მ. ქ-იას კუთვნილი და „ფოლკსვაგენის“ მარკის ავტომანქანაში, რომელსაც მ. ქ-ია მართავდა, სიჩქარის კოლოფთან არსებული სათავსიდან ამოღებულ იქნა უკანონოდ

შემენილი და შენახული 0,0023 გრამი ნარკოტიკული საშუალება - „ბუპრენორფინის» შემცველი 0,015 გრამი პრეპარატ „სუბოტექსის» ნატეხი, ხოლო პირადი ჩხრევის შედეგად მ. ქ-იას ქურთუკის ქვედა, მარჯვენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა უკანონოდ შემენილი და შენახული დიდი ოდენობით - 0,07 გრამი ნარკოტიკული საშუალება „პროინი».

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 აგვისტოს განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

მ. ქ-იას მოეხსნა განაჩენით ტექნიკური უზუსტობით შედგენილი შერაცხული მსჯავრი სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით.

მ. ქ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებული მ. ქ-ია საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი, საქმე ემყარება მცდარ მტკიცებულებებს; ა/მანქანის ჩხრევისას სიჩქარის კოლოფიდან ამოღებულ იქნა ფოლგის ქაღალდში გახვეული, ღიაყავისფერი ფხვიერი მასა, თუმცა ექსპერტოზაზე თეთრი, მყარი მასა აღმოჩნდა - «სუბოტექსის» აბი. ამდენად, გაურკვეველია ღიაყავისფერი ფხვიერი მასა ექსპერტთან მიტანამდე როგორ გადაიქცა «სუბოტექსის» თეთრ, მყარ აბად; საქმეში არსებული მტკიცებულებები ეწინააღმდეგება სასამართლო გამოძიების დროს განხილულ და გამოკვლეულ მტკიცებულებებს.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოებმა უგულბელებულად დასაბუთებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნები საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვის თაობაზე.

საქმეში არსებული ჩხრევის ოქმის თანახმად, მ. ქ-იას მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა «ფოლკსვაგენის» სიჩქარის კოლოფთან არსებულ სათავსში აღმოჩენილ იქნა ფოლგის ქაღალდში გახვეული ღიაყავისფერი ფხვიერი მასა. ოქმი შეადგინა გამომძიებელმა რ. ლ-შვილმა. აღნიშნულ ჩხრეკას ესწრებოდნენ დ. წ-ავა, დ. ჩ-ავა და მ. ქ-ია. ამ უკანასკნელმა ოქმში შენიშვნის სახით მიუთითა, რომ ა/მანქანის დათვალიერების შედეგად ამოღებული ნარკოტიკული საშუალება მას არ ეკუთვნოდა.

2007 წლის 14 თებერვალს გამომძიებელმა რ. ლ-შვილმა გამოიტანა დადგენილება ქიმიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. ექსპერტს სხვა საკითხთან ერთად გადასაწყვეტად დაესვა კითხვა: ავტომანქანა «ფოლკსვაგენის» ჩხრევისას, რომელსაც მ. ქ-ია მართავდა, ამოღებული ფოლგის ქაღალდში გახვეული, ე.წ. «ჩეკად» დაფასობული ღიაყავისფერი მასა შეიცავს თუ არა რომელიმე ნარკოტიკულ საშუალებას, დადებით შემთხვევაში, კერძოდ, რომელს, როგორი წესითაა იგი დამზადებული და რამდენია მისი წონა?

საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო საექსპერტო კრიმინალისტიკური განყოფილების ექსპერტის 2007 წლის 15 თებერვლის #41/ქ ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მეორე საკვლევი ობიექტის ფუთის გახსნისას მასში შეფუთული აღმოჩნდა ვერცხლისფერ ქაღალდში შეხვეული თეთრი ფერის აბის ნატეხი, ჩამოტეხილი ორივე მხრიდან. ნატეხზე აღინიშნება «B» ლოგოტიპი. მ. ქ-იას მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა «ფოლკსვაგენის» ჩხრევისას ამოღებული აბის ნატეხი, წონით 0,115 გრამი, არის პრეპარატ «სუბოტექსის» ნატეხი, რომელიც შეიცავს 0,0023 გრამ ნარკოტიკულ საშუალება «ბუპრენორფინს».

მოწმეების - დ. წ-ავასა და დ. ჩ-ავას დაკითხვის ოქმების თანახმად, ჩხრევა ჩაუტარდა მ. ქ-იას ავტომანქანას, რომლის სიჩქარის კოლოფთან არსებული სათავსიდან ამოღებულ იქნა ფოლგის ქაღალდში გახვეული, ღიაყავისფერი მასა. I-ლი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას კი მოწმე დ. წ-ავამ განმარტა, რომ სიჩქარის გადაცემის კოლოფთან არსებული სათავსიდან ამოღებულ იქნა ფოლგის ქაღალდში შეხვეული, მოთეთრო ფერის აბის ნატეხი, ხოლო მოწმეების - დ. ჩ-ავასა და რ. ლ-შვილის ჩვენებებით, ავტომანქანის სალონიდან ამოღებულ იქნა ნარკოტიკული საშუალება.

აღნიშნულის მიუხედავად, არც პირველი ინსტანციისა და არც სააპელაციო სასამართლოებმა ყოველმხრივ არ გამოიკვლიეს მითითებული გარემოება, არ გადაამოწმეს მტკიცებულებებით და არ ახსნეს მათ შორის არსებული წინააღმდეგობა.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მ. ქ-იას მიერ საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოება იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები ეწინააღმდეგება სასამართლო გამოძიების დროს განხილულ და გამოკვლეულ მტკიცებულებებს, საფუძვლიანია; ასევე, წინასწარ გამომძიებელში მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებები ეწინააღმდეგება სასამართლო განხილვისას მიცემულ ჩვენებებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 აგვისტოს განაჩენი მ. ქ-იას მიმართ

უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ხელახალი სასამართლო განხილვის დროს საჭიროა დაიკითხონ მოწმეები - რ. ლ-შვილი, დ. წ-ავა, დ. ჩ-ავა, ექსპერტი თ. ჯ-ავა და მიღებულ შედეგებს მიეცეს სწორი სამართლებრივი შეფასება.

ამდენად, ხელახალი სასამართლო განხილვის დროს, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით კიდევ ერთხელ გულდასმით უნდა შემოწმდეს და გამოკვლეულ იქნეს საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება, აღმოიფხვრას მათ შორის არსებული წინააღმდეგობები და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს გამოკვლეული მტკიცებულებების ერთობლივად შეფასება და მის საფუძველზე კანონიერი სასამართლო გადაწყვეტილების მიღება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ მ. ქ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 აგვისტოს განაჩენი მ. ქ-იას მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული დანაშაული

განჩინება

#2003-აპ

22 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ შ. ფ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ოქტომბრის განაჩენზე, რომლითაც შ. ფ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა« ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 17 ივლისის განაჩენით შ. ფ-შვილი ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა« ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 5 აპრილიდან.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, შ. ფ-შვილის პირადი და ბინის ჩხრეკისას ამოღებული თანხა, სულ - 1243 ლარი, 70 ერო, 660 აშშ დოლარი და შ. ფ-შვილის კუთვნილი ა/მანქანა „მერსედეს - 290დ« უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოს.

იმავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება საქართველოს გენერალური პროკურატურის პროკურორ დ. მ-შვილსა და განსასჯელ გ. ნ-შვილს შორის.

გ. ნ-შვილი ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით და სასჯელად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 5 აპრილიდან.

განაჩენით შ. ფ-შვილს მსჯავრი დაედო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენაში შემდგომი გასაღების მიზნით, რაც გამოიხატა შემდეგში:

შ. ფ-შვილმა 2007 წლის მარტში დაუდგენელი პირისაგან შემდგომი გასაღების მიზნით, უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 0,12558 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის« შემცველი აბები, აბის ნატეხები და ფხვნილი, რომლებსაც ინახავდა უკანონოდ.

2007 წლის 5 აპრილს მან ზემოაღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერების ნაწილი - 0,0111 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველი აბის ნატეხები უკანონოდ გაასადა გ. ნ-შვილზე.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ შ. ფ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ლ-ძემ, რომელმაც ითხოვა განაჩენის შეცვლა სასჯელის ნაწილში, შ. ფ-შვილისათვის სასჯელის შემსუბუქება და ა/მანქანა „მერსედესის» შ. ფ-შვილის მეუღლისათვის - ქ. თ-ძისათვის დაბრუნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ოქტომბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 17 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ შ. ფ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ლ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა ითხოვა უკანონო და დაუსაბუთებელი, ზედმეტად მკაცრი განაჩენის გაუქმება, ა/მანქანა „მერსედესის» შ. ფ-შვილის მეუღლისათვის გადაცემა და საქმის დაბრუნება სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ შ. ფ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის - გ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი შ. ფ-შვილის მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის, შემდეგი გარემოებების გამო:

პალატა არ იზიარებს ადვოკატ გ. ლ-ძის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას სასჯელის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს ზედმეტად მკაცრი განაჩენის შესახებ, უსაფუძვლოდ გამო.

პალატა თვლის, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, საქმის სხვა მასალებით მსჯავრდებულისათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია.

პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა შ. ფ-შვილის მიერ განხორციელებულ ქმედებას. საქმის ფაქტობრივ გარემოებებს მხარეები სადავოდ არ ხდიან, ხოლო რაც შეეხება სასჯელს, თბილისის საქალაქო სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას სრულად გაითვალისწინა შ. ფ-შვილის როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, ასევე მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და განუსაზღვრა სასჯელის ისეთი ზომა, რომელსაც პალატაც ეთანხმება და თვლის, რომ დანიშნული სასჯელი არ არის მკაცრი და არ არსებობს მისი შეცვლის საფუძველი.

ამასთან, პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი შ. ფ-შვილის მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა მოხდა ზეპირი მოსმენის გარეშე. მსჯავრდებულის მეუღლის - ქ. თ-ძის მიერ წარმოდგენილ იქნა მასალები, რომლის თანახმადაც, სახელმწიფოსთვის გადაცემული ავტომანქანა «მერსედესის» შესყიდულ იქნა მისი სახსრებით და მხოლოდ იმიტომ გაფორმდა შ. ფ-შვილის სახელზე, რომ იგი იმ დროს, სამუშაოდან გამომდინარე, ვერ ახერხებდა საქართველოში ჩამოსვლას. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს საკასაციო საჩივარში მითითებული არგუმენტები ქონების, კერძოდ ავტომანქანა «მერსედესის» ჩამორთმევის ნაწილში და მხოლოდ ამის შემდგომ მიიღოს გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლით, სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ შ. ფ-შვილის ინტერესების დამცველის ადვოკატ გ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი შ. ფ-შვილის მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განჩინება

#42-აპ

7 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ს-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ნოემბრის განაჩენზე, რომლითაც გ. ს-ძე ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 12 აპრილის განაჩენით გ. ს-ძე, ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში და მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სსკ-ის 41-42-ე მუხლების გამოყენებით დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა - 5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 26 სექტემბრიდან.

განაჩენით გ. ს-ძეს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვაში.

აღნიშნული დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 26 სექტემბერს, დაახლოებით 12 საათზე, გორის რაიონის სოფ. ... გამავალ თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 76-ე კილომეტრზე, საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორებმა დააკავეს ქვეითად მოსიარულე გ. ს-ძე, რომელსაც შავი ფერის ცელოფნის პარკით უკანონოდ გადაჰქონდა 1800 გრამი ნარკოტიკული საშუალება «ნედლი მარიხუანა», რომელიც იმავე დღეს ჰქონდა მოგლეჯილი დაუდგენელ ადგილზე და ასევე უკანონოდ ინახავდა შავი ფერის ცელოფნის პარკში. პატრულის თანამშრომლების მიერ ჩატარებული პირადი ჩხრეკის დროს მას აღმოაჩნდა ზემოთ მითითებული ნარკოტიკული საშუალება «ნედლი მარიხუანა». გ. ს-ძე წარადგინეს შსს გორის დროებითი დაკავების იზოლატორში. იმავე დღეს, იგი შემოწმდა იუსტიციის სამინისტროს ლ. ს-ულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, რომლის #10 დასკვნით გ. ს-ძე აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალება - «მარიხუანას» ზემოქმედების ქვეშ. საქმეზე ჩატარებული ქიმიური ექსპერტიზის #57/სქ დასკვნით, ექსპერტიზაზე წარდგენილი მწვანე ფერის, ნედლი, მძაფრი სუნის მქონე მცენარეული მასა, წონით - 1800 გრამი, წამოადგენს ნარკოტიკულ საშუალება «ნედლ მარიხუანას».

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა გ. ს-ძემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. მ-ავამ, რომლებმაც ითხოვეს განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ, მსჯავრდებულის სასიკეთოდ სასჯელის შემსუბუქება და ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელის შეფარდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ნოემბრის განაჩენით გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 12 აპრილის განაჩენი შეიცვალა სასჯელის ნაწილში, კერძოდ:

გ. ს-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. ს-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს უკანონო განაჩენში ცვლილების შეტანა და თავისი ქმედების დაკვალიფიცირება სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით ან საქმის დაბრუნება ხელახალი სასამართლო განხილვისათვის ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ მსჯავრდებულ გ. ს-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ნოემბრის განაჩენი გ. ს-ძის მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის, შემდეგი გარემოებების გამო:

პალატას მიაჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულ გ. ს-ძის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების: ი. ს-შვილის, ს. ი-თის ჩვენებებით, ჩხრეკისა და ამოღების

ოქმებით, ქიმიური ექსპერტიზის # 57/სქ დასკვნით, იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს #10 დასკვნით, მსჯავრდებულისათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია, მაგრამ, პალატის აზრით, სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

ამასთან, საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს საკასაციო საჩივრის მოთხოვნებს და თვლის, რომ განაჩენი მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 6 დეკემბრის განაჩენით მსჯავრდებულ გ. ს-მეს მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას არ გამოიკვლია საქმეში არსებული გარემოებები მსჯავრდებულების მიმართ სასჯელის დანიშვნისას, არ მისცა მათ შესაბამისი სამართლებრივი შეფასება, რითაც დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნები საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

სარეზოლუციო ნაწილი:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ს-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ნოემბრის განაჩენი გ. ს-მის მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული დანაშაული

განჩინება

#915-აბ

7 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ შ. ფ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ლ-მის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 თებერვლის განაჩენით შ. ფ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მიესაჯა 19 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 4 თებერვლიდან.

შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორ გ. გაბიტაშვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

დამტკიცდა 2008 წლის 4 თებერვალს პროკურორ გ. გ-შვილს, განსასჯელ გულნაზ ო-შვილსა და ადვოკატ მ. ქ-მეს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება.

გ. ო-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 50-ე მუხლის მეხუთე ნაწილის გამოყენებით მან დანიშნული სასჯელიდან 3 წელი უნდა მოიხადოს თავისუფლების აღკვეთით, ხოლო დანარჩენი 5 წელი ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით.

გ. ო-შვილს დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენით მსჯავრდებულ შ. ფ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის მარტში შ. ფ-შვილმა, გამოძიებით დაუდგენელი პირებისაგან შემდგომში გასაღების მიზნით, უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 0,12558 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველი აბები, აბის ნატეხები და ფხვნილები, რასაც უკანონოდ ინახავდა თავის დროებით საცხოვრებელ სახლში, ქ. თბილისში, ... ქუჩის #3, კორპუს #22-ში. მან აღნიშნული ნარკოტიკული საშუალებიდან ნაწილი - 0, 0111 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველი აბი, აბის ნატეხი და ფხვნილი - უკანონოდ გაასაღა თბილისში გ. ნ-შვილზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 17 ივლისის განაჩენით შ. ფ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა» ქვეპუნქტით და მიესაჯა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა. მიუხედავად აღნიშნულისა, შ. ფ-შვილმა გააგრძელა დანაშაულებრივი საქმიანობა: მან გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან, არაერთგზის, უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინი» - 1,7066 გრამის შემცველი, ქარხნული წესით დამზადებული აბები, რომლებსაც იგი უკანონოდ ინახავდა. საქმეზე გატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 2007 წლის 5 ივლისს შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა კასპის რაიონის სოფ. ... , გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევის გამო, გაჩხრიკეს მოქალაქე ე. მ-ძის საცხოვრებელი სახლი და სააბაზანო შენობა, საიდანაც ამოიღეს შ. ფ-შვილის მიერ უკანონოდ შექმნილი და ასევე მის მიერ უკანონოდ შენახული „ბუპრენორფინის» შემცველი, ქარხნული წესით დამზადებული 119 აბი და 9 აბის ნატეხი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ შ. ფ-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. ლ-მე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და შ. ფ-შვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; განაჩენის დასკვნები არ ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისი არ არის სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შესწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოებმა უგულვებელყვეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნები საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვის თაობაზე.

შ. ფ-შვილმა როგორც წინასწარი გამოძიებისას, ასევე, სასამართლოში საქმის განხილვისას წარდგინებულ ბრალდებაში თავი არ ცნო დამნაშავედ და უარყო გ. ო-შვილთან იმ შინაარსის სატელეფონო საუბრების არსებობა, რის თაობაზეც მიუთითებდა გ. ო-შვილი ბრალდებულის სახით დაკითხვისას. შ. ფ-შვილის განმარტებით, მას გ. ო-შვილთან ჰქონდა სატელეფონო საუბრები, მაგრამ ეს ეხებოდა მხოლოდ შვილებს.

I-ლი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში სატელეფონო საუბრები დადასტურებულად არის მიჩნეული გ. ო-შვილისა და ნ. ფ-შვილის ჩვენებებით.

სააპელაციო საჩივარში დაცვის მხარემ, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, ითხოვა, დამატებით გამოკვლეულიყო ე.წ. «მოსმენების ჩანაწერები», როგორც აუდიო, ისე - წერილობითი.

სააპელაციო სასამართლომ განაჩენში სატელეფონო საუბრების დასადასტურებლად დამატებით მიუთითა საქმეში წარმოდგენილი მასალები. თუმცა, აღნიშნულ მასალებზე დაყრდნობით, წინასწარი გამოძიების მიერ დანიშნული ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი და აღნიშნული ექსპერტიზა არც ჩატარებულა. მითითებული დადგენილებით ექსპერტიზას პასუხი უნდა გაეცა შემდეგ კითხვაზე: წარმოდგენილ ხმათა ნიმუშზე პირების - შ. ფ-შვილისა და გ. ო-შვილის ხმები იდენტურია თუ არა გამოსაკვლევად წარმოდგენილ დისკზე არსებულ, სატელეფონო ჩანაწერებში მონაწილე პირების ხმებისა? ხმების იდენტურობის შემთხვევაში ჩანაწერები ტექსტობრივად უნდა გაშიფრულიყო.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული სატელეფონო საუბრები ისე დაუდო საფუძვლად შ. ფ-შვილის მსჯავრდებას, რომ ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნით არ ყოფილა დადგენილი ზემოაღნიშნული საკითხები, რაც იქნებოდა ერთ-ერთი უტყუარი მტკიცებულება იმის თაობაზე, განხორციელდა თუ არა შ. ფ-შვილსა და გ. ო-შვილს შორის სატელეფონო საუბრები, რომელთა საფუძველზეც მოხდა შ. ფ-შვილის მხილება სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განაჩენი შ. ფ-შვილის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

ხელახალი სასამართლო განხილვის დროს, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, უნდა ჩატარდეს ფონოსკოპური ექსპერტიზა, კიდევ ერთხელ გულდასმით უნდა შემოწმდეს საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მიიღოს სასამართლომ კანონიერი გადაწყვეტილება.

განხილული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრის მოთხოვნა იმ ნაწილში, რომლითაც კასატორი ითხოვს მსჯავრდებულ შ. ფ-შვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, ამ ეტაპზე ვერ დაკმაყოფილდება, რადგან ზემოაღნიშნული საკითხების სარწმუნოდ დადგენის გარეშე შეუძლებელია საბოლოო და კანონიერი სასამართლო გადაწყვეტილების მიღება მისი ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განაჩენი შ. ფ-შვილის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული დანაშაული

განჩინება

#282-აპ

10 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ჭ-აიას დამცველის, ადვოკატ მ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ჭ-აია ამჟამად პატიმრობაში მყოფი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 აპრილის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 6 თვის ვადით.

განაჩენით გ. ჭ-აიას მსჯავრი დაედო ყაჩაღობის ჩადენაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 30 ოქტომბერს გ. ჭ-აიამ განიზრახა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იგი იმავე დღეს, დაახლოებით 21.00 საათზე, დანით შეიარაღებული, მივიდა თბილისში, . . . , მე-3ა მ/რაიონის ტერიტორიაზე არსებულ სკვერში, სადაც დაზარალებულ რ. ბ-შვილს გამოართვა „სონი-ერიქსონის» ფირმის მობილური ტელეფონი, რომელიც აღარ დაუბრუნა, ამავე დროს თავს დაესხა და დანა მიმართა რ. ბ-შვილისაკენ, რომელსაც დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით. ასეთი ძალადობის მუქარა რ. ბ-შვილმა აღიქვა საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რეალურ საფრთხედ და იძულებული გახდა, დამორჩილებოდა გ. ჭ-აიას მოთხოვნას, რის შემდეგაც გ. ჭ-აიამ მართლსაწინააღმდეგოდ მისსაკუთარა რ. ბ-შვილის „სონი-ერიქსონის» ფირმის მობილური ტელეფონი, ღირებული 180 ლარად და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. ჭ-აიას დამცველმა, ადვოკატმა მ. ბ-ძემ. თავის საჩივარში აპელანტი აღნიშნავდა, რომ განაჩენი არის უკანონო, იგი ემყარება მხოლოდ დაზარალებულის ცრუ ჩვენებას. გამოძიებას საქმე სრულყოფილად არ გამოუძიებია. რ. ბ-შვილი და გ. ჭ-აია სწავლობდნენ ერთ სკოლაში, იყვნენ პარალელურკლასელები, ხოლო დაზარალებული იძლევა ცრუ

ჩვენებას, რომ არ იცნობს გ. ჭ-აიას. რ. ბ-შვილმა ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რომ ტელეფონი და სიმბარათი ნამდვილად მას ეკუთვნოდა. დაზარალებულის განმარტება, რომ სკვერში უნდა შეხვედროდა ა. ც-ძეს, ამ უკანასკნელმა არ დაადასტურა. აღნიშნული მოტივების საფუძველზე აპელანტი ითხოვდა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და გ. ჭ-აიას მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

საჩივარი განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2007 წლის 29 ნოემბრის განაჩენით არ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ გ. ჭ-აიას მიმართ დატოვა უცვლელად.

მსჯავრდებულმა გ. ჭ-აიამ და მისმა დამცველმა, ადვოკატმა მ. ბ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორები ითხოვენ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმავე მოტივებით, რაც მათ მითითებული ჰქონდათ სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ გ. ჭ-აიას მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოში გ. ჭ-აიას ბრალდების საქმის განხილვისას არ შესრულდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით დადგენილი მოთხოვნები საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის თაობაზე, ხოლო აღნიშნულმა სასამართლომ გამოტანილ განაჩენში ჯეროვნად არ იმსჯელა ისეთ გარემოებებზე, რომლებზეც მიუთითებდა დაცვის მხარე და რომელთა სწორად დადგენას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად, მაგალითად: სასამართლომ გაურკვეველი დატოვა: მომხდარი შემთხვევიდან რა ვადაში დააკავეს გ. ჭ-აია და შესაძლებელი იყო თუ არა დროის ამ მონაკვეთში განვითარებულიყო ყველა ის მოვლენა, რომლებზეც მიუთითებდა დაზარალებული; რატომ ირიცხებოდა, დოკუმენტების მიხედვით, სიმბარათი ნომრით არა დაზარალებულზე, არამედ - სხვა პირზე მომხდარ შემთხვევამდე და მომხდარი შემთხვევის შემდეგ და აქედან გამომდინარე, ნამდვილად ფლობდა თუ არა დაზარალებული მობილური ტელეფონის აპარატს იმეი კოდით - ... ; რა გზით აღმოჩნდა აღნიშნული ტელეფონი სხვა პირთა ხელში, რომელიც ამჟამად ჩართულია ქსელში სხვა ნომრებით; ნამდვილი იყო თუ ყალბი დაზარალებულის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი დოკუმენტი - „ჯეოსელის« კომპანიასთან წინასწარი გადახდის ხელშეკრულების პირველი პირი, ხოლო ამასთან დაკავშირებით, არ შემოწმდა შპს „ჯეოსელის« მიერ გაცემული ინფორმაციის საფუძველიანობა და არ მიეცა მას სათანადო შეფასება.

აღნიშნული საკითხების გარკვევასა და, აქედან გამომდინარე, ფაქტობრივი გარემოებების დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა გ. ჭ-აიას ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის დასადგენად, რაც არ გაკეთებულა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას და რამაც არსებითი ნეგატიური გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე, კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის დადგენის თვალსაზრისით. ამრიგად, გ. ჭ-აიას ბრალდების საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლომ დაუშვა სსსკ-ის 562-ე მუხლის „ა« ქვეპუნქტითა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საპროცესო დარღვევა, რაც განაჩენის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ნოემბრის განაჩენი გ. ჭ-აიას მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას უნდა გაირკვეს ყველა ზემოთ მითითებული საკითხი, ჩატარდეს ყოველმხრივი, სრული და ობიექტური სასამართლო გამოძიება საპროცესო კანონით განსაზღვრული ყველა შეაძლებლობის გამოყენებით და ამ გზით უტყუარად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, გადაწყდეს მსჯავრდებულ გ. ჭ-აიას ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ« ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ჭ-აიასა და მისი დამცველის, ადვოკატ მ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ნოემბრის განაჩენი გ. ჭ-აიას მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. ავტოავარია

განჩინება

#1156-აბ

3 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 მარტის განაჩენით მ. ბ-შვილი ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის 276-ე მუხლის V ნაწილით 4 წლით, ხოლო 128-ე მუხლით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, შეკრების პრინციპით, საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 15 ოქტომბრიდან.

მ. ბ-შვილის დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 14 ოქტომბერს, დაახლოებით 21.30 საათზე, ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირზე, მ. ბ-შვილი „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა» ქვეპუნქტის მოთხოვნათა დარღვევით, მძღოლის მოწმობის გარეშე მართავდა მიკროავტობუსს «მერსედეს ბენცს» და მოძრაობდა მეტროს სადგურ „ღრმაღელის» მხრიდან ც. დადიანის ქუჩის მიმართულებით, დაახლოებით 40 კმ/სთ სიჩქარით. როდესაც იგი მიუახლოვდა ამავე გამზირზე არსებულ #45-ე ელგანათების ბოძს, დაარღვია ზემოაღნიშნული კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც, მძღოლი ვალდებულია, სატრანსპორტო საშუალება მართოს ისეთი სიჩქარით, რომელიც არ აღემატება დადგენილ შეზღუდვებს. ამასთან, უნდა გაითვალისწინოს მოძრაობის ინტენსიურობა, სატრანსპორტო საშუალებისა და ტვირთის თავისებურება და მდგომარეობა, საგზაო და მეტეოროლოგიური პირობები, ხილვადობა მოძრაობის მიმართულებით. სიჩქარე საშუალებას აძლევს მძღოლს მუდმივი კონტროლი გაუწიოს სატრანსპორტო საშუალებას მოძრაობის მოთხოვნათა შესასრულებლად. მოძრაობისას საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში მძღოლი იღებს შესაბამის ზომებს მოძრაობის სიჩქარის შესამცირებლად, სატრანსპორტო საშუალების სრულ გაჩერებამდე. უგულუბელყო რა «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» კანონის ზემოაღნიშნული მუხლის მოთხოვნები, მ. ბ-შვილმა მსვლელობის დროს ვერ უზრუნველყო ავტომობილის უსაფრთხო მართვა, არ მიიღო ზომები შემთხვევის თავიდან ასაცილებლად და დაეჯახა ქვეითად მოსიარულე გ. ჭ-ულს, რომელიც იმყოფებოდა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში და საშუალება არ ჰქონდა, მიეღო ზომები თავის დასაცავად. ევალეზობდა რა მასზე ზრუნვა და შეეძლო მისი დახმარება, მ. ბ-შვილმა მიატოვა დაზარალებული და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. დაჯახების შედეგად მიღებული დაზიანებებით გ. ჭ-ული იმავე დღეს გარდაიცვალა რკინიგზის ცენტრალურ საავადმყოფოში.

განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრა მსჯავრდებულმა მ. ბ-შვილმა. აპელანტმა მის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2007 წლის 30 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელი მიიჩნია ზედმეტად მკაცრად და სასამართლოს წინაშე ითხოვა, თავისი ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, სასჯელის მინიმუმის განსაზღვრა და დანიშნული სასჯელიდან ნაწილობრივ პირობითი მსჯავრის გამოყენება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ივნისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მარტის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ მ. ბ-შვილს დანიშნული სასჯელიდან (4 წელი და 6 თვე) 3 წლისა და 6 თვის თავისუფლების აღკვეთის რეალურად მოხდის შემდეგ დარჩენილი 1 წელი, სსკ-ის 50-ე მუხლის V ნაწილის საფუძველზე ჩაეთვალა პირობით - 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ივნისის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა მ. ბ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. მან აღნიშნა, რომ აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, დაზარალებული არ ითხოვს მის დასჯას. მსჯავრდებულმა საჩივრით ითხოვა დანიშნული სასჯელის შეცვლა პირობითი მსჯავრით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ მ. ბ-შვილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას დანიშნული სასჯელის პირობითი მსჯავრით შეცვლის შესახებ, უსაფუძვლოდ გამო.

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულ მ. ბ-შვილის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები.

სასამართლო გამოძიებით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მ. ბ-შვილის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტისა და ამავე კანონის მე-2 მუხლის I, II პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებული მ. ბ-შვილი უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლით დანიშნული სასჯელის - 6 თვით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან, ხოლო სსკ-ის 276-ე მუხლის V ნაწილით დანიშნული სასჯელი - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სსკ-ის 50-ე მუხლის თანახმად მოსახდელად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 4 თვით, ხოლო დარჩენილი ნაწილი - 8 თვე უნდა ჩაეთვალოს პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა» და „დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტით, ამავე კანონის მე-2 მუხლის I, II პუნქტებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტისა და ამავე კანონის მე-2 მუხლის I, II პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებული მ. ბ-შვილი გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლით დანიშნული სასჯელის - 6 თვით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან, ხოლო საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის V ნაწილით დანიშნული სასჯელი - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. მ. ბ-შვილს სსკ-ის 50-ე მუხლის თანახმად მოსახდელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 4 თვით, ხოლო დარჩენილი ნაწილი - 8 თვე ჩაეთვალოს პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება

განჩინება

#2138-აპ

4 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. ა-იანისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. პ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 26 ივნისის განაჩენით რ. ა-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით იმაში, რომ არაერთგზის ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება, რაც გამოიხატა შემდეგში:

რ. ა-იანი 2004 წლის მარტიდან მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ქობულეთის განყოფილების ჩაქვის ქვეგანყოფილების უფროსად და იყო მოხელე. აღნიშნულ ქვეგანყოფილებაში 2005 წლის 1 მარტს უფროს ინსპექტორად დაინიშნა მ. ჯ-მე. რ. ა-იანს ჰქონდა მ. ჯ-მისაგან გამორჩენის მიღების განზრახვა და მოსთხოვა ყოველთვიურად, ხელფასის ალების შემდეგ 25-30 ლარის გადაცემა, თითქოსდა ქვეგანყოფილების სხვადასხვა ხარჯის ასანაზღაურებლად. რ. ა-იანი ყოველი თვის ბოლოს კატეგორიულად სთხოვდა დაზარალებულს აღნიშნულ თანხას. მ. ჯ-მე იძულებული იყო, 2005 წლის მარტიდან რ. ა-იანისათვის გადაეცა ფული, რადგან გააცნობიერა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მისი უშუალო უფროსი შეუქმნიდა სამსახურებრივ პრობლემებს.

2006 წლის ნოემბრის ბოლოს, იცოდა რა, რომ მ. ჯ-მეს უნდა მიეღო ხელფასი, რ. ა-იანმა მას კვლავ მოსთხოვა თანხის გადახდა და გამოართვა 25 ლარი, რაც წინასწარ დამუშავდა ქიმიური ხსნარით. აღნიშნული თანხა პირადი ჩხრეკისას ამოუღეს რ. ა-იანს. ყოველივე დაფიქსირდა ფარული აუდიო-ვიდეო ჩანაწერით.

აღნიშნული ქმედებისათვის რ. ა-იანს მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 30 ნოემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა შ. პ-მემ. მათ მოითხოვეს გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორები - მსჯავრდებული რ. ა-იანი და მისი ადვოკატი შ. პ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, შემდეგ გარემოებათა გამო:

რ. ა-იანი თავიდანვე წინააღმდეგი იყო, რომ მ. ჯ-მე დაენიშნათ ჩაქვის ქვეგანყოფილებაში, რადგან იგი არ იყო პროფესიონალი და ვერ შეძლებდა თავისი მოვალეობების სათანადოდ შესრულებას. აღნიშნული გარემოება რამდენიმე თვეში დადასტურდა და რ. ა-იანის წარდგინების საფუძველზე მ. ჯ-მე თანამდებობიდან დააქვეითეს, რის გამოც განაწყენდა. გადაცემული თანხა მ. ჯ-მეს ნასესხები ჰქონდა, რადგან სამსახურებრივ საქმეზე უნდა ჩასულიყო ქუთაისში და ფული არ ჰქონდა. სასამართლომ მხოლოდ დაზარალებულის ჩვენების საფუძველზე დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი.

კასატორთა აზრით, წინასწარი და სასამართლო გამოძიება ჩატარდა არასრულად და ცალმხრივად, არ დაკითხულან ჩაქვის პოლიციის ქვეგანყოფილების თანამშრომლები, რომელთა ჩვენებებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები მოითხოვენ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

რ. ა-იანმა სასამართლოს განუმარტა, რომ თავისი წარდგინების საფუძველზე მ. ჯ-მე დააქვეითეს, გადაიყვანეს ინსპექტორის თანამდებობაზე, რის გამოც განაწყენდა. მ. ჯ-მე იძიებდა სისხლის სამართლის საქმეს, რომელთან დაკავშირებით ორჯერ ჩავიდა ქუთაისში. გამგზავრებისას მას ფული არ ჰქონდა და თანამშრომლებს სთხოვდა - ხელფასის ალებამდე მასესხეთო, მაგრამ უარი უთხრეს. რ. ა-იანმა მ. ჯ-მეს ხელფასის ალებამდე 25 ლარი ასესხა. მთლიანობაში მ. ჯ-მეს უნდა დაებრუნებინა 50 ლარი, რადგან ადრე ამ უკანასკნელმა რ. ა-იანის დახმარებით იქვე მდებარე ბენზინგასამართ სადგურზე უფასოდ მიიღო ბენზინი. შემთხვევის დღეს მასთან მივიდა მ. ჯ-მე და მისცა 25 ლარი. რ. ა-იანმა იფიქრა, რომ მ. ჯ-მეს ბენზინის ვალი დაავიწყდა და გარეთ გავიდა, რა დროსაც დააკავეს. ჩაქვის პოლიციის ქვეგანყოფილებას ყოველთვიურად გამოყოფილი ჰქონდა 300 ლიტრი ბენზინი, რაც არ იყო საკმარისი და მუდმივად არსებობდა ბენზინგასამართი სადგურის ვალი.

დაზარალებულმა მ. ჯ-მემ სასამართლოში განაცხადა, რომ პოლიციის უფროსი რ. ა-იანი თავის ყველა თანამშრომელს ყოველი ხელფასიდან ართმევდა 20-25 ლარს, ეუბნებოდა - პოლიციას ხარჯი აქვს და ამისთვის ვკრებთო.

მსჯავრდებულის ადვოკატმა ორივე ინსტანციის სასამართლოში იშუამდგომლა ჩაქვის პოლიციის ქვეგანყოფილების თანამშრომელთა დაკითხვის შესახებ. მისი განცხადებით, ეს პირები დაადასტურებდნენ, რომ მ. ჯ-მემ მომხდარის წინა დღეებში ისესხა თანხა რ. ა-იანისაგან. მათი

დაკითხვით ასევე გაირკვეოდა, მართლაც ართმევდა თუ არა რ. ა-იანი თავის თანამშრომლებს ფულს ყოველი ხელფასის აღების დროს.

მიუხედავად ამ შუამდგომლობების საფუძვლიანობისა, სასამართლომ ისინი არ დააკმაყოფილა, რითაც დაარღვია სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნა, რომლის შესაბამისად, საქმის გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, სრული და ობიექტური. მსჯავრდებულისა და მისი დამცველის ყველა განცხადება უდანაშაულობის და სხვა გარემოებათა შესახებ გულდასმით უნდა შემოწმდეს. ამავე კოდექსის 468-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ გარემოებები, რომელთა დასადგენადაც განცხადებულია შუამდგომლობა, შეიძლება საქმისათვის მნიშვნელოვანი იყოს, სასამართლო აკმაყოფილებს შუამდგომლობას.

მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარის მიერ დასახელებული პირების დაკითხვას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახეზეა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ისეთი დარღვევები, რამაც ხელი შეუშალა საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვას, გავლენა მოახდინა კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენის დადგენაზე, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც სათანადოდ უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს მსჯავრდებულის არა მხოლოდ მამხილებელი, არამედ გამამართლებელი გარემოებანი, რის შემდეგ მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 563-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ რ. ა-იანისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. პ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ოქტომბრის განაჩენი რ. ა-იანის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

8. თვითნებობა

განჩინება

#578-აპ

5 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

ი. ტყემელაშვილი,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ჯ. ძ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 იანვრის განაჩენით ჯ. ძ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 360-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 7000 ლარის ოდენობით. სსსკ-ის 28-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის შესაბამისად, ჯ. ძ-ძე გათავისუფლდა დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

განაჩენის მიხედვით, ჯ. ძ-ძეს მსჯავრი დაედო თვითნებობისათვის, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი, რაც გამოიხატა შემდეგში: ქ. რუსთავში, ... ქუჩის #9/6-ში მცხოვრები, 1963 წელს დაბადებული მ. ა-ძე იყო ინდუსტრიული «მ. ა-ძის» დამფუძნებელი და მფლობელი. ქ. რუსთავში, ... ქ. #10-ში განთავსებულ მონაკვეთში მას საკუთრებაში გააჩნდა 7 კვ. მეტრი, სადაც იგი, შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე, 1999 წლიდან ეწეოდა ცეცხლსასროლი და გლუვლულიანი იარაღით, საბრძოლო მასალითა და სამონადირეო ინვენტარით ვაჭრობას. ამავე მაღაზიაში 2005 წლის

მარტში 85 კვ. შეიძინა ჯ. ძ-ძემ, რომელმაც, მ. ა-ძესთან ერთად სიტყვიერი შეთანხმებით, აღნიშნულ მაღაზიაში დაიწყო ზემონახსენები ინვენტარის შემოტანა და ვაჭრობა, რასაც ახორციელებდა მ. ა-ძის ლიცენზიის საფუძველზე. 2006 წლის სექტემბერში მ. ა-ძესა და ჯ. ძ-ძეს შორის ურთიერთობა დაიძაბა, რის შემდეგაც მ. ა-ძე იძულებული გახდა, დაეტოვებინა მაღაზია, ხოლო თავისი საბრძოლო და სამონადირეო ინვენტარი შესანახად დატოვა მაღაზიაში, რომლის მოვლისა და არგასხვისების ვალდებულება თავის თავზე აიღო ჯ. ძ-ძემ. მიუხედავად აღნიშნულისა, მან არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და მ. ა-ძეზე განაწყენებულმა განიზრახა ამ ქონების თვითნებურად განადგურება. თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან 2007 წლის მაისში თვითნებურად, მ. ა-ძისათვის შეუტყობინებლად, ე.წ. «ბარგალკის» მეშვეობით განზრახ გაანადგურა და შემდეგ მდინარე მტკვარში გადაყარა მისთვის მიბარებული, თავისივე თანხით შეძენილი და მ. ა-ძის სახელზე რეგისტრირებული, სულ 10 987 ლარად და 20 თეთრად ღირებული იარაღები.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ჯ. ძ-ძემ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 იანვრის განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ ჯ. ძ-ძის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 იანვრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ჯ. ძ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 26 თებერვლის განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ მის ქმედებაში არ არსებობს თვითნებობის ობიექტური მხარის დამახასიათებელი ნიშნები, კერძოდ, აღნიშნული ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის ისეთი სავალდებულო ნიშანი, როგორცაა მნიშვნელოვანი ზიანი, რადგან მის მიერ განხორციელებული ქმედების შედეგად ზიანი მიადგა თვითონ მას და არა - სხვა პირს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ჯ. ძ-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დაუსაბუთებელია, რადგან მასში არ არის მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური ანალიზი, ამასთან, სასამართლო თავის განაჩენში ჯ. ძ-ძის ბრალდების საფუძველად უთითებს ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელთა შესახებ კონკრეტულად არც საბრალდებო დასკვნაშია მითითებული და არც პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში, რომელიც უცვლელად იქნა დატოვებული. მიუხედავად იმისა, რომ დამდგარი ზიანის დასაბუთების ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი აშკარად წინააღმდეგობრივია, ეს საკითხი სააპელაციო სასამართლომ არ გაარკვია. მხედველობაშია შემდეგი გარემოება: საბრალდებო დასკვნით, ჯ. ძ-ძის ქმედებით დამდგარი ზიანი განისაზღვრა 10987, 20 ლარით, თუმცა არ არის განსაზღვრული, ვის მიადგა ეს ზიანი - საქმეზე დაზარალებულად ცნობილ მ. ა-ძეს, სახელმწიფოს, თუ სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს. პირველი ინსტანციის სასამართლო კი თავისი განაჩენით დადგენილად მიიჩნევს, რომ ჯ. ძ-ძის ქმედებით მ. ა-ძეს მიადგა 37987 ლარის ზიანი, მაშინ, როდესაც საქმეში საამისოდ არავითარი მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი. მართალია, სააპელაციო სასამართლომ თავისი განაჩენით მსჯავრდებულის ქმედებით გამოწვეული ზიანი ისევ 10 987 ლარად და 20 თეთრად შეაფასა ანუ განადგურებული საქონლის ღირებულებად, მაგრამ ამავე დროს მიუთითა: იმის გათვალისწინებით, რომ განადგურებული იარაღი მაღაზიაში შეტანილი იყო რეალიზაციის მიზნით, რეალიზაცია კი ხდებოდა მ. ა-ძის, როგორც ლიცენზიატის, სახელით და იგი იყო ანგარიშვალდებული სახელმწიფოს წინაშე, ხოლო საქონლის რეალიზაციის შემდეგ მოხდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორება, მსჯავრდებულ ჯ. ძ-ძის ქმედების გამო საქონლის რეალიზაცია აღარ მოხდა, ვინაიდან იგი მთლიანად განადგურდა, რამაც თავისთავად მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

წარმოდგენილი მოტივაციით სააპელაციო სასამართლომ ბრალდება დააფუძნა ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც არ ყოფილა გამოკვლეული და დადგენილი არც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას და არც სააპელაციო სასამართლოში, რითაც გასცდა საბრალდებო დასკვნით განსაზღვრული ბრალის ფარგლებს. ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: საქმეზე წინასწარი გამოძიების სტადიაზე, თავდაპირველად, ჯ. ძ-ძის ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლითაც მას ბრალი ედებოდა სხვისი მოძრავი ნივთის განადგურებაში. შემდეგ ბრალდების მხარემ შეცვალა აღნიშნული კვალიფიკაცია და ჯ. ძ-ძის ქმედება გადააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ე.ო. თვით ბრალდების მხარემ მიიჩნია, რომ ჯ. ძ-ძეს თავისი ქმედებით სხვისი ქონება არ გაუნადგურებია. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ განადგურებული საქონლის ღირებულების დაანგარიშებით გამოთვლილი ზიანი - 10 987 ლარი და

20 თეთრი - სხვას ვერ მიადგებოდა, ხოლო ამ მოსაზრებას განამტკიცებს საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზი.

ამრიგად, იმის გამო, რომ სააპელაციო სასამართლომ არ დაიცვა სსსკ-ის მე-18 მუხლით, მე-19 მუხლის მე-2 ნაწილითა და 496-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები, გამოურკვეველი და დაუდგენელი დარჩა საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ: ჯ. ძ-ძის ქმედებამ გამოიწვია თუ არა რაიმე ზიანი; თუკი ასეთი ზიანი არსებობს, რაში გამოიხატება იგი, რა მოცულობის ან რა ზომისაა ეს ზიანი და არის თუ არა იგი მნიშვნელოვანი; ვის მიადგა ეს ზიანი - საქმეზე დაზარალებულად ცნობილ მ. ა-ძეს, სახელმწიფოს, თუ სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რის გამოც შეუძლებელი გახდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ჯ. ძ-ძის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე.

ზემოაღნიშნულმა დარღვევებმა, რომლებიც დაშვებულ იქნა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე, მისი კანონიერებისა და დასაბუთებულობის თვალსაზრისით, რაც, სსსკ-ის 562-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განაჩენის გაუქმების საფუძველია. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის განაჩენი ჯ. ძ-ძის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ჩატარდეს სრული სასამართლო გამოძიება, რომლის გარეშე ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი საკითხების გარკვევა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენა ვერ მოხერხდება, რა დროსაც უნდა მოხდეს მტკიცებულებების ხელახლა გამოკვლევა სსსკ-ის 533-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა შესაძლებლობის გამოყენებით, ხოლო ამ გზით მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებებისა და ობიექტურად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს მსჯავრდებულ ჯ. ძ-ძის ქმედებას, მისი ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თვალსაზრისით. მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება შესაძლებელი მოცემულ საქმეზე კანონიერი და დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების მიღება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ჯ. ძ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის განაჩენი ჯ. ძ-ძის მსჯავრდების თაობაზე გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

9. ყალბი დოკუმენტის დამზადება

განჩინება

#2127-აპ

21 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ზ. მეიშვილი,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ო-ანისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ლენტეხის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 24 აპრილის განაჩენით დ. ო-ანი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ყალბი დოკუმენტის დამზადება და გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ასევე - თაღლითობა, ე.ი. ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ასევე - პოლიციის მუშაკის

მიმართ წინააღმდეგობა მისი საქმიანობის შეცვლისა და შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით, რაც გამოიხატა შემდეგში:

დ. ო-ანმა 1992 წელს დაუდგენელ ვითარებაში მიიღო სხეულის დაზიანებები, რომლებიც მიყენებული ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღისა და ზღაგვი საგნის გამოყენებით. იგი სხვადასხვა პერიოდში მკურნალობდა ქუთაისის, ზუგდიდისა და ლენტეხის საავადმყოფოებში, სადაც სამედიცინო პერსონალს განუმარტავდა, რომ დაზიანებები მიღებული ჰქონდა აფხაზეთში მიმდინარე სამხედრო მოქმედებების დროს.

2004 წელს დ. ო-ანმა დაამზადა ყალბი ცნობა #4/127/115, თითქოსდა გაცემული 1999 წლის 10 მარტს. ცნობა გაცემულია აფხაზეთის სამხედრო კომისარიატის მიერ და მასში მითითებულია, რომ დ. ო-ანი არის „ომისა და შეიარაღებული ძალების შესახებ» საქართველოს 1995 წლის 13 ოქტომბრის #9/2-12 კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის სტატუსის მქონე. აღნიშნული ცნობა შემდგომში მან გამოიყენა პენსიის მისაღებად.

ყალბი ცნობის დამზადების შემდეგ დ. ო-ანმა იგი, სხვა დოკუმენტებთან ერთად, პენსიის დანიშვნის მიზნით წარუდგინა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ლენტეხის რაიონის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს, რათა თაღლითური გზით, მოტყუებით მიეღო ქონებრივი უფლება - დანიშნოდა პენსია ომის ვეტერანისათვის განკუთვნილი ოდენობით. აღნიშნული ბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე დ. ო-ანს, როგორც საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის მიმდინარე ბრძოლებში მონაწილე ვეტერან მებრძოლს, დაენიშნა პენსია, შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსით. დ. ო-ანმა თაღლითური გზით, მოტყუებით მიიღო ქონებრივი სარგებელი - 990 ლარის ოდენობით.

2006 წლის 26 ივლისს, დაახლოებით 14 საათსა და 20 წუთზე, ნასვამი დ. ო-ანი იმყოფებოდა ქ. ზუგდიდში, დ. აღმაშენებლის ქუჩაზე. მასთან პიროვნების დადგენის მიზნით მივიდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები - მ. ა-ია და ა. ჯ-ია. მათ დ. ო-ანმა განუცხადა, რომ კოდორის ხეობაში სპეცოპერაციის დროს მოუკლეს ბიძაშვილი, თვითონ კი გაქცევით უშველა თავს და ტყე-ტყე სიარულით ჩაადგინა ქ. ზუგდიდში; თან აღნიშნა, რომ იგი იყო ე. კ-იანის დაჯგუფების აქტიური თანამებრძოლი. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა შესთავაზეს მას პიროვნების დადგენის მიზნით პოლიციის სამმართველოში წასვლა, რა დროსაც დ. ო-ანი არ დაემორჩილა მათ, დაემუქრა ძალის გამოყენებით, ხოლო პატრულ-ინსპექტორ მ. ა-იას ჩამოაგლიჯა სამხრეები, ხელი ჩაარტყა გულმკერდის არეში, რის შემდეგაც შეეცადა მიმალვას, მაგრამ იგი დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა.

აღნიშნული დანაშაულისათვის დ. ო-ანს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით განესაზღვრა 2 წლით, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ» ქვეპუნქტით - 5 წლით, ხოლო 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლით მას საბოლოოდ მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 26 ივლისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. ბ-მემ. მან ითხოვა დ. ო-ანის გამართლება სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ» ქვეპუნქტითა და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით, კერძოდ - ჯარიმით 2000 ლარის ოდენობით და მსჯავრდებულის პატიმრობიდან განთავისუფლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 სექტემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ნ. ბ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა და უნდა გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის განხილვის დროს არსებითად დაირღვა სათანადო სამართლებრივი პროცედურა; მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაცია დაუზუსტებელი და უსაფუძვლოა; სასჯელის ზომის დასაზღვევად შეუსაბამოა მსჯავრდებულის პიროვნებასთან; დაცვის მხარემ წარადგინა ყველა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა, რომ დ. ო-ანი, „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „გ» პუნქტის თანახმად, მიეკუთვნება საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ფორმირებაში ჩარიცხულ პირს, რომელმაც მიიღო მრავლობითი დაზიანება სამხედრო სამსახურში მოვალეობის შესრულების დროს; საქმეშია ლენტეხის რაიონული საავადმყოფოს მიერ გაცემული ფორმა #27 დიაგნოზით - „ქალა-ტვინის ახალი დაზარალებული ტრავმა, თავის ტვინის შერყევა-დაჟეჟილობა»; აღნიშნული ტრავმა მას განესაზღვრა არა 1992 წლის თებერვალში მიღებული ჭრილობის საფუძველზე, არამედ - 1993 წლის 7 იანვრით, როდესაც მიმდინარეობდა საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში; დ. ო-ანს პენსია დაენიშნა ინვალიდობის გამო და ომის ვეტერანისათვის განკუთვნილი ოდენობით ლენტეხის რაიონის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს თავმჯდომარის - ბ. ლ-იანის მიერ, რადგან მისთვის ცნობილი იყო, რომ დ. ო-ანი ნამდვილად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის გამართულ ბრძოლებში და იყო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე; გამოძიების დროს ცნობილი გახდა, რომ საპენსიო საქმე არ იყო სრულყოფილი და სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურა დაინტერესდა, რის საფუძველზე დაენიშნა დ. ო-ანს პენსია, რაც ცნობილი გახდა ბ. ლ-იანისათვის, რომელმაც გამოძიების დროს თბილისის სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდს მიაწოდა სამხედრო

კომისარიატიდან გაცემული ცნობა #0115; ამ დროს დ. ო-ანი იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში, ე.ი. ყალბი დოკუმენტი შედგენილია ბ. ლ-იანის მიერ; ეს დოკუმენტი დ. ო-ანს რომ არ წარუდგენია, ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ #0115 ცნობა ლენტეხის რაიონის საპენსიო საქმეში არ არსებობდა, რადგან გამომძიებლის 2006 წლის 15 აგვისტოს მიმართვაში აღნიშნულია საპენსიო საქმეში არსებული დოკუმენტები და მოთხოვნა დამატებითი დოკუმენტების წარდგენის შესახებ; გამომძიებლისათვის 2006 წლის 17 აგვისტოს გაგზავნილი პასუხიდან ირკვევა, რომ დ. ო-ანისათვის პენსიის დანიშვნის საფუძველი იყო ლენტეხის რაიონის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს შემოწმების აქტის ამონაწერები; აქედან გამომდინარე, მსჯავრდებულმა არაფერი იცოდა ყალბი დოკუმენტის შესახებ, ამიტომ მას არ შეიძლება, დაეკისროს პასუხისმგებლობა საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით; აღნიშნული დადასტურდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი სააპელაციო სასამართლო დააკმაყოფილებდა დაცვის შუამდგომლობას ალტერნატიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, რათა შედარებულიყო ბ. ლიპატელიანის ხელნაწერები აღნიშნულ დოკუმენტთან.

ადვოკატის აზრით, დ. ო-ანს არ ჩაუდენია არც სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რადგან დაზარალებულები დ. ო-ანის დაკავების ადგილზე იმ მომენტში არ იმყოფებოდნენ; ის დააკავა ვინმე გ. გ-ემ, რომლის დაკითხვის შესახებ შუამდგომლობა სასამართლომ არ დააკმაყოფილა; გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ არ გაამახვილა ყურადღება საპროცესო ნორმათა დარღვევაზე, კერძოდ: საქმის განხილვის დროს ყველა მოწმე იმყოფებოდა დარბაზში, რითიც დაირღვა საქართველოს სსკ-ის 460-ე მუხლი; მან ასევე დაარღვია სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული აცილებისა და თვითაცილების განცხადებისა და გადაწყვეტის წესი, რადგან მოწმის სტატუსით დაკითხული ბ. ლ-იანი არის მოსამართლის სიძე (დის მეუღლე), რაც დაცვისათვის ცნობილი გახდა განაჩენის დადგენის შემდეგ; მოსამართლემ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და დ. ო-ანს შეუფარდა სასჯელის მაქსიმუმი, რაც შეუსაბამოა მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმესა და მის პიროვნებასთან; მოსამართლეს სურდა, დაცვის მხარის მიერ შეტანილი სააპელაციო საჩივარი ჩათვლილიყო ვადაგადაცილებულად და იგი არ განხილულიყო, ამიტომ გადაწყვიტა, ფოსტით შესული საჩივარი კანცელარიაში დაეფიქსირებინა, როგორც 2007 წლის 20 ივნისს ხელზე შეტანილი, მაშინ, როცა გასაჩივრების ვადა გასულად ჩაითვლებოდა უკვე 2007 წლის 25 მაისს; ამასთან, სასამართლოს თანამშრომელმა განმარტა, რომ საჩივრის დაფიქსირებისას დაუშვეს მექანიკური შეცდომა და ნაცვლად 20.05.07-ისა, შტამზე მითითებულ იქნა 20.06.07, მაშინ, როცა მსჯავრდებული სააპელაციო საჩივარზე ხელს აწერს 21.05.07-ით; მოსამართლის მიერ საქმის განხილვაში ხელის შეშლა კიდევ ერთხელ ადასტურებს დ. ო-ანის უდანაშაულობას და ბ. ლ-იანის დანაშაულებრივ ქმედებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი ნ. ბ-მე ითხოვს ორივე ინსტანციის სასამართლოების განაჩენების გაუქმებას, დ. ო-ანის გამართლებას ყველა ეპიზოდში და პატიმრობიდან განთავისუფლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გარდა სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისა, დ. ო-ანი მსჯავრდებულია იმისათვის, რომ დაამზადა აფხაზეთის სამხედრო კომისარიატის ყალბი ცნობა, რომელიც, სხვა დოკუმენტებთან ერთად, პენსიის დანიშვნის მიზნით წარუდგინა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ლენტეხის რაიონის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს, რათა თაღლითური გზით, მოტყუებით მიეღო ქონებრივი უფლება - დანიშნოდა პენსია ომის ვეტერანისათვის განკუთვნილი ოდენობით. აღნიშნული ბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე დ. ო-ანს, როგორც საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის მიმდინარე ბრძოლებში მონაწილე ვეტერან მებრძოლს, დაენიშნა პენსია, შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსით.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს ყალბი დოკუმენტის წარდგენასა და პენსიის დანიშვნას შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენას, რადგან წარდგენილი სხვა დოკუმენტების გაყალბებას საბრალდებო დასკვნით ადგილი არ ჰქონია.

საქმეშია სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის იურიდიული და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის 2006 წლის 17 აგვისტოს წერილი, რომლის მიხედვით დ. ო-ანისათვის პენსიის დანიშვნის საფუძველი იყო არა იმერეთის რეგიონის ეროვნული გვარდიის ვეტერანთა კავშირის ან ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ გაცემული ცნობა, არამედ «ლენტეხის რაიონის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს შემოწმების აქტის ამონაწერები (#020231; 126915; 219002). პენსიის ოდენობა განისაზღვრება შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსისა და მიზეზიდან გამომდინარე, რასაც განსაზღვრავენ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროები. პენსიის დასანიშნად საპენსიო საქმეში უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტები: განცხადება პენსიის დანიშვნის თაობაზე, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს შემოწმების აქტის ამონაწერი და გადაწყვეტილება პენსიის დანიშვნის შესახებ.

საქმეშია ამავე ფონდის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის 2006 წლის 1 სექტემბრის წერილი, სადაც ამჯერად აღნიშნულია, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მიზე-

ზობრივი კავშირი დადგინდა აფხაზეთის გაერთიანებული სამხედრო კომისარიატის მიერ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე. ამასთან, სამხედრო კომისარიატიდან წარდგენილი დოკუმენტი არ წარმოადგენს მოქალაქისათვის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის ხარისხის განსაზღვრის საფუძველს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით არცერთი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია. კასატორი სწორედ იმ გარემოებაზე ამხვილებს ყურადღებას, რომ საქმეშია სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ორი წერილი, რომლებშიც პენსიის დანიშვნის საფუძველად სხვადასხვა დოკუმენტებია მითითებული.

საქმეში არსებული მასალებიდან ერთადერთი დოკუმენტი, რომელშიც მოხსენიებულია აფხაზეთის სამხედრო კომისარიატის ცნობა, არის საექსპერტო ბიუროს მეორადი შემოწმების აქტი. მასში აღნიშნულია, რომ დ. ო-ანს ექსპერტიზა ჩატარდა 2003 წლის 20 ივლისს. შემოწმების აქტში მითითებულია, რომ საექსპერტო დასკვნას საფუძველად დაედო შემდეგი საბუთები: ფორმა #IV-50/1, ფორმა #27, იმერეთის რეგიონის ეროვნული გვარდიის ვეტერანთა კავშირის ცნობა #80 და აფხაზეთის ა/რ სამხედრო კომისარიატის ცნობა #0115.

ამის შემდეგ ჩატარდა რამდენიმე სამედიცინო შემოწმება და შედგენილ აქტებში, რის საფუძველზეც დ. ო-ანს თითო წლით, ორჯერ გაუგრძელდა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის ვადა, საექსპერტო დასკვნის საფუძველად მითითებულია მხოლოდ ფორმა #IV-50/1, ფორმა #27 და იმერეთის რეგიონის ეროვნული გვარდიის ვეტერანთა კავშირის ცნობა #80.

სსსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, სრული და ობიექტური, ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს პირის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი გარემოებანი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც სრულყოფილად უნდა შეისწავლოს საქმეში არსებული მასალები და მათი ყოველმხრივი, სრული და ობიექტური ანალიზისა და ურთიერთშეჯერების შემდეგ მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ დ. ო-ანისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 სექტემბრის განაჩენი დ. ო-ანის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.